# ლელო

№255 (12 325)

29 ოქტომბერი ორშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი



ეროვნული ბიბლიოთეკა


# ისტორიას დარჩება!

## საქართველოს ნაკრები ევროპის სამგზის ჩემპიონია

ირაკლი თავაძე

საქართველოს ძიუდოისტ კაცთა ნაკრებმა მინსკში ჩატარებულ ევროპის გუნდურ პირველობაში გაიმარჯვა და საკუთარი ისტორია მორიგი წარმატებით გაამდიდრა. ჩვენებისთვის ეს ამ საუკუნეში მესამე ევროპული ოქროა. იქნებ ეს არ იყო მაინცდამაინც ძლიერი ტურნირი - მასში სულ 6 გუნდი მონაწილეობდა და საუკეთესო შემადგენლობები არც იმათ ჰყავდათ, მაგრამ გამარჯვება მაინც სასიხარულოა და ისტორიას დარჩება.

13



ხელბურთი. შაბათს, სპორტის სასახლეში. საქართველოს ნაკრებმა ჩელენჯ ტროფის ჯგუფური ეტაპი მოიგო



მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს ევროპულიც დავუმატეთ. ფოტოზე: მთავარი მწვრთნელი შოთა ხაბარელი

# ფინალში ვართ!

## 20 იანვარს, ნორვეგიაში: საქართველო-ლუქსემბურგი

# ყოჩების პირველი თასი

13



რაგბი. შაბათს ქუთაისში თბილისის ყოჩებმა საქართველოს თასი მოიპოვა. ფოტოზე: გუნდის კაპიტანი კახა კობახიძე



შაბათს, ახალციხეში. მესხეთი-დინამო 0:2

საქართველოს ჩემპიონატი. X ტური

2-4

# რბოლა გამოდევნებით

ლიდერები იგებენ, მერანმა ლოკომოტივზე გააჭენა

# ურტყით კარში, ქართველებო!

ლეგიონის უქმეები

5

ევროუიქენდი

# ორხელისუფლებიანობა ინგლისში, მოგონილი პენალტები იტალიაში

მილანის მორიგი საშინაო მარცხი, ბაიერნი გადარჩა, სევილიას ახალი ცოცხი მოუხდა

ევროპული ჩემპიონატების მიმოხილვა

6-9



გოგუა ტიტოვის წინააღმდეგ

გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს XIX ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. X ტური

**მესხეთი-დინამო**

**0:2**

27.10. ახალციხე. ცენტრალური მაყურებელი

0:1 სპასოევიჩი (25) 0:2 აკირემი (43)

მესხეთი: სომხიშვილი – ლეკიშვილი, ნადირაშვილი, კობესაშვილი, ძამსაშვილი – ჟვანია, ზ. ჩხეტიანი, თაყაძე (75. გ. სუდაძე), თურმანიძე (63. მ. ლონლაძე) – გვირჯიშვილი, ინასარიძე (43. ძამუნაშვილი).

*სათადარიგოები: ვ. აკოფიანი, კევლიშვილი, აფრიამაშვილი, კაიდარაშვილი.*

დინამო: ოვონო – შ. კაშია, ზელიჩი, კრშკო, დობეში – ხუციშვილი, ხმალაძე, დილმელაშვილი, სპასოევიჩი (90. გ. კაშია), მერებაშვილი (46. ოდიკაძე), - აკირემი (71. ვანაძე).

*სათადარიგოები: ლორია, თომაშვილი, გველესიანი, გონჩაროვი.*

გაფრთხილება: გვირჯიშვილი (12), სპასოევიჩი (20), ლეკიშვილი (20), ჟვანია (56)

გაძევება: სომხიშვილი (43)

არბიტრი: ლ. კვარაცხელია

**13** ხუციშვილის თავური ცდება მიზანს.

**21.** ოვონო შეცდა, მაგრამ ინასარიძემ ვერ ისარგებლა ამით და ააცილა.

**24.** გვირჯიშვილის დარტყმული სტუმართა კარს ასცდა.

**25.** 0:1 მერებაშვილის ძლიერად დარტყმული სომხიშვილმა ვერ შეიმაგრა ხელში. დამატებაზე სპასოევიჩმა ყველას დაასწრო და ანგარიში გახსნა.

**30.** კუთხური "დინამოს" კართან. ინასარიძის დარტყმული მცირედით ასცდა სტუმართა კარს.

**40.** გვირჯიშვილის მოულოდნელი, ძლიერად დარტყმული ოვონომ მოიგერია.

**43.** 0:2 - დილმელაშვილის მიერ მოწოდებულ კუთხურს "მესხეთის" საჯარიმოში არეულობა მოჰყვა. მცველებს აკირემიმ დაასწრო. მისი დარტყმული სომხიშვილმა კი აილო, მაგრამ არბიტრმა კარის ხაზის გადაკვეთა დააფიქსირა. აღშფოთებული სომხიშვილის დაწყნარება თანაგუნდელმა ვერ შეძლო. მასპინძელთა მეკარე მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფის გამო გააძევეს.

**49.** გვირჯიშვილის დარტყმული ოვონომ მოიგერია.

**54.** თურმანიძის დარტყმული ოდნავ ასცდა სტუმართა კარს.

**58.** ხუციშვილის დარტყმული მეკარე ძამუნაშვილმა აილო.

**79.** მეკარე ძამუნაშვილმა ხუციშვილის დარტყმული აილო.

**83.** ძამუნაშვილი სპასოევიჩის ძლიერად დარტყმულს გადაეფარა.



მიხეილ ხუციშვილი (ბურთით) სამი ახალციხელის გარემოცვაში

# დინამომ ახალი ციხეც აიღო

"ზესტაფონთან" 11 ნოემბრის საშინაო მატჩამდე "დინამოს" ახალციხეში სტუმრობით რთული გამოცდა ელოდა, რომელიც გუნდმა წარმატებით ჩააბარა. მატჩი დაძაბული და საინტერესო გამოდგა. წვიმიანი ამინდის მიუხედავად, ახალციხის ცენტრალური სტადიონი სანახევროდ მაინც შეივსო მასპინძელი გულშემატკივრებით, დედაქალაქელებს კი ორ ათეულზე მეტი ფანი ჩამოჰყვათ, რომლებიც მატჩის ბოლომდე ერთგულად ქომაგობდნენ თავიანთ გუნდს.

რომ არა მასპინძელთა მეკარე **გიორგი სომხიშვილის** შეცდომები, თამაში უფრო საინტერესოდ წარიმართებოდა. სომხიშვილი "მესხეთის" არაერთი მატჩის გმირი ყოფილა, მაგრამ "დინამოსთან" ახალციხელები სწორედ მისი შეცდომების გამო დამარცხდნენ. თამაშის მიმდინარეობისას დაშვებული შეცდომა კიდევ მისატევებელია, მაგრამ, როცა მთავარ მსაჯს სიტყვიერ შეურაცხყოფას მიაყენებ, ამას არავის პატიობენ და გამონაკლისი არც სომხიშვილი ყოფილა. შედეგად მასპინძლებმა ტაიმზე მეტი კაცნაკლულებმა ითამაშეს.

სტუმრებს კარგად ჰყავდათ შესწავლილი მეტოქე. "დინამომ" იცოდა, რომ ძირითადი საფრთხე მარცხენა მცველად მოთამაშე **პაატა გვირჯიშვილისგან** შეექმნებოდა. ახალციხელებმა მატჩის სტარტზევე გამოაჩინეს ბრჭყალები, მაგრამ სტუმრებმა კარგად გათვალეს და საწყის 15 წუთში გვირჯიშვილი ხელოვნურად ექვსჯერ დატოვეს თამაშგარე მდგომარეობაში. ამის გამო გვერდით მსაჯთან ზედმეტი კამათისთვის ყვითელი ბარათიც მიიღო. **კვარაცხელიას** არც **სპასოევიჩ-ლეკიშვილის** წაკამათება გამორჩენია და ისინიც "ყვითლებით დაასაჩუქრა". გოლის გატანის პირველი კარგი შანსი მასპინძლებს ჰქონდათ, მაგრამ **ოვონოს** შეცდომა **ინასარიძემ** ვერ გამოიყენა. ახალციხელებისგან განსხვავებით, მეკარის შეცდომა თბილისელებმა გამოიყენეს. მიღებულ გოლს მესხები არ დაუბნევია, პირიქით გაახელა. გვირჯიშვილის მოულოდნელ და ოსტატურად დარტყმულზე, ოვონომ შესაშური რეაქცია გამოავლინა. შესვენებამდე კიდევ ერთი გოლი ვიხილეთ, რამაც გამოიწვია კიდეც სომხიშვილის აღშფოთება, მსაჯი შეურაცხყოფა და საბოლოოდ გაძევება.

მთელი მეორე ტაიმის განმავლობაში კლასით უფრო მაღლა მდგომ "დინამოს" მასპინძლები კაცნაკლულად ეთამაშნენ. თუმცა თავგამოდების ხარჯზე ახალციხელებს რიცხობრივი უმცირესობა თითქმის არ ემჩნეოდათ. "დინამოს" დარად "მესხეთსაც" შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ მეკარეების, ოვონოსა და **ძამუნაშვილის** საიმედოდ თამაშის წყალობით ანგარიში აღარ შეცვლილა.

**მატჩის შემდეგ**

**დუშან უჰრინი (დინამო):** "პირველ ტაიმში უფრო მეტი გარჯა მოგვიწია, ვიდრე მეორეში. კარგად ვიცოდით, რომ "მესხეთთან" სტუმრად თამაში რთული იქნებოდა და საამისოდ მზად ვიყავით. მოხარული ვარ, რომ თამაში მოვიგეთ".

**კობა თედიაშვილი (მესხეთი):** "ტაიმზე მეტი ხნის განმავლობაში კლასით უკეთეს "დინამოს" კაცნაკლულნი ვეთამაშეთ და დავმარცხდით. სხვა რა მეთქმის".

**რჩეული**

**ილია სპასოევიჩი**

გარდა იმისა, რომ გოლი გაიტანა, მოედანზე ყოფნის დროს ძალზედ აქტიური იყო და მასპინძლებს არაერთი პრობლემა შეუქმნა.

**დავით ცაბაძე**
ახალციხე-თბილისი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზესტაფონი | 10 | 9 | 1 | 0 | 20-3 | 28 |
| 2. დინამო | 10 | 9 | 0 | 1 | 26-3 | 27 |
| 3. ვიტ ჯორჯია | 10 | 7 | 1 | 2 | 16-8 | 22 |
| 4. ამერი | 10 | 6 | 0 | 4 | 18-10 | 18 |
| 5. ბორჯომი | 10 | 5 | 3 | 2 | 12-6 | 18 |
| 6. მესხეთი | 10 | 5 | 2 | 3 | 12-11 | 17 |
| 7. ოლიმპი | 10 | 5 | 2 | 3 | 9-8 | 17 |
| 8. მგლები | 10 | 5 | 0 | 5 | 10-9 | 15 |
| 9. სიონი | 10 | 3 | 2 | 5 | 12-14 | 11 |
| 10. ლოკომოტ. | 10 | 3 | 0 | 7 | 7-16 | 9 |
| 11. სპარტაკი | 10 | 2 | 2 | 6 | 3-12 | 8 |
| 12. მერანი | 10 | 2 | 0 | 8 | 5-20 | 6 |
| 13. დილა | 10 | 1 | 1 | 7 | 7-18 | 5 |
| 14. ბათუმი | 10 | 0 | 1 | 9 | 3-22 | 1 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| სპასოევიჩი (დინამო) | 6 |
| ხუციშვილი (დინამო) | 6 |
| აკირემი (დინამო) | 6 |
| გ. ნოდ. ჭელიძე (ზესტაფონი) | 6 |
| შ. ჯიქია (ბორჯომი) | 5 |
| ტატანაშვილი (ამერი) | 5 |
| რ. ჯიქია (ოლიმპი) | 5 |
| ჭედია (მგლები) | 5 |
| გელაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 5 |

**მომდევნო ტური**

| | |
|---|---|
| **9 ნოემბერი. პარასკევი** | |
| 14:00 | ბორჯომი-ოლიმპი |
| 14:00 | ბათუმი-მესხეთი |
| **10 ნოემბერი. შაბათი** | |
| 14:00 | ამერი-ვიტ ჯორჯია |
| 14:00 | სპარტაკი-ლოკომოტივი |
| 14:00 | სიონი-მგლები |
| **11 ნოემბერი. კვირა** | |
| 14:00 | დინამო-ზესტაფონი |
| 14:00 | მერანი-დილა |

**ზესტაფონი-სპარტაკი**

**2:0**

28.10. ახალციხე. ცენტრალური 4000 მაყურებელი

1:0 გ. ნოდ. ჭელიძე (22. გ. ნუგ. ჭელიძის პასით), 2:0 ონიანი (23. ფიფიას პასით)

ზესტაფონი: ჭანტურია – თოდუა, ლონლაძე, ლობჟანიძე – ონიანი (54. ბიტოო), კ.ჩხეტიანი, ჟონატასი (73. ნ. კვასხვაძე), კესანი, გ. ნუგ. ჭელიძე, გ. ნოდ. ჭელიძე (81. ხიდეშელი), ფიფია

*სათადარიგოები: რ.კვასხვაძე, გოცირიძე, იონანიძე, დაუშვილი*

სპარტაკი: ქვილითაია – კეტაშვილი, ხაჭიპერაძე, ქემოკლიძე, მამუკაშვილი – გ.ხიდაშელი, (69. ავალიანი), ჩირიკაშვილი, თარხნიშვილი (88. მედოევი), კუპრეიშვილი – გოგოხია, პარამონოვი

*სათადარიგოები: კოდალაევი, ტატაევი, თექთუმანიძე, ივანაშვილი*

გაფრთხილება. ლობჟანიძე (30)

მსაჯი: მ. ურუშაძე

**12.** ჩხეტიანის დიაგონალური გადაცემის შემდეგ გიორგი ჭელიძემ მცველებს დაასწრო, თუმცა დარტყმა სუსტი და უზუსტო გამოდგა.

**15.** ფიფია ჭელიძესთვის გადაცემის გაკეთებას ცდილობდა, თუმცა ბურთი პირდაპირ კარისკენ ჩაეხვა. ქილითაიამ გაჭირვებით შეძლო ბურთის მოგერიება.

**18.** ფიფიამ კესანს დაუგორა. გაბონელის დარტყმული ბურთი ქვილითაიამ გაჭირვებით მოიგერია.

**22.** 1:0 - მარჯვენა ფრთაზე გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძემ იაქტიურა და მის მოგვარეს ზუსტი გადაცემა გაუკეთა, "პაჭელომ" ერთი შეხებით გადაგზავნა ბურთი ქვილითაიას კარში.

**23.** 2:0 - ფიფიამ მცველების დაბნეულობით ისარგებლა და უყურადღებოდ მიტოვებულ ონიანს გაატანინა.

**51.** თარხნიშვილის შორიდან დარტყმული ბურთი ზესტაფონის კარის ბადეს გარედან მოხვდა.

**62.** ჩხეტიანმა ძლიერად დაარტყა და ხარიხა შეაზანზარა. დამატებაზე გ. ნუგ. ჭელიძემ ითამაშა, მაგრამ ქვილითაიამ ნახტომში შეძლო ბურთის მოგერიება.

# ბურთმა მეზობელს გადაუფრინა

წინა დღით თბილისის „დინამომ" „მესხეთი" დაამარცხა და ცხრილის სათავეში მოექცა. „ზესტაფონს" უშუალო კონკურენტისთვის რომ გადაესწრო, აუცილებლად გამარჯვება უნდა მოეპოვებინა. მასპინძლებმა ამ მატჩისთვის ტრამვების გამო ორი წამყვანი ფეხბურთელი **ვიეირა** და **საჯაია** მოისაკლისეს. დანაკლისი სტუმრების რიგებშიც იყო. მატჩში მონაწილეობა ვერ მიიღეს **ბახტურიძემ**, **ჯანელიძემ** და **ძარიამ**, რომლებიც „სპარტაკს" „ზესტაფონისგან" ჰყავს იჯარით აყვანილი და წესის მიხედვით, ამ მოთამაშეებს იმერლების წინააღმდეგ ვერ გამოიყენებდნენ.

ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ „ზესტაფონს" ამ მატჩში ქულები დაეკარგა, მაგრამ **კობა ჟორჟიკაშვილის** „სპარტაკი" საკმაოდ მებრძოლი გუნდია და მასთან იოლ გასეირნებას იმერლები არ მოელოდნენ. თანაც, ჟორჟიკაშვილი ადრე „ზესტაფონს" წრთნიდა და ეს გუნდი კარგადაც ეყოლებოდა შესწავლილი.

საწყის წუთებში ზესტაფონში მყოფი **დიმიტრი სანაკოევისგან** გამხნევებული ცხინვალელები, მასპინძლებს გასაქანს არ აძლევდნენ. „სპარტაკი" გათამაშების ლიდერს მჭიდროდ ეთამაშებოდა და ამ დროისთვის ბურთი ძირითადად მოედნის ცენტრში ტრიალებდა. მე-15 წუთიდან ზესტაფონელთა უპირატესობა მკვეთრად გამოიკვეთა. იმერლებმა ტემპს უმატეს და სტუმრებს უკვე უჭირდათ მათი შეჩერება. კარგად ირჯებოდნენ თავდასხმაში **გიორგი ნოდარის ძე ჭელიძე** და **გოგი ფიფია**. მათ მხარი კარგად აუბა **გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძემ**. ჩვეულად აქტიურები იყვნენ **კახა ჩხეტიანი** და **პოლ კესანი**. „ზესტაფონმა" ორი წუთის ინტერვალში ორი გოლი შეაგდო და თამაშსაც წერტილი დაუსვა. **ონიანის** გოლის შემდეგ ნათელი იყო, რომ **თემურ მახარაძის** შეგირდები მორიგ სამ ქულას მოიპოვებდნენ და კვლავ ცხრილის სათავეში მოექცეოდნენ. სტუმრებმა მეტოქეს პრობლემები ვერ შეუქმნეს. თუ არ ჩავთვლით შორიდან გასროლილ ორიოდე ბრთს, მათ რეალური საგოლე მომენტი არც ჰქონიათ. ერთხელ კი ისე დაარტყეს, რომ ბურთი სტადიონს გადაცდა და მეზობელ ეზოში დაიკარგა. ორბურთიანი დაწინაურების შემდეგ აღარც ზესტაფონელებს გამოუდვიათ შეტევებით თავი და თამაში ძალიან მოსაწყენი გახდა. შესაბამისად, მეორე ნახევარში დასამახსოვრებელი ეპიზოდები თითებზე ჩამოსათვლელი იყო. მასპინძლებს მესამე გოლის გატანაც შეეძლოთ, მაგრამ ჩხეტიანის დარტყმისგან ბურთი ხარიხას მოხვდა.

**მატჩის შემდეგ.**

**კობა ჟორჟიკაშვილი (სპარტაკი):** „ამ მატჩისთვის სამი წამყვანი ფეხბურთელი ბახტურიძე, ჯანელიძე და ძარია გვაკლდა. ვეცადეთ „ზესტაფონისთვის" წინააღმდეგობა გაგვეწია, მაგრამ მეტოქე ძლიერი იყო და ეს ვერ შევძელით. ჩვენი მთავარი მიზანი მომავალ ტურებში უშუალო კონკურენტებთან მაქსიმალური ქულების დაგროვებაა და ამისთვის ყველაფერს გავაკეთებთ".

**თემურ მახარაძე (ზესტაფონი):** „ეს სამი ქულა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ღირსეული მოწინააღმდეგე გვყავდა, მაგრამ ორმა სწრაფმა გოლმა საქმე გაგვიადვილა. გოლების შემდეგ თამაში დავაწყნარეთ და ძალებიც დავზოგეთ. წინ სერიოზული თამაშები გველის და წარმატების მისაღწევად დიდი ძალისხმევა გვმართებს."

**დავით კოხრეიძე**
ზესტაფონიდან

გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

# ამერმა ზუგდიდში მგლები შეჭამა

**მგლები-ამერი**

**0:1**

**27.10. ზუგდიდი. გ. თუთბერიძე**
**2500 მაყურებელი**

0:1 დავითნიძე (3)
მგლები: ივარდავა - გაბედავა, მაჭავარიანი, კაკაბაძე, ქირია (80. ქომეთიანი) - ვართაგავა, ლ. კუტალია (67. ჭკადუა), ჯოჯუა, ხუბუა - ბაკარანძე (80. ლიპარტია), ჭედია.
*სათადარიგოები: ჭითანავა, წურწუმია, ხუხია, ვ. კუტალია.*
ამერი: ქვაჩახია - კაკაშვილი, დიდავა, დავითნიძე, ელბაქიძე - დოლიძე (75. კობაური), დობროვოლსკი, დეკანოსიძე (90. მესხი), ჩიკვილაძე - ტატანაშვილი (82. ცხადაძე), რ. გოცირიძე.
*სათადარიგოები: ნადირაშვილი, მჭედლიშვილი, შალამბერიძე, ხვადაგიანი*
არბიტრი: ა. კრიჭაშვილი

**3.** 1:0 - დოლიძემ მოაწოდა ბურთი კუთხურიდან, საჯარიმოში შეჭრილმა დავითნიძემ კი ყველას დაასწრო და მასპინძელთა კარში გადაგზავნა. .
**5.** ბაკარანძეს მიეცა გატანის შანსი, მაგრამ პენალტის ნიშნულიდან მისი დარტყმული ქვაჩახიამ მოიგერია.
**15.** დეკანოსიძის ძლიერი გასროლა ცოტათი ცდება სამიზნეს.
**45.** კაკაბაძემ 30 მეტრიდან ჯარიმისას უძლიერესად დაარტყა, ქვაჩახიამ ბურთი დიდი გაჭირვებით მოიგერია.
**68.** დობროვოლსკიმ ძალზე სახიფათოდ დაარტყა შორიდან - სანტიმეტრებში ასცდა კარს.

ზუგდიდში ორდღიანი წვიმების შემდეგ, მატჩის წინ გამოიდარა. ორივე გუნდს ძირითადი შემადგენლობის მხრივ პატარ-პატარა პრობლემები ჰქონდათ. შეხვედრა ყოველგვარი დაზვერვის გარეშე დაიწყო, ამერელთა კაპიტანმა დავითნიძემ "გამარჯობის თქმა არ აცალა", მატჩის დასაწყისშივე ნავიდა წინ, კუთხურიდან ჩამოწოდებულ ბურთს ზუსტად დახვდა ადგილზე და თავით გადაგზავნა კარში. მიუხედავად ასეთი დასაწყისისა, "მგლების" სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი არ გატყდნენ და უკვე სამ წუთში ორი სახიფათო იერიში განავითარეს. განსაკუთრებთი დასამახსოვრებელი პირველი ეპიზოდი გახლდათ, როცა **ბაკარანძემ** პენალტის ნიშნულიდან ვერ გაიტანა, მერე კი მას **ქირიამაც** მიბაძა. ამას მალე ამერელი **დეკანოსიძის** ორი ძლიერი გასროლა მოჰყვა, თუმცა ორივე აცდა სამიზნეს. ტაიმის დარჩენილ დროში პოზიციური ბრძოლები წავიდა და სახიფათო მომენტები გუნდებმა ვერ შექმნეს. ტაიმის ბოლო აკორდი ზუგდიდელი **კაკაბაძის** კარგად შესრულებული ჯარიმა გახლდათ, რომელიც **ქვაჩახიამ** რის ვაი-ვაგლახით მოიგერია.

მეორე ტაიმში ყველა მასპინძელთა გააქტიურებას ელოდა, თუმცა ასე არ მოხდა, რადგან ამ დღეს "მგლებმა" ნამდვილად ვერ იმგლეს და პირდაპირ შეიძლება ითქვას, თავდასხმაში ნამეტანი მოისუსტეს. მათ საპირისპიროდ კი "ამერი" მშვენიერად გაისარჯა, ნახევარმცველებმა დეკანოსიძის თავკაცობით კარგად დაიჭირეს ბურთი და შეტევის რიტმიც მათდა სასიკეთოდ ცვალეს. სტუმრები დრო და დრო საჭიროებისამებრ პრესინგსაც მიმართავდნენ და მთლიანობაში უკეთ გამოიყურებოდნენ, ვიდრე მასპინძლები.

**რჩეული**

**გიორგი დეკანოსიძე**

ყველაზე გამორჩეული ფიგურა იყო მოედანზე. მოედნის ცენტრში ჭკვიანურად და მიზანმიმართულად მოქმედებდა, კარგად ანაწილებდა პასებს, შეტევებშიც დროულად და ხშირად ერთვებოდა და რამდენჯერმე შორიდანაც კარგი დარტყმა შეასრულა.

**მერაბ ბრძელიძე**
ზუგდიდიდან

**ვიტ ჯორჯია-ბათუმი**

**4:1**

**28.10. მცხეთა. არმაზი**
**100 მაყურებელი**

1:0 გელაშვილი (18), 2:0 სახოკია (45), 2:1 დარჩიძე (52. პენ.), 3:1 კლიმიაშვილი (64), 4:1 გ. დათუნაიშვილი (70. ბერიაშვილის პასით)
ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი - პ. დათუნაიშვილი, ა. კვახაძე, ლომაია, ჯაფარიძე - გ. დათუნაიშვილი, რაზმაძე (86. ინჯგია), კლიმიაშვილი - ბეჭვაია, გელაშვილი (73. ლუჭაშვილი), სახოკია (46. ბერიაშვილი)
*სათადარიგოები: მიქაბერიძე, კაიშაური, პირველი, მაისაშვილი*
ბათუმი: თოთლაძე - თედორაძე, გალოგრე, ზ. ჭელიძე, მაკარიანი - კუნჭულია, ცანავა, ოქრუაშვილი (71. დემურაძე), კ. მახარაძე, დარჩიძე (78. ა. ბაჯელიძე)- ბეჟანიძე (46. ტულუში)
*სათადარიგოები: მამინაშვილი, ბაციკაძე*
გაფრთხილება: ზ. ჭელიძე (22), სახოკია (29), ცანავა (29)
გაძევება: ცანავა (74)
არბიტრი: ო. ხეცაძე

**12.** კლიმიაშვილის ჯარიმა "ბათუმის" მეკარემ კუთხურზე მოიგერია
**18.** 1:0 - გელაშვილმა თედორაძისა და თოთლაძის შეუთანხმებელი ქმედებით ისარგებლა და ახლო მანძილიდან ანგარიში გახსნა.
**33.** ბეჭვაიას შორეული დარტყმა სტუმართა კარს მცირედით ასხდა.
**38.** პავლე დათუნაიშვილმა საჯარიმოს მისადგომებიდან ძლიერად დაარტყა, "ბათუმი" ხარიხამ იხსნა.
**45.** 2:0 - რაზმაძის დარტყმული თოთლაძემ ხელებში ვერ შეიმაგრა, სახოკიამ თავით დაამატა.
**47.** პავლე დათუნაიშვილის შორეული დარტყმა კარს ზემოდან მცირედით ასცდა.
**52.** 2:1 - ლომაიამ საკუთარ საჯარიმოში დარჩიძე წააქცია, დაზარალებულმა პენალტი უნაკლოდ შეასრულა.
**64.** 3:1 - ისევ თოთლაძის უხეში შეცდომა, კლიმიაშვილის მიერ დარტყმული ჯარიმა "ბათუმის" მეკარეს ხელიდან გაუსხლტა.
**70.** 4:1 - ბერიაშვილმა ეფექტური პასით გიორგი დათუნაიშვილი მეკარესთან პირისპირ გაიყვანა.
**83.** ბერიაშვილმა ხარიხას დაარტყა.
**89.** ლუჭაშვილი სტუმართა კიპერთან პირისპირ გავიდა, მაგრამ თოთლაძეს ვერ აჯობა.



ანგარიში ნიკა გელაშვილმა გახსნა

# მძიმე სურათი

ოთხი გოლი და ამაზე მეტი განიავებული რეალური მომენტი - ასეთია ვეტერინართა გუშინდელი მონაგარი. მცხეთაში მხოლოდ ერთი გუნდი თამაშობდა, მეორე გუნდის ფეხბურთელები კი მხოლოდ იმაზე ზრუნავდნენ, საკუთარ კარში რაც შეიძლება ნაკლები გოლი მიეღოთ.

"ვიტ ჯორჯიას" გამარჯვების გარდა, ამ მატჩში სხვა შედეგი წარმოუდგენელი იყო, "ბათუმი" კი ისეთ დღეშია, უარესის წარმოდგენა შეუძლებელია. გუნდს მწვრთნელი შეუცვალეს, **ავთანდილ კუნჭულიასთვის** ეს პირველი თამაში იყო. რაკი ამ თანამდებობაზე მუშაობას დათანხმდა, ალბათ, ამ სპეციალისტს აქვს გუნდის იმედი, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, სავალალო მდგომარეობაში მყოფმა "ბათუმმა" უმაღლესში ადგილის შენარჩუნება შეძლოს. სასწაული რომც მოხდეს და მეორე წრიდან კლუბი სერიოზულად დაფინანსდეს, ჩამორჩენის ალმოფხვრა ძალიან გაჭირდება.

მატჩის სურათი სტენოგრამიდანაც შესანიშნავად ჩანს. მასპინძელთა უპირატესობა წამითაც არ დამდგარა ეჭვქვეშ, მაშინაც კი, როცა "ბათუმმა" შეხვედრაში შექმნილი ერთადერთი ნახევრადმომენტიდან პენალტი მოინადირა და სხვაობა შეამცირა.

ორი უხეში შეცდომა დაუშვა "ბათუმის" მეკარემ, თუმცა ცხადია, მარცხში მისი დადანაშაულება არ შეიძლება. გადაქანცულმა ბათუმელებმა მეორე ტაიმის დასკვნით ნაწილში მცირედი წინააღმდეგობის გაწევაც კი შეწყვიტეს და **ნესტორ მუმლაძის** შეგირდებს დასკვნით ფაზაში ოდნავ მეტი სიზუსტე რომ გამოეჩინათ, ანგარიში გაცილებით სოლიდური იქნებოდა.

მოკლედ, ამ მატჩმა "ბათუმს" პირველი ლიგა კიდევ უფრო ახლოდან დაანახა, "ვიტ ჯორჯია" კი ცხრილში ალბათ, იმ პოზიციაზეა, რომელიც ამ კლუბის მიზანსა და რეალურ ძალას შეეფერება.

**ლევან ჯანეზაშვილი**
მცხეთა-თბილისი

# პისკოვეცს კურიოზი დუშაშივით დაუჯდა

**ოლიმპი-სიონი**

**1:0**

**28.10. რუსთავი. ფოლადი**
**მაყურებელი**

1:0 სტურუა (86. ს.კ.)
ოლიმპი: მერლანი - მახვილაძე, ორბელაძე, აკუსაგა - კახელიშვილი, სილაგაძე, დევდარიანი, ქებაძე (72. ჟიკკოვიჩი), ნავალოვსკი (70. კოშკაძე) - დვალიშვილი (86. მგელაძე), რ. ჯიქია
სათადარიგოები: ალავიძე, გენაძე, ჩივაძე, მასუანგა
სიონი: სტურუა - ქურასბედიანი, სვანიძე, გ. ოქროპირიძე, რაქვიაშვილი - ვაშაკიძე, ბაჯელაძე, სანიკიძე (87. ქარდავა), ნადირაძე, ქუცურუა - ჩასემი
სათადარიგოები: ბობლიაშვილი, თავბერიძე, მენთეშაშვილი, გაგუა, ქუთათელაძე, მ. ოქროპირიძე
არბიტრი: გ. ვადაჭკორია

**12.** ორბელაძის შეცდომის შემდეგ ჩასემი კარგ პოზიციაზე გაიჭრა - მისი დარტყმული მერლანმა კუთხურზე მოიგერია.
**17.** ნიკა ნადირაძის ჩინებული პასით ლევან ბაჯელაძე, ფაქტობრივად, პირისპირ დარჩა მერლანთან, მაგრამ ბურთის გაჩერებას მყის დარტყმა ამჯობინა და სუსტი თავური მეკარემ იოლად მოიგდო ხელებში.
**23.** გიორგი კახელიშვილმა "სიონის" საჯარიმოში შეჭრილ ლაშა ქებაძეს დაუგორა, ვისაც დარტყმა გაუცუდდა.
**71.** ალეკო კოშკაძემ ბოლნისელთა კარის გასწვრივ ძალიან სახიფათოდ გაგზავნა ბურთი, თუმც ამ ეპიზოდიდან "ოლიმპი" მხოლოდ კუთხურს გამორჩა.
**77.** რეზო ჯიქია კარგად გაისარჯა, ლადო დვალიშვილს გადააწოდა ბურთი, რომელმაც ახლოდან ვერ გაისწორა მიზანი.
**86.** "სიონის" საჯარიმოში ჩაგდებულ ბურთზე ჯიქიამ იმარჯვა, სტურუას თავზე გადაავლო ბურთი, მაგრამ ოქროპირიძემ ზედ კარის ხაზიდან გამოიტანა იგი.
**86**. 1:0 - კუთხური კოშკაძემ ჩააწოდა სტურუა კარიდან 3-4 მეტრით გამოვიდა, მუშტებით სცადა მოგერიება და... ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა.

მოღუშული ამინდი, მძიმე გრუნტზე გაჩაღებული ტილაობა და კურიოზული გოლი - ასეთი ამბავი იყო გუშინ რუსთავში.

როცა კურიოზული გოლი განაპირობებს მატჩის შედეგს, ეს უკვე დრამაა, ფეხბურთის ერთ-ერთი უმთავრესი ელემენტია, ერთი ეპიზოდი, ერთი წამი, რომელიც ყველაფერს თავდაყირა აყენებს - **ზვიად სტურუას** ავტოგოლით "ოლიმპმა" ცხრილში ერთი საფეხურით აინაცვლა.

ტაიმნახევარი ბოლნისის "სიონი" კარგად უძალიანდებოდა ჩემპიონს. სიონელები მწყობრად თამაშობდნენ და პირველ ტაიმში მასპინძლებზე უფრო მეტი სახიფათო მომენტიც შექმნეს.

"ოლიმპს" არ ემჩნეოდა სიმწყობრე. **ანატოლი პისკოვეცს** ბევრი რამ აქვს დასალაგებელი გუნდში. არ ჰგავს ჩემპიონი გამართულ მექანიზმს და გუშინდელ გამარჯვებას მხოლოდ სტურუას შეცდომას ვერ დააბრალებს - ბოლნისელებს მატჩის ბოლოს ქანცი გამოეცალათ, რამაც რუსთაველებს მნიშვნელოვანი უპირატესობა შეუქმნა.

პირველ ტაიმში "ოლიმპს" შეტევაში, ფაქტობრივად, არაფერი გამოსდიოდა, მოედნის ცენტრშიც ვერ ჯობდა მეტოქეს და ფლანგებზეც არ წაუვიდა თამაში. "სიონი" ერთი შეხედვით ფრეზე თამაშობდა, დიდი ძალებით არ უტევდა, თუმცა ძალიანაც არ ფრთხილობდა - როგორც კი საშუალება მიეცემოდა იერიშს არ ერიდებოდა. ბოლნისელთაგან რამდენჯერმე **ნიკა ნადირაძე** გამოირჩა კარგი თამაშით.

შესვენების შემდეგ "ოლიმპი" შედარებით გააქტიურდა, თუმცა ტაიმის შუანელამდე მნიშვნელოვანი არაფერი შეუქმნია. "ოლიმპს" კარგად წაადგა **ალეკო კოშკაძის** შემოსვლა და რუსთაველები თანდათან აძლიერებდნენ ზეწოლას ბოლნისელებზე.

რამდენიმე სიონელს დაღლა დაეტყოთ, მაგრამ **გიორგი ყიფშიძე** შეცვლებს არ მიმართავდა. მოედნის ცენტრში "სიონი" მედგრად ველარ იბრძოდა, მთელი სიმძიმე დაცვას აწვებოდა და ბოლნისელებმაც ამდენს ველარ გაუძლეს.

თუმცა ვინ იცის, სტურუას შეცდომა რომ არა, როგორ დამთავრდებოდა მატჩი.



ანატოლი პისკოვეცი

**მატჩის შემდეგ**

**ანატოლი პისკოვეცი (ოლიმპი):** "მეორე ტაიმში განსაკუთრებული მონდომებით ვითამაშეთ და გავიმარჯვეთ. მაყურებელმა საინტერესო თამაში იხილა, მატჩს ინტრიგა ჰქონდა. "ოლიმპი" თანდათან წინ მიდის მიუხედავად იმისა, რომ ჯერ ბევრი რამე არ გამოგვდის. გაძლიერება, პირველ რიგში, ნახევარდაცვის ცენტრში გვჭირდება. რევაზ გენაძემ დღეს იმიტომ არ ითამაშა, რომ ამხანაგურ თამაშში ცხვირი გაუტყდა და მის მოედანზე გაყვანას მოვერიდეთ".

**გიორგი ყიფშიძე (სიონი):** "კურიოზული გოლი რომ არ გაგვეშვა, მატჩი ფრედ დასრულდებოდა, რაც ლოგიკური შედეგი იქნებოდა. სამივე შეცვლა იმიტომ არ გამოვიყენე, რომ ვინც მოედანზე იყო, მათი სრულფასოვანი შემცვლელები ამ ეტაპზე "სიონს" არ ჰყავს".

**დავით თავართქილაძე**
ბოლნისი-თბილისი

www.kazbegi.com
გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

# საყაიმო ოქტომბერი გორში

**დილა-ბორჯომი**

**0:0**

27.10. გორი. თ. ბურჯანაძე
300 მაყურებელი

დილა: კეჩხუაშვილი - ბალაშვილი, დ. ხანიშვილი, მასურაშვილი, ბალიაშვილი - ნოზაძე, ტლაშაძე, შატაკიშვილი (75. სადაღაშვილი), სულთანიშვილი (90. ლომიძე) - ბ. ჩიტაია, სამადაშვილი (88. იჩქითი)

*სათადარიგოები: ილურიძე, კურტანიძე, თურმანიძე, თაყაძე*

ბორჯომი: შეყრილაძე - ლონღაძე, ჭელიძე, მერებაშვილი, აკობია - მემარნიშვილი, ნერგაძე, ბაბუნაშვილი (90. თედიაშვილი), გრიგალაშვილი, კ. ხანიშვილი (87. გოგიჩაიშვილი) - ჯიქია

*სათადარიგოები: გლუნჩაძე, ყველაშვილი, ქარქუზაშვილი, დევიძე, ნასყიდაშვილი*

გაფრთხილება: ჭელიძე (19), მასურაშვილი (24), ჩიტაია (27), აკობია (60), გრიგალაშვილი (68)

არბიტრი: ლ. ფანიაშვილი

**2.** მემარნიშვილის ფლანგური ჩაწოდებისას კარიდან ორიოდ მეტრში მდგარ კობა ხანიშვილს საჰაერო ბრძოლა ბალაშვილმა მოუგო და არ გაატანინა.

**30.** აკობიას მიერ საჯარიმოში სახიფათოდ ჩაწოდებულ ბურთზე ბრძოლისას ნერგაძემ მცველებს დაასწრო, მაგრამ მისი შეუჩერებელი დარტყმა მცირედით ასცდა კარს.

**44.** კეჩხუაშვილი გამოსვლაზე შეცდა, თუმცა ლევან მერებაშვილის ახლოდან დარტყმული არაზუსტი გამოდგა.

**71.** ჯიქიას მოზომილი პასი კობა ხანიშვილმა დაახლოებით პენალტის ნიშნულიდან კარისკენ გადააგზავნა, კეჩხუაშვილმა შეძლო მოგერიება.

**72.** გურამ სამადაშვილი ფლანგიდან შეიჭრა სტუმართა საჯარიმოში, ჩამოიცილა მეურვეც და მეკარეც, მაგრამ მახვილი კუთხე იყო და „ბორჯომი" აშკარა გოლს გადარჩა.

**76.** ისევ სამადაშვილის დარტყმას ახლო მანძილიდან მცველები გადაეფარნენ.

**77.** მარჯვენა ფრთიდან სულთანიშვილის ჩაწოდებულ კუთხურისას საპირისპირო ძელთან ახლოსმდგარმა ლაშა ბალიაშვილმა არცთუ ძლიერად დაუხვედრა თავი და ბურთი შეყრილაძის იოლი ლუკმა გახდა.

სტაბილურად, ჩავარდნების გარეშე ასპარეზობს. თავის მხრივ, გორის „დილას" მხოლოდ სეზონის დასაწყისი ჰქონდა რიგიანი, რასაც მერე ძალიან ცუდი შედეგები მოაყოლა. ოქტომბერში კი ამ გუნდმა ჩემპიონატსა და თასის გათამაშებაზე ოთხიდან სამი მატჩი შინ გამართა („ოლიმპთან", „ზესტაფონთან", „ბორჯომთან") და სამჯერვე ფრე გაახერხა, რაც არცთუ სახარბიელოდ მოთამაშე გორელთათვის, შეიძლება ითქვას, მიღწევაა.

გუშინწინაც საბოლოოდ მშრალი ანგარიშით დასრულებული შეხვედრა, მეორე წუთზევე შეიძლებოდა გოლით დაწყებულიყო, **კობა ხანიშვილისთვის** თავით ბურთის კარში გადაგზავნისთვის ბრძოლაში **გიორგი ბალაშვილს** რომ არ ემარჯვა. სტუმართა მარჯვენა ნახევარმცველმა მისი ფლანგიდან მოწყობილი შეტევებით თავისი ყოფილი გუნდის კარის აღება კიდევ რამდენჯერმე სცადა, მაგრამ, როგორც იმავე ბალაშვილმა, ასევე საკუთარმა ძმამ **დათო ხანიშვილმა** არ მისცეს ჩანაფიქრის სისრულეში მოყვანის საშუალება. საერთოდ პირველ ტაიმში სტუმართა ნახევარდაცვა მეტოქე შუახაზელებთან შედარებით უკეთ ირჯებოდა, შესაბამისად, მოედნის ცენტრიც ხშირად მათ კონტროლქვეშ იმყოფებოდა, მაგრამ უწინდელი მატჩებისაგან განსხვავებით, ინერტული იყო მათი გოლეადორი **შოთა ჯიქია** და **ბესიკ კეჩხუაშვილის** კართან შექმნილი აღნიშვნის ღირსი სახიფათო მომენტებიდან თითქმის არცერთის დამაგვირგვინებელ ფაზაში იგი არ ჩანდა.

გულხელდაკრეფილნი არც გორელები ყოფილან. მასპინძელთა მთავარი მოიერიშე **გურამ სამადაშვილი** და მისი თანაგუნდელები გამუდმებით ცდილობდნენ **ბექა შეყრილაძის** კარის დასალაშქრი გზების ძიებას, მაგრამ ამაოდ.

სიმწვავე მეორე ტაიმში უფრო შესამჩნევი გახლდათ. ორივე გუნდის მოქმედებაში მოიმატა ტემპმა და ამასთან ერთად გაიზარდა სახიფათო მომენტების ოდენობაც ორივე კართან. მოწინააღმდეგე გუნდები თამაშის მთელ მოედანზე გაშლასაც ცდილობდნენ და კომბინაციური ფეხბურთის ჩვენებასაც, თუმცა... ჩვენს ჩემპიონატში მხოლოდ ამ ფეხბურთელების პრობლემა არაა ხშირი არაზუსტი პასები, ინდივიდუალური შესრულების დაბალი დონე და საერთოდ მობურთალთა მოქმედებისას თვალშისაცემი ტექნიკური წუნი.

ერთგვარი კულმინაცია 71-ე წუთიდან დაახლოებით ათი წუთი გრძელდებოდა. დროის ამ მონაკვეთში ჯერ „ბორჯომი" და შემდეგ სამჯერ „დილა" ახლოს იყვნენ გოლთან, თუმცა ვერავინ მოახერხა ბადეში ბურთის შეგდება.

გარკვეული დოზით მთელ მატჩს სიხისტეც ახლდა თან, რისი აღკვეთაც **ფანიაშვილმა** ყვითელი ბარათებით სცადა, ოღონდ შეხვედრის ბოლოსკენ დასჯის ასეთ მეთოდს აღარ მიმართავდა.



ვლადიმერ ხაჩიძე

**რჩეული:**

**ლაშა ბალიაშვილი**

**მწვრთნელის დავალებით იგი უწინ მარჯვენა მცველიც ყოფილა და ნახევარმცველიც. მას რომ თავდამსხმელის პატარა გამოცდილებაც ჰქონოდა, ვფიქრობთ, ამ მატჩში რომელიმე მომენტს მაინც აქცევდა გოლად. ის ალბათ, იმსახურებდა, რომ არათუ ჩვენ, არამედ გატანილ გოლსაც გამოერჩია.**

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

# მოულოდნელი გამარჯვება

**ლოკომოტივი-მერანი**

**0:2**

28.10. თბილისი. მ. მესხი
70 მაყურებელი

0:1 ტყეშელაშვილი (28), 0:2 გოჩაშვილი (70)

ლოკომოტივი: მიგინეიშვილი, ფოფხაძე, კვახაძე, ლალაძე, ქუხილავა, სამხარაძე, ბარბაქაძე (46. ბობოხიძე), გულორდავა (37. ჟღენტი), ხოხონიშვილი (57. მიქაძე), იმედაძე, ალავერდაშვილი

*სათადარიგოები: ცერცვაძე, კობიაშვილი, ტიკურიშვილი, ჩაგელიშვილი*

მერანი: თევდორაძე, კობიაშვილი, სარალიძე, გიგაური, გოჩაშვილი, ჯანგიძე, ფურთუხია, ბურჯანაძე (71. კობერიძე), ტყეშელაშვილი, ქემაშვილი (46. ავალიანი), შენგელია (63. კალაძე)

*სათადარიგოები: ლომაშვილი, დეისაძე იაგო, დეისაძე იაკობი, მამარდაშვილი*

გაფრთხილება:ბურჯანაძე (33), ჯანგიძე (40), ფურთუხიამ (58), ლალაძე (60), მიქაძე (65).

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი

**10.** ქემაშვილის მიერ დარტყმული ჯარიმა მეკარემ მოიგერია.

**12.** ისევ ქემაშვილი ურტყამს, მაგრამ მიგინეიშვილი თამაშობს კარგად.

**24.** სამხარაძის დარტყმული ჯარიმა მეკარემ მოიგერია.

**28.** 0:1 მეკარესთან პირისპირ გასულ შენგელიას, მიგინეიშვილმა აუღო, დამატებაზე ყველას ტყეშელაშვილმა დაასწრო და გახსნა ანგარიში.

**65.** მიქაძე წააქციეს საჯარიმოში. მასპინძლები პენალტს ითხოვდნენ.

**70.** 0:2 - გოჩაშვილმა ცენტრში მიილო ბურთი. დაიძრა მასპინძელთა კარისკენ. გზად ხელისშემშლელი არავინ შეხვდა და საბოლოოდ რეიდი მეორე გოლით დასრულდა.

**82.** მასპინძლები სასწაულებრივ გადაურჩნენ მესამე გოლს.

**90.** ისევ სამხარაძე ურტყამს და მეკარე თამაშობს კარგად.

მოულოდნელი შეიძლება ვუწოდოთ ანგარიშს, რომელიც გუშინ მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე დაფიქსირდა. რადგან არავინ ელოდა აუტსაიდერის გამარჯვებას "ლოკომოტივთან". აქამდე ხომ"მერანს" ცხრა თამაშში მხოლოდ სამი ქულა ჰქონდა მოპოვებული.

აღსანიშნავია ორივე გუნდის ბავშვური შეცდომები, რაც თავის მხრივ თამაშს სანახაობას უკარგავდა. ტაიმის პირველ ოც წუთში ვერ გამოარჩევდით გუნდს რომელსაც საგრძნობი უპირატესობა ჰქონდა. რამდენიმეჯერ ლოკომოტიველებს შეეძლოთ ანგარიში გახსნა, მაგრამ ხან მეკარე ყოჩაღობდა, ხანაც მცველები. ერთ-ერთ ეპიზოდში მასპინძები პენალტს ითხოვდნენ - **სამხარაძე** წაიქცა საჯარიმოში. საინტერესო იყო **დავით ეჯიბიშვილის** გადაწყვეტილება - მან **გოჩაშვილი** მარჯვენა მცველად ათამაშა მთელი პირველი ტაიმი."მერანის" მეათე ნომერმა მწვრთნელის დავალება არც თუ ურიგოდ შეასრულა. ბურთის ფლობის მხრივ უპირატესობა ტაიმის მეორე ნახევარში სტუმრებმა იგდეს ხელთ და გოლმაც არ დააყოვნა - მეკარესთან პირისპირ გასულმა **შენგელიამ** ბურთი ვერ გაიტანა, **მიგინეიშვილმა** მოიგერია. დამატებაზე კი ბურთთან პირველი **ტყეშელაშვილი** გაჩნდა და ანგარიშიც გახსნა. მალევე შენგელიას ჰქონდა კიდევ ერთი მომენტი, მაგრამ თავით დარტყმული არაზუსტი გამოდგა და კარს ააცილა.

მეორე ტაიმში თამაში გაცილებით სანახაობრივი იყო. ლოკომოტიველებს ანგარიშის გათანაბრება შეეძლოთ, მაგრამ მთავარმა არბიტრმა თერთმეტმეტრიანი არ დანიშნა, როდესაც ერთი ერთზე გასული **მიქაძე** საჯარიმოში წაიქცა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გატანილი გოლის შემდეგ სტუმრებმა დაცვით ტაქტიკას არ მიმართეს, რამაც გაამართლა და "მერანმა" მეორე ბურთიც გაიტანა. პირველი ტაიმისგან განსხვავებით გოჩაშვილი მეორე ნახევარში გამოკვეთილ ფორვარდად თამაშობდა და თავისი სათქმელი თქვა კიდეც. სტუმრებს მესამეს გატანაც შეეძლოთ, მაგრამ მასპინძელთა საჯარიმოში, შეიძლება ითქვას, სასწაული მოხდა, როდესაც ზედიზედ რამოდენიმე დარტყმის შემდეგ მერანელებმა გოლი მაინც ვერ გაიტანეს უმეკარეო კარში. თამაშის მიწურულს მასპინძლებმა პატარა შტურმი მოაწყვეს მეტოქის კართან, მაგრამ უშედეგოდ. მხოლოდ სამხარაძემ შეძლო კარში დარტყმა, მაგრამ სტუმრებს ამით ვერაფერი ავნო.

**ავთანდილ ცეცხლაძე**

ქალთა ფეხბურთი. U17. ევროპის ჩემპიონატი

# სტარტი დიდი მარცხით



ინგლისელებმა ხეირიანად მისალმებაც არ გვაცალეს...

თბილისში შაბათს 17-წლამდე გოგონათა შორის ევროპის ჩემპიონატის პირველი შესარჩევი ციკლის მატჩები დაიწყო. თავიდანვე გამცნობთ, რომ მატჩები 40 წუთიანი ტაიმებისგან შედგება. რუსთავში რუსეთმა სლოვაკეთი 3:1 დაამარცხა. ამ მატჩის თანამსაჯის რანგში საერთაშორისო დებიუტი ჰქონდა 20 წლის **ლალი გახოკიას**. ის ვაჟთა შორის, თებერვალში, საქართველო-თურქეთის ეროვნული ნაკრებების ამხანაგურ შეხვედრაში მეოთხე მსაჯი გახლდათ. მას მერე ლალი გახოკია ეროვნული ჩემპიონატის პირველი ლიგის მატჩებზე თანამსაჯის მოვალეობას ასრულებს.

რაც შეეხება საქართველოს 17-წლამდე გოგონათა ნაკრებს, **მაია ჯაფარიძის** გუნდი თბილისში, "მიხეილ მესხზე" ინგლისთან დიდი ანგარიშით, 0:13 დამარცხდა. ამ მატჩში ჩვენმა გუნდმა შემდეგი შემადგენლობით იასპარეზა:

**ჩაბაშვილი, პასიკაშვილი (80. პაქსაშვილი), სუთიძე, ჯოხაძე, ტოკლიკიშვილი, ხვედელიძე, თათუაშვილი, დიასამიძე, ლომიძე, კვალიაშვილი, სალუქვაძე.**

დღეს, მეორე ტურის მატჩები გაიმართება. რუსთავში საქართველო რუსეთს 12 საათზე ეთამაშება, 15 საათზე "მიხეილ მესხზე" ინგლისი სლოვაკეთს დაუპირისპირდება.

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკე, მოგვწერე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

ყაზბეგი
www.kazbegi.com
გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ურტყით კარში, ქართველებო!




გოგიტა გოგუა და იგორ ტიტოვი

**ქართული ლეგიონის ერთადერთი გოლი ამ უქმეებზე დავით მუჯირის ანგარიშზეა, რომელმაც მოსკოვის ცსკა-ს კარის ბადე შეარხია, თუმცა მის კლუბს კიდევ უფრო მკაფიოდ დაემუქრა დაქვეითების საფრთხე. ისე, რუსეთში, რომლის პირველობაც დასასრულს უახლოვდება, ირიბად მაგრამ მაინც - ჩემპიონის ბედი შესაძლოა ქართველმა გაარკვია..**

## ახლა სამბას დროა

სერია A-ს ცენტრალურ მატჩში "მილანი" მოულოდნელად დამარცხდა "რომასთან". **კახა კალაძემ** 90 წუთი ითამაშა. სამწუხაროდ, გასულ ტურში **ზურაბ ხიზანიშვილის** გამოჩენა "ბლექბერნის" რიგებში ეპიზოდური გამოდგა, "ტოტენჰემთან" მატჩში ზურა განაცხადშიც ვერ მოხვდა, გამარჯვების გოლი კი მის პოზიციაზე მოთამაშე **სამბამ** გაიტანა.

## მხოლოდ სირაძემ ითამაშა

"შალკეს" ტრავმირებული **ლევან კობიაშვილის** გარეშე უწევს ფონს გასვლა. გერლზენკირხენული გუნდი ამას უხეიროდ აკეთებს, მე-11 ტურში "შალკე" შინ "ვერდერს" დაუზავდა - 1:1. ლევანის გუნდი 18 ქულით მეხუთე ადგილზეა. "კარლსრუეს" მწვრთნელმა **ედმუნდ ბეკერმა** წინა ტურთან შედარებით შემადგენლობაში ერთი ცვლილება განახორციელა, **ალექსანდრე იაშვილი** სათადარიგოთა სკამზე დასვა, მის ნაცვლად კი სასტარტოში სამხრეთაფრიკელი **ბრედლი კარნელი** დააყენა. "კარლსრუე" "ჰანზასთან" ფრეს (0:0) დასჯერდა.

**დავით სირაძის** "პადერბორნი" "კიოლნს" ეწვია და 1:2 დამარცხდა. სირაძემ 90 წუთი ითამაშა, თუმცა სეზონის პირველი გოლი ვერ გაიტანა. "კარლ ცაისი" შინ ""ფრაიბურგთან" დამარცხდა. თეორიულად ამ თამაშში შესაძლებელი იყო ერთდროულად ოთხი ქართველი გვეხილა, პრაქტიკულად მასპინძლების სათადარიგოთა სკამზე **ილია კანდელაკი** ვიხილეთ, სტუმრებისაზე კი - **ოთარ ხიზანეიშვილი**. **მათე ღვინიანიძემ** თავისი დისკვალიფიკაციის პირველი მატჩი გამოტოვა. "ფრაიბურგი" 23 ქულით მეორე ადგილზეა, მესამეზე "მიუნხენ 1860" - 21 ქულით. "კარლ ცაისი" 6 ქულით ბოლოსწინა ადგოლზეა, "პადერბორნს" ოთხი ქულა აქვს და ბოლოა.

## შაშიაშვილი დაბრუნდა

კარგი დასაწყისის შემდეგ საქართველოს ნაკრების მცველის **გიორგი შაშიაშვილის** "შტურმი" ავსტრიული ბუნდესლიგის ათგუნდიან ჩემპიონატში მეშვიდე ადგილზე მყარად დამკვიდრდა. ბოლო ტურში "შტურმი" "ალტახს" ესტუმრა, რომელიც ცხრილში ერთი საფეხურით ქვემოთ იმყოფება. ამ შეხვედრისთვის სხვებთან ერთად "შტურმს" გიორგი შაშიაშვილიც დაუბრუნდა, რომელმაც წინა ტურის შეხვედრა გამოტოვა. მატჩი 0:0 დასრულდა. "შტურმს" 16 თამაშიდან 22 ქულა აქვს.

დანიაში დამარცხდა **გიორგი ფოფხაძის** "ვიბორგი", ბოლოსწინა ადგილზე მყოფმა "ვიბორგმა" "მიდტიულანდთან" წააგო - 1:2. "ვიბორგს" 13 თამაშიდან მხოლოდ 10 ქულა აქვს. ქართველ მცველს არ უთამაშია.

შვეიცარიაში "თუნმა" "ციურიხს" უმასპინძლა, მატჩის 76-ე წუთზე **სანდრო იაშვილი ნელსონ ფერეირას** ნაცვლად შევიდა. იმ დროისთვის უკვე დაფიქსირებული იყო საბოლოო ანგარიში - 1:1. "თუნი" 12 თამაშიდან ამდენივე ქულით ბოლოსწინა ადგილზეა.

## გოგუამ ჩემპიონი შეცვალა?

ორი ტურიც და რუსეთის პრემიერლიგა დასრულდება, გაafთრებული ბრძოლები მიდის, როგორც ჩემპიონობისთვის, ასევე უმაღლეს დივიზიონში ადგილის შესანარჩუნებლად. ერთ-ერთი კლუბი, რომელსაც დაქვეითების საფრთხე ემუქრება ვლადივოსტოკის "ლუჩია", სადაც **ლევან გვაზავა** თამაშობს. "ლუჩი" "ხიმკის" ესტუმრა, ამ გუნდებს შორის სულ ორი ქულა იყო სხვაობა, ამიტომაც მატჩს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მოწინააღმდეგეებისთვის, "ხიმკიმ" 3:0 მოიგო და ფაქტობრივად დადებითად გადაწყვიტა საკითხი, გვაზავას გუნდს კი მძიმე გამოცდა ელის. ლევანმა მხოლოდ პირველი ტაიმი ითამაშა, ის მე-6 წუთზე უხეშობისთვის გააფრთხილეს. სამწუხაროდ, ამ მატჩის ანტიგმირად სწორედ გვაზავა მოგვევლინა, რომელმაც ჯერ ასპროცენტიანი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა - ერთ-ერთზე გასულმა მეკარეც მოატყუა, მაგრამ ცარიელ კარს ბურთი მახვილი კუთხიდან ვერ გაარტყა, შემდეგ, 21-ე წუთზე საკუთარ საჯარიმოში ხელით ითამაშა და მსაჯმაც პენალტი უყოყმანოდ დანიშნა.

თითქმის ასეთივე შინაარსის მატარებელი იყო "რუბინის" და "ყუბანის" შეხვედრა, ერთი სხვაობით - ყაზანელთა გუნდს "ლუჩზე" ოდნავ უკეთესი მდგომარეობა ჰქონდა. **ნუკრი რევიშვილი** სათადარიგოთა სკამზე იჯდა, **ლაშა სალუქვაძე** კი სასტარტო შემადგენლობაში იყო. ის 72-ე წუთზე (1:2-ზე) შეცვალეს.

გუშინ ჩემპიონობისთვის მებრძოლ "სპარტაკს" ფეხი პოდმოსკოვიეში დაუცდა, "სატურნი" შინ 0:0 დაუზავდა ლიდერს. **გოგიტა გოგუა** 77-ე წუთზე შევიდა **დმიტრი კირიჩენკოს** ნაცვლად. რუსმა ჟურნალისტებმა ასე შეაფასეს ქართველის გამოსვლა: "*გაჯიევმა კიდევ ერთხელ გადააწყო თამაში - კირიჩენკოს ნაცვლად მოედანზე გოგოუ შეუშვა და თავისას მიაღწია, "სატურნმა" ხელთ ინიციატივა იგდო*".

გავარდნის კიდევ ერთი კანდიდატი "კრილია სოვეტოვი" ცსკა-ს ესტუმრა, **დავით მუჯირი** სათადარიგო იყო, ის 44-ე წუთზე შევიდა მოედანზე (0:3-ზე). ქართველმა ნახევარმცველმა მალე (51-ე წუთზე) სეზონის მეშვიდე გოლი გაიტანა, თუმცა ამან ვერ იხსნა სამარელთა კლუბი - 2:4. მოსკოვის "ლოკომოტივი" "ტომს" დაუზავდა - 0:0. **მალხაზ ასათიანს** ტრავმის გამო არ უთამაშია.

"სპარტაკის" წაფორხილებით შესანიშნავად ისარგებლა "ზენიტმა", რომელმაც 3:0 აჯობა **ალექსანდრე ამისულაშვილის** ნალჩიკის "სპარტაკს" და საჩემპიონო რბოლაში დაწინაურდა.

## ალადაშვილმა არ შეასრულა

მე-14 ტურში უჟგოროდის "ზაპოროჟიემ" ბოლოადგილოსან "ნეფტიანიკს" უმასპინძლა. სამწუხაროდ, მოედანზე ქართველთა ურთიერთდაპირისპირება ვერ ვიხილეთ - უკვე მეორე მატჩია ახტირკელთა მწვრთნელი "ნეფტიანიკის" 30 წლის ფორვარდ **ვასილ გიგიაძეს** სათადარიგოთა სკამზე ტოვებს. მასპინძელთა რიგებში ორივე ქართველი ლეგიონერი სასტარტოში იყო. **კახა ალადაშვილი** სახიფათოდ აწოდებდა ფლანგებიდან, თუმცა 36-ე წუთზე ის **ვლადისლავ მიკულიაკით** შეცვალეს. **ოთარ მარცვალაძეს** მეორე ტაიმის დასაწყისში საგოლე მომენტი ჰქონდა, მან დამუშავების გარეშე საკმაოდ მახვილი კუთხიდან დაარტყა, სტუმართა გოლკიპერმა მხოლოდ განმეორებითი ნახტომით შეძლო ბურთის შეკავება. 70-ე წუთზე მარცვალაძეც შეცვალეს. ალადაშვილის ნაადრევად შეცვლამ დაგვაეჭვა, თუმცა ტრავმა არაფერ შუაშია: "*ალადაშვილი იმიტომ შევცვალე, რომ ის მოედანზე იმას არ აკეთებდა, რაც მატჩამდე დავავალე*", - განაცხადა პრესკონფერენციაზე მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელმა **ვლადიმირ შარანმა**. სხვათა შორის, უკრაინელ ჟურნალისტებს ალადაშვილის შეცვლა გაუგებრად მიაჩნიათ, რადგან ის ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო იყო მასპინძელთა მხრიდან. "ზაკარპატიეს" 14 ქულა აქვს და პირველი წრის დასრულებამდე ტურით ადრე გასავარდნ ზონას მხოლოდ ქულა აშორებს.

კიევში "არსენალმა" "კრივბასს" უმასპინძლა. გიგიაძის არ იყოს, კიდევ ერთ ვეტერან ქართველ ფორვარდს აქვს შემადგენლობაში მოხვედრის პრობლემა. **გიორგი დემეტრაძე** მოედანზე მხოლოდ 75-ე წუთზე გამოჩნდა. დროის ამ მცირე მონაკვეთში მან ერთი სახიფათო გარღვევა, კუთხურის მოწოდება და ყვითელი ბარათის მიღება მოასწრო. **ალექსანდრ ზავაროვს** მატჩის შემდეგ დემეტრაძის შესახებ შეეკითხნენ, რომელმაც, უკრაინელი ჟურნალისტების აზრით, მასპინძელთა თამაშში სიმწვავე შეიტანა: "*პირველივე წუთებიდან დემეტრაძის გამოყვანა არ ივარგებდა, მას გაუჭირდებოდა სტუმართა მაღალი მცველების წინააღმდეგ თამაში და თავის უპირატესობას ვერ გამოიყენებდა*". "არსენალს" 16 ქულა აქვს და, ისევე როგორც ყველა გუნდს პირველი ხუთეულის შემდეგ, ამ სეზონში ადგილის შენარჩუნებისთვის მოუწევს ბრძოლა.

**ლაშა ჯაკობია** დონეცკის "მეტალურგთან" მატჩში "მეტალისტის" სასტარტო შემადგენლობაში ვიხილეთ. 25-ე წუთზე მან ვარდნაში ახლო მანძილიდან სახიფათოდ დაარტყა, თუმცა ბურთი კარს ოდნავ გადააცილა. ჯაკობია მე-80 წუთზე შეცვალეს, მატჩი კი 1:1 დასრულდა. "მეტალისტი" 27 ქულით მეოთხე ადგილზეა.

"ზარია" სიმფეროპოლს ეწვია და "ტავრიასთან" 0:2 დამარცხდა. **ლადო ბურდული** 55-ე წუთზე შეცვალეს. მანამდე მან ყვითელი ბარათი მიიღო. მეორე ზარიელი ქართველი, **გიორგი ციმაკურიძე** სათადარიგო იყო. "დნიპრო" კვლავ მეორე ადგილზეა, **ჯაბა კანკავა** ზაპოროჟიეს "მეტალურგთან" მატჩის 61-ე წუთზე გამოჩნდა. "დნიპრომ" 1:0 გაიმარჯვა. წაგებულთა რიგებში სასტარტოში იყო **დავით კვირკველია**, ის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური იყო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

| ფეხბურთელი | მატჩი | ანგ. | შენიშვნა | სეზ. სტატ. |
|---|---|---|---|---|
| **იტალია** | | | | |
| სერია A, IX ტური | | | | |
| კახა კალაძე | მილანი-რომა | 0:1 | 90 წუთი | 7 თ, 0 გ. |
| **ესპანეთი** | | | | |
| პრიმერა, IX ტური | | | | |
| შოთა არველაძე | ლევანტე-ატლეტიკო | 0:1 | ტრავმა | 0 თ, 0 გ. |
| **ინგლისი** | | | | |
| პრემიერლიგა, XI ტური | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ტოტენჰემი-ბლექბერნი | 1:2 | არ უთამაშია | 1 თ, 0 გ. |
| **გერმანია** | | | | |
| ბუნდესლიგა, XI ტური | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე-ვერდერი | 1:1 | ტრავმა | 4 თ, 1 გ. |
| ალექსანდრე იაშვილი | ჰანზა-კარლსრუე | 0:0 | სათადარიგო | 9 თ, 0 გ. |
| II ბუნდესლიგა, XI ტური | | | | |
| მათე ღვინიანიძე | მიუნხენი-კობლენცი | 3:0 | დისკვალიფიკაცია | 10 თ, 0 გ. |
| ოთარ ხიზანეიშვილი | კარლ ცაისი-ფრაიბურგი | 1:2 | სათადარიგო | 1 თ, 0 გ. |
| დავით სირაძე | კიოლნი-პადერბორნი | 2:1 | 90 წუთი | 7 თ, 0 გ. |
| ილია კანდელაკი | კარლ ცაისი-ფრაიბურგი | 1:2 | სათადარიგო | 6 თ, 0 გ. |
| გიორგი ონიანი | კარლ ცაისი-ფრაიბურგი | 1:2 | არ უთამაშია | 3 თ, 0 გ. |
| გიორგი სეთურიძე | კარლ ცაისი-ფრაიბურგი | 1:2 | ტრავმა | 0 თ, 0 გ. |
| რეგიონალლიგა, XII ტური | | | | |
| მიხეილ საჯაია | როიტლინგენი-ელვერსბერგი | 4:0 | არ უთამაშია | 5 თ, 0 გ. |
| **უკრაინა** | | | | |
| ვიშა ლიგა, XIV ტური | | | | |
| დავით კვირკველია | დნიპრო-მეტალურგი ზ. | 1:0 | 90 წუთი | 14 თ, 1 გ. |
| ლაშა ჯაკობია | მეტალისტი-მეტალურგი დ. | 1:1 | 80 წთ. (შეცვალეს) | 3 თ, 0 გ. |
| ვასილ გიგიაძე | ზაკარპატიე-ნეფტიანიკი | 0:0 | სათადარიგო | 13 თ, 0 გ. |
| ლადო ბურდული | ტავრია-ზარია | 2:0 | 55 წთ. (შეცვალეს), გააფრთხ. | 14 თ, 0 გ. |
| გიორგი ციმაკურიძე | ტავრია-ზარია | 2:0 | სათადარიგო | 2 თ, 0 გ. |
| გიორგი დემეტრაძე | არსენალი-კრივბასი | 0:0 | 15 წთ. (შეცვლაზე). გააფრთხ. | 13 თ, 2 გ. |
| ოთარ მარცვალაძე | ზაკარპატიე-ნეფტიანიკი | 0:0 | 70 წთ. (შეცვალეს) | 12 თ, 1 გ. |
| კახა ალადაშვილი | ზაკარპატიე-ნეფტიანიკი | 0:0 | 36 წთ. (შეცვალეს) | 7 თ, 0 გ. |
| ჯაბა კანკავა | დნიპრო-მეტალურგი ზ. | 1:0 | 29 წთ. (შეცვლაზე) | 12 თ, 1 გ. |
| **ავსტრია** | | | | |
| ბუნდესლიგა, XVI ტური | | | | |
| გიორგი შაშიაშვილი | ალტახი-შტურმი | 0:0 | 90 წუთი | 15 თ, 0 გ. |
| II ბუნდესლიგა, XIII ტური | | | | |
| მირზა გველავა | ავსტრია ლ.-შვანენშტადტი | 3:2 | ტრავმა | 3 თ, 0 გ. |
| **დანია** | | | | |
| სუპერლიგა, XIV ტური | | | | |
| გიორგი ფოფხაძე | მიდტიულანდი-ვიბორგი | 2:1 | არ უთამაშია | 6 თ, 0 გ. |
| **შვეიცარია** | | | | |
| სუპერლიგა, XIII ტური | | | | |
| სანდრო იაშვილი | თუნი-ციურიხი | 1:1 | 14 წთ. (შეცვლაზე) | 8 თ, 0 გ. |
| **რუსეთი** | | | | |
| სუპერლიგა, XXVIII ტური | | | | |
| გოგიტა გოგუა | სატურნი-სპარტაკი | 0:0 | 13 წთ. (შეცვლაზე) | 13 თ, 0 გ. |
| ნუკრი რევიშვილი | რუბინი-კუბანი | 2:2 | სათადარიგო | 2 თ, -2 გ. |
| ლაშა სალუქვაძე | რუბინი-კუბანი | 2:2 | 44 წთ. (შეცვალეს) | 13 თ, 1 გ. |
| დავით მუჯირი | ცსკა-კრილია სოვეტოვი | 4:2 | 41 წთ. (შეცვლაზე), 1 გოლი | 24 თ, 7 გ. |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი-ტომი | 0:0 | ტრავმა | 13 თ, 1 გ. |
| ალექო ამისულაშვილი | სპარტაკი ნ.-ზენიტი | 0:3 | 90 წუთი | 28 თ, 3 გ. |
| ლევან გვაზავა | ხიმკი-ლუჩი | 3:0 | 45 წთ. (შეცვალეს), გააფრთხ. | 22 თ, 1 გ. |



გიორგი შაშიაშვილი კვლავ ძირითადში იყო

## ტორინო-კალიარი 2:0

**ტორინო:** სერენი-6, დი ლორეტო-6.5, ლანა-5.5, კომოტო-6, დელაფიორე-6, როზინა-6, კორინი-6, ბოტონე-6.5, ვაილატი-6.5 (54. სტელონე-5), რეკობა-6.5 (38. მოტა-6), ვენტოლა-5 (66. მალონგა-6).

**კალიარი:** ფორტინი-6, ბისერა-6, დელ გროსო-6, ბიანკო-6, ფერი-5.5, ფინი- (75. აკვაფრესკა-შ.გ), კონტი-6.5, ბუდელი-6, ფოჯა-7, პაროლა-5.5 (84. ა. დ'აგოსტინო-შ.გ), მატრი-6 (83. ლარივეი-შ.გ).

**გოლები:** 1:0 როზინა (71), 2:0 ფერი (86-საკ. კარში)

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 3-10; **ჯარიმა:** 28-17; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 9-17 (6-7); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 20 000

## ნაპოლი-იუვენტუსი 3:1

**ნაპოლი:** იეცო-6, კანავარო-6, დომიცი-7, სავინი-6, დარიში-6 (83. კონტინი-შ.გ), კუპი-6, გარგანო-6.5, ბლაზი-7, ჰამსიკი-6, ლავეცი-6 (78. კალაიო-შ.გ), სალაიეტა-6.5 (90. სოსა-შ.გ).

**იუვენტუსი:** ბუფონი-6, გრიგერა-6 (74. მარკიონი-შ.გ), ლეგროტალიე-6, მოლინარო-5.5, კიელინი-6.5, ალმირონი-4.5 (87. ტიაგო-შ.გ), სალიჰამიჯიჩი-5.5, ნოჩერინო-5, დელ პიერო-6, პალადინო-6.5 (80. იაკუინტა-შ.გ), ტრეზეგე-6.

**გოლები:** 0:1 დელ პიერო (46), 1:1 გარგანო (48), 2:1 დომიცი (62-პენ), 3:1 დომიცი (69-პენ)

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 5-4; **ჯარიმა:** 16-17; **თამაშგარე:** 8-2; **კარში დარტყმა:** 10-15 (9-8); **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**მაყურებელი:** 63 000

## პალერმო-ინტერი 0:0

**პალერმო:** ა. ფონტანა-7, ბიავა-6.5 (82. რინაუდო-შ.გ), კაპუანო-6.5 (78. კასანი-შ.გ), ძაკარდო-6, ბარძალი-6.5, ბრეშანო-5 (41. მიკოლი-6), სიმპლისიუ-6, გუანა-6.5, დიანა-6, კაზერტა-6.5, ამაური-6.

**ინტერი:** ჟულიო სეზარი-6 (46. ორლანდონი-6), კორდობა-6.5, კივუ-6, ხ. ძანეტი-6, მაიკონი-6.5, სამუელი-6.5, სტანკოვიჩი-6 (46. დაკური-6), კამბიასო-5.5, სეზარი-5, იბრაჰიმოვიჩი-6, სუასო-6.5 (84. კრუსი-შ.გ).

**გოლები:**

**გაფრთხილება:** 2-1; **კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 12-24; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 14-18 (8-8); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 33 972

## მილანი-რომა 0:1

| 4. სლავენი | 13 | 6 | 2 | 5 | 22-15 | 20 |
| 5. ზადარი | 13 | 6 | 2 | 5 | 24-22 | 20 |
| 6. სიბალია | 13 | 5 | 3 | 5 | 16-16 | 18 |
| 7. ოსიეკი | 13 | 5 | 2 | 6 | 15-18 | 17 |
| 8. ზაგრები | 13 | 4 | 3 | 6 | 16-17 | 15 |
| 9. შიბენიკი | 13 | 3 | 6 | 4 | 19-27 | 15 |
| 10. ინკერი | 13 | 4 | 1 | 8 | 11-25 | 13 |
| 11. ვარტექსი | 13 | 3 | 0 | 10 | 15-31 | 9 |
| 12. მედიმურიე | 13 | 2 | 3 | 8 | 14-28 | 9 |

## სლოვაკეთი

XIV ტური

| | |
|---|---|
| დუბნიცა-კოშიცე | 0:1 |
| ტრენჩინი-არტმედია | 1:4 |
| ჟილინა-სლოვანი | 3:0 |
| მორავცე-რუჟემბეროკი | 1:2 |
| შენეცი-ბისტრიცა | 1:1 |
| ტრნავა-ნიტრა | დღეს |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჟილინა | 14 | 10 | 2 | 2 | 34-17 | 32 |
| 2. არტმედია | 14 | 10 | 1 | 3 | 37-17 | 31 |
| 3. ნიტრა | 13 | 9 | 1 | 3 | 19-7 | 28 |
| 4. კოშიცე | 14 | 7 | 4 | 3 | 20-13 | 25 |
| 5. რუჟემბეროკ | 14 | 7 | 4 | 3 | 23-19 | 25 |
| 6. ტრნავა | 13 | 5 | 4 | 4 | 24-18 | 19 |
| 7. სლოვანი | 14 | 4 | 3 | 7 | 18-21 | 15 |
| 8. დუბნიცა | 14 | 3 | 6 | 5 | 16-22 | 15 |
| 9. ბისტრიცა | 14 | 3 | 4 | 7 | 17-21 | 13 |
| 10. მორავცე | 14 | 3 | 3 | 8 | 13-31 | 12 |
| 11. ტრენჩინი | 14 | 2 | 3 | 9 | 17-37 | 9 |
| 12. შენეცი | 14 | 0 | 5 | 9 | 10-25 | 5 |

## პოლონეთი

XII ტური

| | |
|---|---|
| ბელხატოვი-ლკს | 1:0 |
| ლეხი-კრაკოვია | 3:1 |
| ოდრა-იაგიელონია | 1:3 |
| რუხი-პოლონია | 2:0 |
| ვიძევი-გროცლინი | 1:0 |
| ზაგლებე-სოსნოვეცი | 2:1 |
| კორონა-გურნიკი | 3:2 |
| ვისლა-ლეგია | 1:0 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვისლა | 12 | 10 | 2 | 0 | 32-6 | 32 |
| 2. კორონა | 12 | 9 | 1 | 2 | 19-11 | 28 |
| 3. ლეგია | 12 | 8 | 0 | 4 | 20-6 | 24 |
| 4. ლეხი | 12 | 7 | 2 | 3 | 25-15 | 23 |
| 5. გროცლინი | 12 | 7 | 1 | 4 | 18-13 | 22 |
| 6. გურნიკი | 12 | 6 | 1 | 5 | 17-18 | 19 |
| 7. ზაგლებე | 12 | 5 | 3 | 4 | 14-13 | 18 |
| 8. ბელხატოვი | 12 | 4 | 5 | 3 | 11-11 | 17 |
| 9. იაგელონია | 12 | 4 | 3 | 5 | 11-19 | 15 |
| 10. კრაკოვია | 12 | 4 | 1 | 7 | 9-13 | 13 |
| 11. რუხი | 12 | 3 | 3 | 6 | 15-21 | 12 |
| 12. ოდრა | 12 | 3 | 3 | 6 | 13-19 | 12 |
| 13. ვიძევი | 12 | 2 | 5 | 5 | 11-15 | 11 |
| 14. პოლონია | 12 | 3 | 2 | 7 | 7-21 | 11 |
| 15. ლკს | 12 | 1 | 4 | 7 | 6-11 | 7 |
| 16. სოსნოვეცი | 12 | 2 | 0 | 10 | 12-28 | 6 |

## სერბეთი

X ტური

| | |
|---|---|
| ბეჟანია-პარტიზანი | 0:2 |
| ჩუკარიჩკი-მლადოსტი | 2:0 |
| ჰაიდუკი-ბანატი | 0:0 |
| სმედერევო-ოფკ | 0:1 |
| ბორაცი-ვოივოდინა | 2:4 |
| ცრვენა ზვეზდა-ნაპრედაკი | 1:1 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პარტიზანი | 10 | 8 | 2 | 0 | 23-8 | 26 |
| 2. ვოივოდინა | 10 | 6 | 3 | 1 | 17-10 | 21 |
| 3. ცრ. ზვეზდა | 9 | 4 | 5 | 0 | 11-4 | 17 |
| 4. ოფკ | 10 | 4 | 3 | 3 | 12-10 | 15 |
| 5. ბორაცი | 10 | 4 | 3 | 3 | 9-9 | 15 |
| 6. ჩუკარიჩკი | 10 | 3 | 4 | 3 | 8-10 | 13 |
| 7. სმედერევო | 10 | 3 | 2 | 5 | 7-10 | 11 |
| 8. მლადოსტი | 10 | 2 | 5 | 3 | 6-10 | 11 |
| 9. ბანატი | 10 | 2 | 4 | 4 | 10-13 | 10 |
| 10. ჰაიდუკი | 9 | 2 | 3 | 4 | 6-8 | 9 |
| 11. ნაპრედაკი | 10 | 1 | 3 | 6 | 4-12 | 6 |
| 12. ბეჟანია | 10 | 1 | 1 | 8 | 6-15 | 4 |

## სლოვენია

XV ტური

| | |
|---|---|
| კოპერი-პუბლიკუმი | 4:2 |
| მარიბორი-ნაფტა | 3:3 |
| დომჟალე-პრიმორიე | 2:1 |
| გორიცა-დრავა | 1:1 |
| ლივარი-ინტერბლოკი | 1:2 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დომჟალე | 15 | 11 | 2 | 2 | 35-12 | 35 |
| 2. კოპერი | 15 | 7 | 6 | 2 | 30-19 | 27 |
| 3. გორიცა | 15 | 8 | 3 | 4 | 22-17 | 27 |
| 4. სელიე | 15 | 7 | 3 | 5 | 21-14 | 24 |
| 5. ინტერბლოკი | 15 | 6 | 3 | 6 | 22-18 | 21 |
| 6. მარიბორი | 15 | 5 | 4 | 6 | 26-25 | 19 |
| 7. ნაფტა | 15 | 4 | 7 | 4 | 21-29 | 19 |
| 8. პრიმორიე | 15 | 5 | 2 | 8 | 22-20 | 17 |
| 9. დრავა | 15 | 4 | 3 | 8 | 18-33 | 15 |
| 10. ლივარი | 15 | 1 | 1 | 13 | 14-44 | 4 |

## ბრაზილია

XXXIII ტური

| | |
|---|---|
| კრუზეირო-ატ.პარანაენსე | 1:1 |
| ფლუმინენსე-ატ. მინეირო | 1:1 |
| სანტოსი-გოიასი | 3:0 |
| ამერიკა-ფლამენგო | 0:1 |
| გრემიო-ნაუტიკო | 4:3 |
| რესიფე-სან პაულუ | 1:2 |
| კორინთიანსი-ფიგეირენსე | 2:1 |
| პარანა-ინტერნასიონალი | 1:0 |
| ჟუვენტუდე-ბოტაფოგო | 1:1 |
| ვასკო და გამა-პალმეირასი | 2:2 |

## მექსიკა

XIV ტური

| | |
|---|---|
| ტეკოსი-სან ლუისი | 2:3 |
| ხაგუარესი-ტოლუკა | 0:0 |
| მონტერეი-პაჩუკა | 3:1 |
| მორელია-ტიგრესი | 1:0 |
| ატლანტე-ნეკაქსა | 0:2 |
| ატლასი-ს. ლაგუნა | 2:5 |
| პუებლა-ვერაკრუსი | 0:0 |
| პუმასი-კრუს ასული | 1:2 |
| ამერიკა-გვადალახარ | გვ. დასრულდა |

## ჩილე

XI ტური

| | |
|---|---|
| უონდერერსი-კოლო კოლო | 0:4 |
| დ. კონსეპსიონი-პალესტინო | 0:2 |
| უნ. კატოლიკა-პუერტო მონტი | 3:1 |
| ლა სერენა-კობრესალი | 1:1 |
| უნ. ჩილე-ლოტა | 2:1 |
| კობრელოა-ევერტონი | 2:1 |
| ნუბლენსე-ანტოფაგასტა | 4:0 |
| უაჩიპატო-უნ. ჩილე | 2:0 |
| მელიპილა-კოკიმბო | 4:0 |
| იტალიანო-ო'ჰიგინსი | გვ. დასრულდა |

## ურუგვაი

XI ტური

| | |
|---|---|
| ტაკუარემბო-სენტრალი | 3:3 |
| დანუბიო-ბელა ვისტა | 2:2 |
| რამპლა-ხუვენტუდი | 2:1 |
| სერო-მირამარი | 2:0 |
| ნასიონალი-რივერ პლეიტი | 3:1 |
| პროგრესო-უონდერერსი | 2:3 |
| ლივერპული-ფენიქსი | 4:0 |
| პენიაროლი-დეფენსორი | გადაიდო |

## იაპონია

XXX ტური

| | |
|---|---|
| ჰიროშიმა-იჩიჰარა | 2:2 |
| კაშივა-კობე | 1:3 |
| იოკოჰამა-ომიია | 0:1 |
| ნიიგატა-იწატა | 1:1 |
| კაშიმა-ოიტა | 3:0 |
| კოფუ-იოკოჰამა მარინოსი | 1:1 |
| შიმიძუ-გამბა | 3:1 |
| ტოკიო-კავასაკი | 0:7 |
| ურავა-ნაგოია | 0:0 |

## აშშ

ფლეი ოფი

| | |
|---|---|
| ჩიკაგო-დი სი იუნაიტედი | 1:0 |
| ნიუ იორკი-ნიუ ინგლენდი | 0:0 |
| დალასი-ჰიუსტონი | 1:0 |
| კანზასი-ჩივასი | 1:0 |



ხუანდე რამოსი ლონდონში დიდი გეგმებით ჩავიდა

ტოტენჰემი. ახალი მწვრთნელი

# რამოსი ოთხი წლით

## მწვრთნელი სევილიის ორ ლიდერს ლონდონში წაყვანას უპირებს, ლონდონელები კომპენსაციის გადასახდელად ემზადებიან...

**ხუანდე რამოსმა** "ტოტენჰემთან" ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. 53 წლის სპეციალისტი "სევილიას" პარასკევ სალამოს გამოეთხოვა, მეორე დღეს კი უკვე ლონდონში იყო. "მამლების" შეთავაზება ძალიან სარფიანი აღმოჩნდა. მწვრთნელს მასზე უარის თქმა არცკი უფიქრია. სენიორ ხუანდემ ინგლისელ მიმომხილველებს პირველი შთაბეჭდილებები გაუზიარა: *"მიხარია, რომ "ტოტენჰემში" მუშაობის საშუალება მომეცა. ინგლისში ჩამოსვლა კარიერის პირველივე დღიდან მსურდა. ვიმედოვნებ, გავამართლებ ნდობას, რომელიც ჩემს მიმართ გამოიჩინეს."*

"ტოტენჰემში" გადავიდა სევილიელთა ფიზმომზადების მწვრთნელი **მარკოს ალვარესიც**. ლონდონელებმა "ლიდსს" **გუსტავო პოიეტის** დათმობა სთხოვეს. რამოსს სურს, ურუგვაელი სპეციალისტი ასისტენტად დანიშნოს. გუშინ ესპანელი დამრიგებელი "ბლექბერნთან" მატჩს დაესწრო. იმ შეხვედრისათვის გუნდი სარეზერვო შემადგენლობის მწვრთნელებმა, **კლაივ ალენმა** და **ალექს ინგლტორპმა** მოამზადეს. რამოსის დებიუტი ოთხშაბათს შედგება. ზეგ "მამლები" ინგლისის ლიგის თასზე "ბლექპულს" შეხვდებიან.

იანვრის ტრანსფერებისას სენიორ ხუანდე შემადგენლობის გაძლიერებას აპირებს. ის თავისი ყოფილი კლუბიდან ორი წამყვანი ფეხბურთელის შეძენას გეგმავს. რამოსმა თავდამსხმელი **ფრედერიკ კანუტე** და მარცხენა მცველი **დანიელ ალვეში** ამოიღო მიზანში. კანუტე "სევილიაში" ორი წლის წინ, "ტოტენჰემიდან" გადავიდა. მის სანაცვლოდ 4.4 მილიონი გირვანქა გადაიხადეს. ალვეშს ზაფხულის ტრანსფერებისას უთვალავი სარფიანი წინადადება ჰქონდა. ყველაზე რეალური "ჩელსიში" ტრანსფერი იყო. "არიტოკრატები" 23 მილიონ გირვანქას იხდიდნენ. ანდალუსიელებმა უარი განაცხადეს და ყველაფერი ილონეს გარიგების ჩასაშლელად.

რამოსმა პირველსავე ინტერვიუში განაცხადა, რომ "ტოტენჰემში" ხელშეუხებელი ფეხბურთელები არ არსებობენ. ძირითადში მოხვედრა გარანტირებული არავის აქვს, მათ შორის, არც ინგლისის ნაკრების მეკარეს, **პოლ რობინსონს**. თითოეულ მოთამაშეს საკუთარი შესაძლებლობების დამტკიცება ყოველდღიურად, ვარჯიშებსა და თამაშებზე მოუწევს. რამოსის კონტრაქტის ფინანსურ დეტალებზე არაფერი გვითქვამს. მწვრთნელის ოფიციალური პრეზენტაცია ჯერ არ გამართულა. ამიტომ წვრილმან საკითხებზე არავის გაუკეთებია კომენტარი. მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ წარმატებული სეზონის შემთხვევაში, პრემიების ჩათვლით, რამოსმა შეიძლება 5 მილიონი გირვანქაც კი გამოიმუშაოს. საინტერესოა, რას ჩათვლიან წარმატებად? სეზონის წინ გუნდი ჩემპიონთა ლიგის ზონაში მოხვედრას გეგმავდა. რამოსის მისვლისას ის ბოლოდან მეორე ადგილზე იმყოფებოდა და ათ ტურში ("ბლექბერნთან" გუშინდელი მატჩის ჩაუთვლელად) მხოლოდ ერთი გამარჯვება ჰქონდა მოპოვებული.

აქვე ახალი მწვრთნელის კიდევ ერთი კომენტარი: *"მე ჩემი თავის კაცი ვარ. მარტო საკუთარ თავს ვეკუთვნი. მე ვარ არა ჟოზე მოურინიო, არამედ ხუანდე რამოსი. მე ჩემი პროექტები მაქვს, თამაშის ჩემებური ხედვა და მუშაობის ჩემებური სტილი. ამ ყველაფერმა სევილიაში ჩინებული ნაყოფი გამოიღო. მინდა, წარმატებებს "ტოტენჰემშიც" მივაღწიო."*

კანუტესა და ალვეშთან დაკავშირებით რამოსის სატრანსფერო გეგმებს სევილიიდან უპასუხეს. პრეზიდენტმა **ხოსე მარია დელ ნიდომ** ყოფილ მწვრთნელს შეუთვალა, რომ ჩანაფიქრის სისრულეში მოსაყვანად დიდი ფულის გადახდა დასჭირდება: *"სევილია" საუკეთესო ფეხბურთელების გაყიდვას არ აპირებს. თუ ვინმეს, მათი ხელში ჩაგდება სურს, მოუწევს, კონტრაქტებით გათვალისწინებული კომპენსაციები უკანასკნელ ცენტამდე გადაიხადონ."* დელ ნიდომ რამოსის აბარგების გამო უკმაყოფილებაც ვერ დამალა: *"ბოლო წუთს შევიტყვეთ, რომ ის ლონდონში მიემგზავრებოდა. მისმა გადაწყვეტილებამ კლუბი სერიოზულად დააზარალა. მადლობა რამოსს კლუბისათვის მოპოვებული ხუთი თასისათვის, მაგრამ მომხდარის შემდეგ, მას ალარასოდეს არ დაველაპარაკებით."*

პრეზიდენტმა დელ ნიდომ "ტოტენჰემი" სატრანსფერო ეთიკის დარღვევაშიც დაადანაშაულა: *"თუ რამოსი სურდათ, მე უნდა დამლაპარაკებოდნენ, მაგრამ მათ პირდაპირ მწვრთნელს დაურეკეს. ეს არაკორექტული საქციელია. უეფაში აუცილებლად შევიტან საჩივარს. მე ჩემი უფლებების დაცვას ვაპირებ."* დელ ნიდო მართალია. ლონდონელი ემისრები მწვრთნელს პირველად აგვისტოს მიწურულს, სევილიის სასტუმროში შეხვდნენ. "სევილია" კონტრაქტის გაწყვეტის სანაცვლოდ კომპენსაციას, 3.3 მილიონ გირვანქას ითხოვს. "ტოტენჰემს" ამ თანხის გადახდა მოუწევს.

თეგეტა მოტორსი TEGETA MOTORS
Austrian
იმედი
ოლიმპი
სარბიელი
ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელბურთი

ჩელენჯ ტროფი

# ჩელენჯი ლუქსემბურგთან

## 20 ნოემბერს ნორვეგიაში ფინალი გვაქვს



უტევს ნაკრების კაპიტანი გიორგი ქობელაშვილი

ნუგზარ სუარიძის ფოტო

**აზერბაიჯანი-სომხეთი 41:15**

აზერბაიჯანი: სკრებცოვი, ქერიმოვი, პ. აიდამიროვი (2), ფარაჯოვი (5), ე. აიდამიროვი (4), პარშკოვი (3), ალხაზოვი, სალიმოვი (2), ო. გეორგიევსკი (3), ნაზარალიევი (9), ს. გეორგიევსკი (7), მოვიკინი (1), გოჟი (3), ჰუსეინოვი (2)

სომხეთი: თუმასიანი, გასპარიანი, დარბინიანი, ტადევოსიანი, მატევოსიანი, ლუკასიანი (1), მატინიანი (1), გ. მელქოიანი (3), მარკოსიანი, ისრაელიანი, უზუნიანი (6), შაჰბაზიანი, ა. მელქოიანი (2)მ ოჰანიანი (2)

მსაჯები: იგორ კოვალჩუკი, ალექსეი კოვალჩუკი (მოლდოვა)

**საქართველო-მოლდოვა 29:27**

საქართველო: თევზაძე, ანდრიაძე, ქობელაშვილი (5), ანდრიაშვილი, ნიკოლაიშვილი, კობახიძე, ო. ყიფიანი, გრიშიკაშვილი, კალანდაძე, ნივნივაძე (3), ჭანტურია (2), მსხვილიძე (4), რუსია (7), დათუკაშვილი (8)

მოლდოვა: ანდრეევი, ვუკარუკი, ჯედიცი (5), ალექსანდრ პერვანჩუკი (8), პურიჩი (2), ნენიტა, გარგაუნი, ლუკაშოვი (3), ჩემირტანი (2), სტარიკოვი, ალექსეი პერვანჩუკი (6), ბორეტი (1), ნაზარკო

მსაჯები: ანატოლი ნოვიკოვი, რუსლან პერეპილიცი (უკრაინა)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | 3 | 3 | 0 | 0 | +32 | 6 |
| მოლდოვა | 3 | 2 | 0 | 1 | +18 | 4 |
| აზერბაიჯანი | 3 | 1 | 0 | 2 | +10 | 2 |
| სომხეთი | 3 | 0 | 0 | 3 | -60 | 0 |

"ჩელენჯ ტროფის" ბოლო დღის პირველი ინტრიგა იყო აზერბაიჯანი-სომხეთის დაპირისპირება, თუმცა, საინტრიგო არაფერი მომხდარა - მატჩის წინაც და შეხვედრის დასრულების შემდეგაც, აზერბაიჯანელებმა და სომხებმა ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს და თუნდაც რამდენიმე წუთით დაამტკიცეს, რომ სპორტი და პოლიტიკა ერთმანეთისგან განსხვავდება...

საქართველო-მოლდოვას თამაშს კი "ჩელენჯ ტროფის" ფინალში გამსვლელი გუნდის საკითხი უნდა გადაეწყვიტა. ჩვენს გუნდს ფრეც სავსებით ჰყოფნიდა საამისოდ, ხოლო მოლდოვას ტიტულის დასაცავად ბრძოლის გასაგრძელებლად, მხოლოდ მოგება სჭირდებოდა.

მატჩი საქართველოს ნაკრებისთვის არცთუ სასიამოვნოდ დაიწყო. სტუმრები ჯედიცის წყვილი გოლის წყალობით, 2:0 დაწინაურდნენ და მთელი პირველი ტაიმი, პრობლემას პრობლემაზე გვიქმნიდნენ. **მამუკა მჟავანაძის** შეგირდები დაცვაშიც ვერ თამაშობდნენ დამაჯერებლად და შეტევაშიც უჭირდათ. მოლდოველთა მეკარე ანდრეევმა საწყის 30-წუთიან მონაკვეთში, 11 რთული დარტყმა (მათ შორის, ერთი პენალტი) მოიგერია. აბა, აქვე როგორ არ შეიძლება არ გამოვყოთ ჩვენი გოლკიპერის – შოთა თევზაძის უბრწყინვალესი გარჯა, რომელმაც არაერთხელ გვიხსნა კრიტიკულ მომენტებში და საერთო ჯამში, 25-ჯერ (!) უკუაგდო ბურთი. არ ვიცი, როგორ დამთავრდებოდა შეხვედრა, რომ არა შოთას თავგამოდება...

მართალია, საწყისი ჩამორჩენა მალევე გავაბათილეთ და ჩვენვე დავწინაურდით ორბურთიანი სხვაობით, მაგრამ საიმედო უპირატესობის მოპოვებას ვერ ვახერხებდით. ტაიმის მიწურულს, ისევ მოლდოვა გავიდა წინ. შესვენებამდე 30 წამით ადრე **ვლადიმერ რუსიამ** ანგარიში გაათანაბრა. უკანასკნელ წამზე, მას გუნდის დაწინაურებაც შეეძლო, მაგრამ ანდრეევთან პირისპირ გასულმა, დარტყმის მაგივრად, ბურთის მეკარისთვის თავზე გადაგდება სცადა და ააცილა. შესვენებაზე, ტაბლოზე 12:12 ენთო.

მეორე ტაიმის დასაწყისში, **რატი მსხვილიძე** ამოქმედდა, რომელსაც რუსიამაც აუბა მხარი, თან მოლდოვას ერთი მოთამაშე გაუძევეს ორი წუთით და ყველაზე დიდი სხვაობით (17:12) დავწინაურდით. თუმცა, იქვე არბიტრებმა ტყვიამფრქვევივით მოგვაყარეს ორწუთიანები. ერთი პირობა საქართველო ხუთი ხელბურთელით დარჩა მოედანზე, ჩვენი დაცვა ისევ მოიშალა და ყველაფერი თავიდან დასაწყები გაგვიხდა – 20:20.

ამის შემდეგ, ისევ ქართველების ჯერი დადგა. დაცვაში თამაში კვლავ დავალაგეთ, წინ კი რუსია, **ქობელაშვილი, ნივნივაძე** და **დათუკაშვილი** ბომბავდნენ ანდრეევის კარს, რომელმაც მეორე ტაიმში, ფაქტობრივად, ყველა დარტყმული გაუშვა. შეხვედრის დასრულებამდე სამწუთნახევრით ადრე, რუსიასა და დათუკაშვილის გოლებით, ოთხი ბურთით დავწინაურდით – 28:24.

ამის შემდეგ კი დადგა კულმინაციური წუთები. ორწუთნახევრით ადრე, **რეზო ჭანტურიამ** საქართველოს ნაკრების ბოლო გოლი გაიტანა - 29:25. დარჩენილ ორ წუთში კი მოხდა საკმაოდ იშვიათი შემთხვევა – მსაჯებმა ერთმანეთის მიყოლებით გაგვიძევეს **შოთა გრიშიკაშვილი** (2 წუთით ადრე), **სერგო დათუკაშვილი** (59 წამით ადრე), **ჭანტურია** (30 წამით ადრე) და მატჩი ოთხი კაცით ჩავამთავრეთ. თუმცა, მოლდოვას დრო ალარ ეყო და მხოლოდ ისლა მოასწრო, რომ ორი ბურთით წაეგო.

29:27 – ასე მორჩა ეს დაძაბული, საინტერესო, ნერვიული თამაში.

ფინალის საგზური საქართველოში დარჩა და საფინალო სირენის შემდეგ, ქართველთა ემოციებმაც ამოხეთქა. ძალიან გულდასაწყვეტია, რომ "ჩელენჯ ტროფს" საკმაოდ მცირერიცხოვანი პუბლიკა ესწრებოდა (სულ რალაც ხუთასიოდე მაყურებელი) და ეს დიდი სიხარული იქვე არ გაიზიარა გაცილებით მეტმა ადამიანმა. რას ვიზამთ, სამწუხარო რეალობაა, რომ ხელბურთი ქართველ გულშემატკივარს ან ალარ ახსოვს, ან ეროვნული ნაკრები არ ულირს იმად, რომ მისი თამაშის სანახავად 3 და 5 ლარი გადაიხადოს. ვიმედოვნებ, ნაკრები შემდეგშიც დაამტკიცებს, რომ ასეთ უყურადღებობას არ იმსახურებს და კიდევ უფრო დიდი წარმატებებით გაგვახარებს.

მატჩის დასრულების შემდეგ, გაიმართა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი. დაასახელეს ტურნირის საუკეთესო მოთამაშეები პოზიციების მიხედვით. რალა თქმა უნდა, ყველაზე მეტი პრიზი ერგო საქართველოს ნაკრებს და მის ლიდერ **სერგო დათუკაშვილს**, რომელსაც თავის ამპლუაშიც პირველობა ერგო, მთავარი ბომბარდირის პრიზიც გაიყო მოლდოველ **ალექსანდრე პერვანჩუკთან** ერთად და, რაც ყველაზე მთავარია, "გრანპრიც" აილო, ანუ ტურნირის საუკეთესო ხელბურთელად დაასახელეს.

მთლიანობაში, "ჩელენჯ ტროფის" თბილისური ეტაპის "ოლ სტარი" ასეთია - მეკარე - **შოთა თევზაძე**, მარცხენა გარემარბი - **ემინ აიდამიროვი** (აზერბაიჯანი), მარცხენა შუამარბი - **ელდარ ფარაჯოვი** (აზერბაიჯანი), გამთამაშებელი - **სერგო დათუკაშვილი**, მარჯვენა გარემარბი - **რეზო ჭანტურია**, მარჯვენა შუამარბი - **ალექსეი პერვანჩუკი** (მოლდოვა), ხაზის მოთამაშე - **გიორგი ნივნივაძე**; ბომბარდირები - **სერგო დათუკაშვილი, ალექსანდრე პერვანჩუკი** (მოლდოვა) – 24-24 გოლი; საუკეთესო მცველი - **ალექსანდრე პერვანჩუკი**, საუკეთესო მოთამაშე - **სერგო დათუკაშვილი.**

ამის შემდეგ, ევროპის ხელბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ჟან ბრიოლმა, საქართველოს ნაკრების კაპიტან **გიორგი ქობელაშვილს** ტურნირის მოგებისთვის განკუთვნილი თასი გადასცა, ჩვენს გუნდს წარმატება უსურვა და მადლობა გადაუხადა ორგანიზატორებსა და მონაწილე გუნდებს. ვიმედოვნებთ, ამ თასს 20 იანვარს, ნორვეგიაში, მთავარ ჯილდოს – "ჩელენჯ ტროფის" მოუმატებენ მამუკა მჟავანაძის შეგირდები. 20 იანვარს კი ჩვენი მეტოქე ლუქსემბურგის ნაკრები იქნება. გუშინ, მათ ბოლო ტურში ფარერებს მოუგეს 31:25 და პირველი ადგილი დაიკავეს.

**კობა ხატისაშვილი**

# იანვარში არავინ დაგვაკლდება!

**თამაშისა** და დაჯილდოების შემდეგ გავესაუბრეთ ნაკრების რამდენიმე ლიდერსა და მთავარ მწვრთნელ მამუკა მჟავანაძეს.

**ვლადიმერ რუსია:** - მოლდოვა "ჩელენჯ ტროფის" მოქმედი ჩემპიონი და საკმაოდ კარგი გუნდია. ამდენად, მოსალოდნელი იყო, რომ იოლი შეხვედრა არ გვექნებოდა. საინტერესო შეხვედრა გამოდგა. კარგია, რომ ყველაფერი ჩვენთვის სასიკეთოდ დასრულდა და ვიმედოვნებ, ფინალშიც წარმატებით ვითამაშებთ. ნაკრებს ტურნირის დაწყებამდე ორი დღით ადრე შევუერთდი, თან ტრავმა მაწუხებდა. მოლდოვასთან მაქსიმალურად მოვიკრიბე ძალები და ვფიქრობ, ურიგოდ არ მითამაშია.

**რატი მსხვილიძე:** - ძალიან დაძაბული თამაში გამოდგა. სიმართლე გითხრათ, უფრო ადვილად მოგებას ველოდი. გადამწყვეტი მატჩი იყო, რომელშიც სასწორეზე იდო ფინალის ბედი და ალბათ უფრო ამის გამო ვღელავდით. რაც მთავარია, ბოლომდე ვიბრძოლეთ და გავიმარჯვეთ.

**შოთა თევზაძე:** - საკმაოდ რთული შეხვედრა იყო, მაგრამ მთლიანობაში, დამაჯერებლად ვითამაშეთ, რამაც შედეგი გამოიღო. ჩემთვის დიდი პატივია საუკეთესო მეკარედ დასახელება. მეამაყება ისიც, რომ ფინალში გავედით.

**სერგო დათუკაშვილი:** - მატჩი "აღმა-დაღმა" წარიმართა, ანუ ხან ჩვენს მხარეს იხრებოდა სასწორი, ხანაც მოლდოველებისაკენ. ვერ ვიტყვი, რომ უშეცდომოდ და იდეალურად ვითამაშეთ, მაგრამ არა უშავს, სპორტია და ადამიანები ვართ, რობოტები კი არა, რომ მუდამ ასპროცენტიანები ვიყოთ. ახლა ფინალის მოგებაზეც უნდა ვიზრუნოთ.

**გიორგი ქობელაშვილი:** - ხელწამოსაკრავი მეტოქე ნამდვილად არ გვყოლია, მაგრამ მაინც შეგვეძლო, რომ უფრო მშვიდად და დიდი ანგარიშით მოგვეგო. უბრალოდ, როცა დიდი სხვაობით დაწინაურების და დაწყნარების შანსი გვქონდა, დაცვაში შეცდომები დავუშვით, ბევრი ორწუთიანი "ავიკიდეთ" და ამან გაგვირთულა საქმე. რაც მთავარია, ყველაფერი კარგად დასრულდა.

**ტიტე კალანდაძე:** - ტრავმის გამო, სათანადო ფორმაში არ ვარ და ძირითადად, სკამზე ვიჯექი. ძალიან ძნელია, როცა გუნდს უჭირს და ამას შორიდან უყურებ...

**მამუკა მჟავანაძე:** - მძიმე მატჩი გამოდგა. რაკილა ფინალში გასვლის საკითხი წყდებოდა, პრაგმატულად მივუდექით საქმეს და შედეგზე ავილეთ აქცენტი. ასეთ დროს კი ლამაზი თამაშის ჩვენება რთულია. ბრწყინვალედ ითამაშა შოთა თევზაძემ და სავსებით სამართლიანად დაიმსახურა ტურნირის საუკეთესო მეკარის პრიზი. იგივეს ვიტყოდი სერგო დათუკაშვილზე, რომელიც ძალიან მაღალი კლასის ხელბურთელია. ვლადიმერ რუსიას თავიდან ცოტა გაუჭირდა, რადგან რუმინეთში დიდი დატვირთვები აქვს, სხვა ლეგიონერებივით გვიან ჩამოვიდა და ცოტა გადაღლილი იყო. თუმცა, ბოლო თამაში მშვენივრად ჩაატარა. პირველ მატჩში გაუჭირდა რატი მსხვილიძესაც, რადგან მასაც რუსიას მსგავსი პრობლემა ჰქონდა და თან მცირე ტრავმაც მიილო. თუმცა, დღეს მანაც კარგად ითამაშა. დამაჯერებლად გაისარჯა გიორგი ნივნივაძეც., ჩვენი ტაქტიკა უფრო დაცვაზე იყო აგებული. ძლიერი დაცვა ისედაც მნიშვნელოვანია, მაგრამ ლეგიონერები გვიან ჩამოვიდნენ და უფრო მეტი სამუშაო დრო გვქონდა საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე დავით ნიკოლაიშვილთან და ომარ ყიფიანთან, რომლებიც დაცვით ფუნქციებს ასრულებდნენ. სამწუხაროდ, არ გვაქვს იმის ფუფუნება, რომ ნაკრები ხშირად შევკრიბოთ, ჩავატაროთ საკონტროლო მატჩები და გუნდი შევათამაშოთ. ყველაზე მეტად, სწორედ შეთამაშება გვაკლია. ვიმედოვნებ, ეს პრობლემა მოგვარდება.

**- ფინალზე ისევ ყველა ლეგიონერი ჩამოვა?**

- რა თქმა უნდა. ისინი უკვე წავიდნენ თავის კლუბებში და გამგზავრებამდე, მე და ლევან გელაშვილს მადლობა გადაგვიხადეს. ამასთან, დაგვპირდნენ, რომ იანვარში აუცილებლად ჩამოვლენ.

კრივი

მსოფლიო ჩემპიონატი

# ერთიც და პირველი ლიცენზიაა

მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხე და მეხუთე დღეები მეტ-ნაკლებად წარმატებული გამოდგა ქართველი მოკრივეებისთვის. შაბათს, რინგზე გავიდა **ლევან ლვამიჩავა** (60 კგ), რომელიც მეორე წრეში ხვდებოდა გაიანელ ჰენდრიკ პელსვიუსკის. ჩვენებურის უპირატესობა აშკარა იყო. ლევანი მესამე რაუნდში 25:5 დაწინაურდა, რის გამოც, მსაჯებმა შეხვედრა შეაჩერეს და გამარჯვება ქართველს უბოძეს.

ამრიგად, ლევან ლვამიჩავას ერთი ნაბიჯილა რჩება, რომ მეოთხედფინალში გავიდეს და თანაგუნდელთაგან პირველმა გაინალდოს პეკინის ოლიმპიადის ლიცენზია. ამისათვის, მან 30 ოქტომბერს უნდა დაამარცხოს იაპონელი მაცუგუ კავაჩი.

სამწუხაროდ, ლვამიჩავას ვერ მიბაძა **კობა ფხაკაძემ** (57 კგ). მეორე წრის შეხვედრაში, იგი ჩინელ იანგ ლისთან დამარცხდა – 2:15.

შეჯიბრების მეექვსე დღეს რინგზე გამოვა მსოფლიო ჩემპიონატს შემორჩენილი კიდევ სამი ქართველი. **ვასილ ყაზიშვილი** (60 კგ) მეორე წრეში დაუპირისპირდება ინდოელ ჯა ბჰაგვანს, ხოლო **ზვიად ხადური** (48 კგ) და **დავით ნიკლაური** (81 კგ) პირველ ორთაბრძოლებს გამართავენ. ხადურის მეტოქეა ინგლისელი დარენ ლენგლი, ხოლო ნიკლაური მექსიკელ ჯოშუა ლეველინ გარსიასთან იჩხუბებს.

**კობა ხატისაშვილი**

ციგურაობა

# ცუდად დაწყებული სეზონი

ნარუმატებლად გახსნა სეზონი 17 წლის ქართველმა მოციგურავემ **ელენე გედევანიშვილმა**. ISU-ს გრან-პრის პირველ ეტაპზე, "სკეიტ ამერიკაზე", მან მოკლე პროგრამა ჩააგდო. ამერიკის ქალაქ რიდინგში ქალთა შორის 11 მონაწილე იყო (ავადმყოფობის გამო ტურნირს **კიირა კორპი** გამოაკლდა). სამწუხაროდ , მოკლე პროგრამა ყველაზე ცუდად ელენემ შეასრულა - მან "კაბარეს" მუსიკის თანხლებით ისრიალა და მხოლოდ 38.30 ქულა დააგროვა. გედევანიშვილმა ტექნიკურ ელემენტებში 16.90 ქულა მიილო, 21.40 კი პროგრამული სირთულისთვის დაიმსახურა. მხოლოდ ამ მაჩვენებლით მას მეექვსე შედეგი ჰქონდა. მოკლე პროგრამის შემდეგ პირველ ადგილზეა ამერიკელი **კიმი მაისნერი** - 59.24 ქულა, მეორეზე - მსოფლიო ჩემპიონი **მიკი ანდო** (56.58), მესამეზე - ახალგაზრდებს შორის მსოფლიო ჩემპიონი **კაროლინ ჭანკი** - 56.48. წუხელ გვიან ღამით თავისუფალი პროგრამა შესრულდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## არის დამატებითი დაფინანსება

გასულ პარასკევს საქართველოს პარლამენტის სხდომამ განიხილა სპორტისთვის დამატებით, აუცილებელი საჭიროებისთვის, თანხების გამოყოფის საკითხი. პარლამენტმა თხოვნა დააკმაყოფილა. თანხის ნაწილით ოლიმპიური ფონდის ხარჯები შეივსება.

## განცხადება

**2007 წლის 2 ნოემბერს, 12 საათზე, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის სააქტო დარბაზში გაიმართება საქართველოს სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფესიული კავშირის VI (საანგარიშო) ყრილობა.**

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

საქართველოს ჩემპიონატი. II ტური

# კალათბურთის მოცეკვავეები



ვითა-მაკაბი

ნუგზარ სუარიძის ფოტო

**გუშინ, სპორტის სასახლეში საქართველოს ჩემპიონატის II ტურის ორი შეხვედრა გაიმართა. "ავიამშენი"-"დინამოს" მატჩში გამარჯვებულის ბედი მესამე პერიოდში გადაწყდა (27:4 "ავიას" სასარგებლოდ), ლევან მოსეშვილის "ავიატორებმა" საბოლოოდ 105:62 იმარჯვეს. მეორე თამაშში კი "ვითამ" "მაკაბის" ზუსტი სამქულიანების წყალობით აჯობა - 74:61.**

პირველ ტურში "მაკაბისთვის" დამარცხების შემდეგ "ავიამშენს" რეაბილიტაციის კარგი შანსი ჰქონდა - ჩემპიონატის აუტსადერ "დინამოს" ეთამაშებოდა. **ზაზა ცაგარეიშვილის** ახალგაზრდა შეგირდებმა "ავიატორებს" პირველ ტაიმში არაფერი დაუთმეს, თანაბრად ებრძოდნენ, მაგრამ მესამე მეოთხედში დინამოელები 4 ქულას რომ დასჯერდნენ, უკვე მოგახსენეთ - აქვე დავამატებთ, რომ ამ პერიოდში "ავიამ" ორ ტურში ყველაზე დიდი სპურტი მოაწყო - მეტოქეს 17:0 მოუგო.

საბოლოო ანგარიშიდანაც (105:62) ჩანს, რომ "ავიატორებმა" "დინამოს" ყველა კომპონენტში აჯობა. შეუჩერებელი იყო გამარჯვებულთა გამთამაშებელი **გიორგი ნიკოლაძე**, რომელმაც 31 ქულა (4-დან 4 სამქულიანი), 6 მოხსნა და 3 შედეგიანი გადაცემა მიითვალა. "დინამოს" რიგებში ლიტვაში ნავარჯიშები **დავით მაისურაძე** გამოირჩა. მან ფარქვეშ ნაყოფიერდა იმუშავა, 19 ქულას 8 მოხსნა და 3 ჩაჭრა მიამატა.

ტურის ცენტრალური მატჩი "მაკაბი-"ვითა" იყო. მართალია, შეხვედრის შემდეგ მაკაბელთა თავკაცმა, **ჯამლეტ ხუხაშვილმა** თქვა, "ვითასთან" წაგებებს შეჩვეული ვარო, თუმცა მატჩი ისე წარიმართა, რომ გამარჯვების შანსი ორივე გუნდს თანაბრად ჰქონდა. პირველი ტაიმი კატა-თაგვობანას თამაშს ჰგავდა - საწყის ათწუთეულში "მაკაბი" გაიქცა და **გიორგი შერმადინის** წყალობით მეტოქეს 21:0 აჯობა. მეორე პერიოდში სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. გუნდებმა თითქოს მაისურები გაცვალესო - "ვითას" ყველაფერი გამოსდიოდა, "მაკაბის" - არაფერი. ათამაშდა ვითელთა კაპიტანი **ვაკო ბეჟანიშვილი,** რომელმაც თავისი 23 ქულიდან 18 სწორედ მეორე მეოთხედში ჩააგდო. იგი მეორე ტაიმშიც ასევე რომ გაჯრჯილიყო, უთუოდ ტურის საუკეთესოდ დასახელდებოდა...

საინტერესო სანახავი გამოდგა მატჩის მესამე ათწუთეულის ბოლო: 5 წუთის განმავლობაში აქეთ-იქით მხოლოდ სამქულიანები ცვიოდა.(**ნიკო ნოზაძემ** ორი შორეული ტყორცნა გამოიყენა, თითო სამიანი ჩააგდეს **მიხეილ ბერიშვილმა, ირაკლი სორდიამ** და **გიორგი მარხვაშვილმა**).

შეხვედრაში გარდატეხა **გიორგი მარკოიშვილის** სამქულიანმა შეიტანა - მან სირენამდე 3 წუთით ადრე პერიმეტრიდან ზუსტად გაისროლა და 4-ქულიანი სხვაობა 7-ქულიანამდე გაზარდა (61:54). ამის შემდეგ ახალგაზრდა მაკაბელები აღელდნენ, გიორგი შერმადინმა მსაჯთან კამათისთვის ტექნიკური შენიშვნა მიიღო. იგი არბიტრ **მალხაზ ანდღულაძეს** უმტკიცებდა, რომ მეტოქეს სუჯსტად დაუფარა...

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ამ ეპიზოდს გამოეხმაურა მაკაბელი **ირაკლი ბერიშვილი**: *"შერმადინს სამი კაცი ხელში რომ ურტყამს მსაჯები ვერ ამჩნევენ, ჩვენ რომ ვაფარებთ, ჯარიმებს გვაძლევენ. ისე, დღევანდელმა მატჩმა გვიჩვენა, რომ "ვითას" ძლევა შეგვიძლია".*

ვითელთა დამრიგებელმა **ზურაბ ტომარაძემ** ხაზი გაუსვა შეტევაში ორივე გუნდის ცუდ თამაშს, ხოლო მისი შეგირდის **ირაკლი ძიძიგურის** თქმით, გამარჯვება "ვითას" მოთამაშეებმა განაპირობეს.

**ტურის მოთამაშე** - **ბელტონ რივერსი**. ამ ამერიკელმა თსუ-სთან დაგვანახა, რომ მაღალი კლასის კალათბურთელისთვის საჭირო ყველა მონაცემი აქვს, სტუდენტებს 25 ქულა ჩაუგდო და ზედ 8 პასი მიაყოლა.

**ტურის მოვლენა** - სინათლის ჩაქრობა. რუსთავის დარბაზში, პარასკევის მატჩისას სინათლე გამოირთო, რამაც კომპიუტერში ყველა მონაცემის წაშალა და ძველი დროის გახსენება გამოიწვია. იმედია, მსგავსი რამ წელს აღარ განმეორდება.

**ტურის ფრაზა** - NBA-ს "ოლსტარზე" ვართ? ეს სიტყვები ერთ-ერთ ჩემს კოლეგას მას შემდეგ წამოსცდა, რაც მხარდამჭერთა ჯგუფის მოცეკვავეებმა გამოსვლა დაასრულეს. საქმე ისაა, რომ "ვერნისაჟის" გოგონები სწორედ ისე ცეკვავდნენ, როგორც NBA-ში, მათ არც ფიზიკურად ჩამოუვარდებოდნენ... მოკლედ, ორწლიანი ძიების შემდეგ, მგონი, გვეღირსა ნამდვილი საკალათბურთო მოცეკვავეები. გვპირდებიან, რომ სეზონის ბოლომდე გოგონები ნომრებს კიდევ უფრო გაამრავალფეროვნებენ.

ვაჟა სიმონიშვილი

28 ოქტომბერი. სპორტის სასახლე

| ავიამშენი-დინამო | 105:62 |
|---|---|

22:16, 24:21, 27:4, 32:21

ავიამშენი: ბერაია (5 ქ), ხომტარია (9 ქ. 4 მ. 4 პ. 3 ჩ), ნიკოლაძე (31 ქ. 6 მ. 3 პ), კვიმსაძე (16 ქ), ტულუში (5 ქ. 5 მ. 4 პ), იმნაძე (7 ქ), ნინიაშვილი (9 ქ), როდუმტა (19 ქ. 7 მ. 3 დ), სუხიშვილი (2 ქ), ბარბაქაძე (2 ქ), მინაშვილი

დინამო: გულისაბედაშვილი (5 ქ), ნანიტაშვილი (7 ქ. 3 პ), ჟლენტი (3 ქ), ლაფანაშვილი (7 ქ. 4 პ), კუჭავა (2 ქ), სიგუა (3 პ), წერეთელი (2 ქ), მაისურაძე (19 ქ. 8 მ. 3 ჩ), ათანელიშვილი (3 ქ. 6 მ), ახალკაცი (12 ქ), ფაიქრიძე (2 ქ. 3 პ), დევიძე

მსაჯები: დ. ბერეკაშვილი, ხ. გაბედავა

| ვითა-მაკაბი | 74:61 |
|---|---|

10:21, 25:8, 19:15, 20:17

ვითა: ძიძიგური (2 ქ), ნ. ნოზაძე (10 ბ), ბეჟანიშვილი (23 ქ. 9 მ), მ. ბერიშვილი (15 ქ. 9 მ), მარხვაშვილი (7 ქ. 7 პ. 3 ჩ), მარკოიშვილი (8 ქ. 5 მ), ბერძენიშვილი (7 ქ. 11 მ. 4 ჩ), ლ. ნოზაძე (2 ქ)

მაკაბი: დ. ბერიშვილი (3 ქ), ი. ბერიშვილი (8 ქ. 4 პ. 3 ჩ), სორდია (7 ქ. 5 მ), გ. შერმადინი (27 ქ. 13 მ. 3 პ. 2 დ), პირველაშვილი, ვაშაკიძე (8 ქ), კორკოტაძე, კოლუაშვილი, ს. შერმადინი (8 ქ. 8 მ)

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, მ. ანდღულაძე

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. აზოტი | 2 | 2 | 0 | 4 |
| 2. ავიამშენი | 2 | 1 | 1 | 3 |
| 3. ვითა | 2 | 1 | 1 | 3 |
| 4. მაკაბი | 2 | 1 | 1 | 3 |
| 5. თსუ | 2 | 0 | 2 | 2 |
| 6. დინამო | 2 | 0 | 2 | 2 |

ჭადრაკი

ევროპის გუნდური ჩემპიონატი

# ევროპა კრეტაზე...

გუშინ დაიწყო ევროპის გუნდური ჩემპიონატი. საქართველოს ნაკრებთა შემადგენლობები ცნობილი იყო, მაგრამ გასარკვევი რჩებოდა დაფების მიხედვით განლაგება. კაცებში ასეთი რიგითობაა: **ბაადურ ჯობავა** (2644), **თამაზ გელაშვილი** (2623), **ლევან ფანცულაია** (2617), **დავით არუთინიანი** (2574), **მერაბ გაგუნაშვილი** (2584); ქალები: **მაია ჩიბურდანიძე** (2500), **ლელა ჯავახიშვილი** (2474), **ნინო ხურციძე** (2450), **ნანა ძაგნიძე** (2416), **მაია ლომინეიშვილი** (2409).

საქართველოს კაცთა ნაკრები საშუალო რეიტინგით - 2617 მეთერთმეტეა, ხოლო ქალთა ნაკრები, მეორე - 2460. ორივეგან პირველები რუსები არიან.

ტურნირი რომ ძალიან ძლიერია, შემადგენლობებზე თვალის შევლებაც საკმარისია... განსაკუთრებით შთამბეჭდავია რუს კაცთა ნაკრები, რომლის ხუთივე წევრის რეიტინგი - სუპერდიდოსტატის ნორმას შეესაბამება - 2700-ზე მეტი აქვთ: **პიოტრ სვიდლერი** - 2732, **ალექსანდრ მოროზევიჩი** - 2755, **ალექსანდრე გრიშჩუკი** - 2715, **ევგენი ალექსეევი** - 2716, **დმიტრი იაკოვენკო** - 2710. ძალიან ძლიერი შემადგენლობა ჰყავს რეიტინგით მეორე უკრაინას, მაგრამ 2700-იანი მათ შორის მხოლოდ ერთი, **ვასილი ივანჩუკია** - 2776. ამ ნიშნულთან ახლოს არიან **სერგეი კარიაკინი** - 2694 და **ანდრეი ვოლოკიტინი** - 2678.

კაცთა შორის 40 გუნდია, ქალთაში - 30; აქედან ორი ბერძნულია. სულ ირაკლიონში 343 მოჭადრაკე ჩავიდა. აქედან 147 დიდოსტატია; 31 ქალთა შორის დიდოსტატი; 64 საერთაშორისო ოსტატი, რომელთა შორის 31 ქალია; 40 ქალთა შორის საერთაშორისო დიდოსტატი, 10 ფიდეს ოსტატი და 14 ქალთა შორის ფიდეს ოსტატი.

ტურნირი შვეიცარიული სისტემით 9 ტურად ჩატარდება. სათამაშო დრო 90 წუთია პირველ ორმოც სვლაზე, შემდეგ 15 წუთი ემატებათ პარტიის ბოლომდე; ყოველ სვლაზე 30 წამიანი დამატებით. შეჯიბრება ერთდროულად ოთხ დაფაზე იმართება - მატჩის მოგების შემთხვევაში გუნდს 2 ქულა ემატება, ყაიმზე - 1.

ქართველებს წარმატების იმედი აქვთ - განსაკუთრებით ქალებს, რომლებიც ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტები არიან. კაცთა გუნდს ალბათ ჩემპიონობისთვის ბრძოლა გაუჭირდება, მაგრამ საპრიზოზე გასვლა სულაც არ გახლავთ უტოპია...

გუშინ, პირველი ტური თბილისის დროით შვიდის ნახევარზე დაიწყო და გვიან საღამოს დასრულდა. ასეთი გვიანი დრო შედეგების ოპერატიულობის საქმეში, შესაძლოა, შემაფერხებელი იყოს - სამწუხაროდ, გუშინ ევროპაში საათმა ერთი საათით უკან გადაიწია და საქართველოსთან სხვაობამ სამი საათი შეადგინა.

ქართველ კაცებს წილისყრამ ისლანდიის ნაკრები შეახვედრა, ქალებს - ლიტვა.

ზვიად შათირიშვილი

**P.S.** გვიანი დროის მიუხედავად, შედეგებისთვის თვალყურის დევნება ბოლომდე გადავწყვიტეთ, იმ იმედით, რომ სტარტი წარმატებული გვექნებოდა და გამარჯვებებს მოვიპოვებდით, მაგრამ ასე არ მოხდა და პირველივე უსიამოვნო სენსაციის თანაავტორები გავხდით: საერთო რეიტინგით მეჩვიდმეტე ლიტვის გუნდთან, რომელსაც მსოფლიო დონის მხოლოდ ერთი მოჭადრაკე - ვიქტორია ჩმილიტე ჰყავს ჩვენი ნაკრები 1.5:2.5 დამარცხდა.

ჩმილიტემ პირველ დაფაზე თეთრებით მაია ჩიბურდანიძეს აჯობა. ეს შეხვედრა ყველაზე დიდხანს გაგრძელდა და ბოლოს დასრულდა. ჩიბურდანიძე ბევრს ეცადა თავის დაცვას, მაგრამ არაფერი გამოუვიდა - ლიტველმა დიდოსტატმა მცირე უპირატესობა მოგებაში გადაზარდა...

პირველად სალომეა ზაკსაიტესა და ნანა ძაგნიძის პარტია დასრულდა. ქართველმა შავებით ვერ შეძლო მოსაგები გზების მოძიება. არადა, ლიტველის რეიტინგი სულ რაღაც 2228 გახლავთ, რაც ქალებშიც კი დაბალ მაჩვენებლად ითვლება და ნანასგან ნამდვილად მოგებას ველოდით. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. ეგ კიდევ კარგი, რაც მეორე დაფაზე შეგვემთხვა, ვერაფრით მოვიფიქრებდით: ლელა ჯავახიშვილმა თეთრებით ინვნია მარცხი დეიანტე დაულიტესთან, რომლის რეიტინგი კიდევ უფრო ნაკლებია - 2222.

ჯავახიშვილის მარცხს გამარჯვება შეაშველა მეოთხე დაფაზე მოთამაშე მაია ლომინეიშვილმა - თეთრებით დაივა ბატიტე დაამარცხა, მაგრამ ამან ჩვენს გუნდს არაფერი არგო. სხვათა შორის, იოლად არც დაივა დანებებულა და გვარიანი ჯაფა დაადგა ლომინეიშვილს ქულის მოსაპოვებლად. ეს კი იმის მანიშნებელია, რომ ლიტველები დაბალი რეიტინგის მიუხედავად, საკმაოდ კარგად არიან მომზადებულნი და შესაძლოა სხვა ლიდერებსაც გაურთულონ ცხოვრება.

| კაცები. საქართველო-ისლანდია | 3.5:0.5 |
|---|---|
| **ბაადურ ჯობავა** (2644) - ჰედინ სტეინგრინსონი (2533) | 1:0 |
| ჰენრიკ დანიელსენი (2491) - **თამაზ გელაშვილი** (2623) | 0.5:0.5 |
| **ლევან ფანცულაია** (2617) - სტეფან ქრისტიანსონი (2458) | 1:0 |
| ტროსტურ ტორჰალსონი (2448) - **დავით არუთინიანი** (2574) | 0:1 |

| ქალები. საქართველო-ლიტვა | 1.5:2.5 |
|---|---|
| ვიქტორია ჩმილიტე (2464) - **მაია ჩიბურდანიძე** (2500) | 1:0 |
| **ლელა ჯავახიშვილი** (2474) - დეიმანტე დაულიტე (2222) | 0:1 |
| სალომეა ზაკსაიტე (2228) - **ნანა ძაგნიძე** (2416) | 0.5:0.5 |
| **მაია ლომინეიშვილი** (2409)- დაივა ბატიტე (2198) | 1:0 |

## თარიღი

**ვლადიმერ სვეტილკო.** 28. 10.1915, ტამბოვი (რუსეთი) - 28.03.1996, თბილისი. ძალოსნობა (67,5 კგ). ევროპის ჩემპიონი (1950), მსოფლიოს ჩემპიონატების მეორე (1946) და მესამე (1950) პრიზიორი. სსრკ ოთხგზის ჩემპიონი (1948-51), მეორე (1946) და ორგზის მესამე (1944, 45) პრიზიორი. მსოფლიოს რეკორდსმენი აჭიმვაში - 111,5 კგ (1951). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი.

**ამირან მუზაევი.** დაიბადა 28.10.1950, თბილისი. ძიუდო (93, +93 კგ). ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1973), სსრკ ჩემპიონატების მეორე (1973) და მესამე (1976) პრიზიორი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.

**ნოდარ მოდებაძე.** დაიბადა 29.10.1950, აკურა, თელავი. თავისუფალი ჭიდაობა (+100 კგ). მსოფლიოს თასის მფლობელი (1974), ევროპის ჩემპიონი (1973), სსრკ აბსოლუტური ჩემპიონი (1977) და ორგზის მეორე პრიზიორი (1973, 77), სსრკ ხალხთა VI სპარტაკიადის მეორე პრიზიორი (1975). საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.

ქ. თბილისის მერიის სპორტის სახეობათა მთავარი კომპლექსური ცენტრის, გ. ეგნატაშვილის სახელობის სპორტის სახეობათა ფილიალის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ღრმა მწუხარებაში, სპორტის ღვაწლმოსილ მუშაკს მარინა თარხნიშვილს დედის გარდაცვალების გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო

ევროპის გუნდური ჩემპიონატი

# ისტორიას დარჩება!

## საქართველოს ნაკრები ევროპის სამგზის ჩემპიონია

პირველი გვერდიდან

მინსკში მასპინძლების გარდა, საქართველოს, უკრაინის, რუსეთის, საფრანგეთისა და პოლონეთის გუნდები შეიკრიბნენ. ჩვენებს პირველ მეტოქედ პოლონეთი ერგოთ, ამათ შორის გამარჯვებული კი ნახევარფინალში პირველ წრეში დასვენებულ რუსეთს ხვდებოდა.

რუსეთისა არ იყოს, პოლონელებმაც მეორე შემადგენლობა ჩაიყვანეს. თუმცა შემადგენლობა იქით იყოს და 81- ში კი მონაწილე საერთოდ არ გამოუყვანიათ. არადა, ამ წონაში ევროპისა და მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორი **რობერტ კრავჩუკი** ჰყავთ. ჩვენებისთვის ჯერ მისი არყოფნა იყო დამატებითი ფორა და ახლა სულ მთლად მუქთი ქულა მიითვალეს. თანაც, წმინდა მოგება. პოლონეთის კაცნაკლული და სუსტი გუნდი იოლი ლუკმა ჩანდა, მაგრამ თავიდან გაგვიჭირდა - **ნესტორ ხერგიანმა** (60) ვინმე **კრეცილევსკისთან** ფრედ იჭიდავა, ევროპის ორგზის ჩემპიონი **ზაზა კედელაშვილი** (66) კი **კოვალსკისთან** წმინდად დამარცხდა. აი, ამის შემდეგ კი ჩვენებმა აინყვეტეს და ზედიზედ სამი შეხვედრა მოიგეს წმინდად - **მინდია ხომიზურმა** (73), **ირაკლი ცირეკიძემ** (90) და **ლომერ ჟორჟოლიანმა** (100), ხოლო **გიორგი ბაინდურაშვილს** (81), როგორც გითხარით, მეტოქე არ ჰყავდა და ისედაც სუფთა მოგება ჩაეთვალა. **ლაშა გუჯეჯიანმა** (+100) ქულებით სძლია და ჩვენებმა მეტოქეს 5:1 მოუგეს.

ნახევარფინალში რუსებთან **შოთა ხაბარელმა** უცვლელი პრინციპი დაარღვია და გამარჯვებული შემადგენლობა ცოტათი შეცვალა - ხერგიანის ნაცვლად **ბეთქილ შუკვანი** დააყენა, ბაინდურაშვილი კი **გრიგოლ შინჯიკაშვილით** ჩაანაცვლა. საბოლოოდ ცვლილებებმა გაამართლა - ორივემ წმინდად მოიგო. **შუკვანმა მუსლიმოვს** წმინდად კი მოუგო, მაგრამ კედელაშვილი **ალიმ გადანოვთანაც** დამარცხდა და ანგარიში გათანაბრდა. მინდია ხომიზურმა ფრედ დაასრულა შეხვედრა **ბურილოვთან** და ვითარება უცვლელი დარჩა. თუმცა ხომიზურს მადლობის მეტი არაფერი ეთქმის, რადგან ზედა წონაში იჭიდავა და ძალიან კარგად - 2 შეხვედრა მოიგო და ერთი ფრედ დაამთავრა. მართალია, წლეულს იგი ორიოდ ტურნირზე 73-ში უკვე მოსინჯეს და იმდენად კარგად გამოვიდა, საჭიროების შემთხვევაში დავით ქევხიშვილის შემცვლელად მაშინვე წარმოაჩინა თავი.

რუსებთან შეხვედრაში გარდატეხა სწორედ შინჯიკაშვილმა შეიტანა, რომელმაც **მაგომედოვს** წმინდად მოუგო. ამას ცირეკიძემაც ასევე სუფთა მოგება მიაყოლა **მაჰმადოვთან** და 3:1 დავწინაურდით. ამის შემდეგ ანგარიშის შენარჩუნება ტექნიკის საქმე იყო - რაკი ამგვარ ტურნირებში ფრე შედეგად ფიქსირდება და დამატებითი დრო არ ინიშნება, დარჩენილი ორი ბრძოლიდან ერთი მაინც რომ ფრედ დაესრულებინათ, ფინალში გავდიოდით. ეს ამოცანა ჯერ კიდევ ჟორჟოლიანმა გადაჭრა წარმატებით და **უნაშხოტლოვთან** ფრედ დაასრულა შეხვედრა. გუჯეჯიანის ბრძოლას რუსთა ერთადერთ ტიტულოვან ფალავანთან, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი **ალექსანდრ მიხაილინთან** არაფერს ცვლიდა, მაგრამ პრესტიჟის საქმე გახლდათ. ჩვენებურმა მას წლეულს ევროპის პირველობაზე მოუგო, ახლა კი ფრედ დაასრულა ორთაბრძოლა.

ფინალში გავიდნენ ფრანგებიც, რომლებმაც მასპინძლებს აჯობეს. სხვათა დარად, ძირითადის მოჭიდავეები ფრანგებსაც აკლდათ, მაგრამ მათი გუნდი ნებისმიერი შემადგენლობით ანგარიშგასაწევია. ცხადია, ეს ხაბარელსაც მშვენივრად მოეხსენება და შემადგენლობაში ხერგიანი დააბრუნა, თუმცა ამჯერად ეს უილბლო ცვლილება გამოდგა - ჩვენებური ევროპის ჩემპიონი **სირილ სოიერთან** დამარცხდა. კიდევ კარგი, კედელაშვილმა ამჯერად ცოტათი იყოჩაღა და ორი წაგების შემდეგ ფრედ იჭიდავა. აქედან მოყოლებული ქართველთა ჯერი დადგა - ხომიზურმა, შინჯიკაშვილმა და ცირეკიძემ თავიანთი შეხვედრები მოიგეს შესაბამისად, **რემილიენთან, კლეგერტთან** და **ფიშოსთან.** ანგარიში 3:1 გახდა ჩვენების სასარგებლოდ და აქ ჟორჟოლიანს ფრედ რომ დაემთავრებინა შეხვედრა სირილ მარეტთან, ჩემპიონის ბედსაც გადაწყვეტდა. სამწუხაროდ, იგი დამარცხდა და ყველაფერი მძიმეწონოსანთა შერკინებას უნდა გადაეწყვიტა, მაგრამ აქ საინტერესო ვითარება შეიქმნა - ქულებით თუ დავითვლით, ჩვენები 19:8 იგებდნენ. ამდენად, გუჯეჯიანს წმინდადაც რომ წაეგო **იან სებასტიან ბონვუაზენთან**, ჩემპიონები მაინც ჩვენ ვხდებოდით. თუმცა სუფთად წაგებასაც გააჩნია - მხოლოდ იპონით მარცხი გვაწყობდა, თორემ ორი ვაზარით რომ წაეგო, მაშინ ფრანგები ქულებით გვისწრებდნენ. ეს ამოცანა გუჯეჯიანისთვის ძნელი მართლაც არ ჩანდა და ამიტომ მეტოქეზე მისვლისთანავე დავარდა. ბონვუაზენიც ზედ დაახტა და თავისთვის წმინდა მოგება, ჩვენთვის კი ჩემპიონობა გააფორმა. ანგარიში 3:3 გახდა, მაგრამ ჩვენებმა ქულებით მოიგეს - 19:18. ვეჭვობთ, ფრანგებმა სწორად ვერ დათვალეს და ბონვუაზენიც ამიტომ მივარდა გუჯეჯიანს. ჩანს, ამიტომ არ იჭიდავა ფრანგმა ორ ვაზარზე და იპონს დასჯერდა. ამ მოსაზრებას მსაჯთა საქციელიც ამართლებს, რომლებიც ერთხანს რაღაცაზე ბჭობდნენ, მაგრამ საბოლოოდ ჩემპიონად საქართველოს ნაკრები გამოცხადდა და ამათაც ხელმეორედ ააფრიალეს ხუთჯვრიანი დროშა.

ისე, სასაცილო კი იქნებოდა, ბონვუაზენიც რომ გაჩერებულიყო და წაქცეულ გუჯეჯიანს არ მიკარებოდა...




წინა დიდი გამარჯვება 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონობა იყო

რაგბი

BTA Silk Road Bank
ქვარციტი QUARTZITE
LOYAL CAPITAL group



უტევს დავით კაჭარავა

მალხაზ ახალედიანის ფოტო

# ფინალი მსოფლიო თასის მონაწილეებით

## პირველი მარცხი და ყოჩების პირველი გამარჯვება

**ყოჩები–ლოკომოტივი 13:6**

ქუთაისი. ცენტრალური, 1000 მაყურებელი

ყოჩები (1-15): ასეიშვილი, ბრეგვაძე, ყალიჩავა (75. ჭავჭავაძე), გელაშვილი, არჩუაშვილი, გენებაშვილი, დგებუაძე (38. ახვლედიანი), კობახიძე; ხელაძე, კიკნაძე, ნიჟარაძე, ადანაია, დ.კაჭარავა, გეგენავა, კუპრეიშვილი (45. გ.კაჭარავა) - ლ (გეგენავა), გ (კობახიძე), ს,ა (კიკნაძე)

ლოკომოტივი (ლიგამუსი): პეტრიაშვილი, ტურაშვილი, მალალდაძე (50. ხეჩიკოვი), კახიანი, ნიშნიანიძე (64. გუჯარაიძე), ი. მაისურაძე, ყურაშვილი (70. მხეიძე), ზ. მაისურაძე; ლვინჯილია, კვინიხიძე, ანდღულაძე, ბერძენიშვილი, ქავთარაძე, გუგავა, ასათიანი - 2ს (კვინიხიძე)

მსაჯები: მ.ჩაჩუა, ნ.რობიტაშვილი, კ.გაბრიჩიძე

ქუთაისის სერიოზული მატჩებით განებივრებული არ არის და კარგი იყო, რომ საქართველოს თასის ფინალის ჩატარება აქ გადაწყდა. ქუთაისში სპორტულ ცხოვრებას მართლაც რომ სჭირდება გამოცოცხლება. ეს მატჩზე დამსწრე გულშემატკივართა რაოდენობამაც დაადასტურა. ხალხი ისეა სტადიონებზე და სპორტულ შეჯიბრებებზე მისვლას გადაჩვეული, რომ თუ ადრე ასეთ მატჩებზე სტადიონი სანახევროდ მაინც გაივსებოდა, ახლა ათასმა მაყურებელმა ძლივს მოიყარა თავი. ისინიც ძირითადად, „სარაგბო ოჯახის" წარმომადგენლები და თბილისიდან „ყოჩებისა" და „ლოკომოტივის" საქომაგოდ ჩამოსული გულშემატკივრები იყვნენ.

„ლოკომოტივი" ტიტულს მეშვიდედ უმიზნებდა. სხვათა შორის, ფინალამდე გუნდს სახელი შეეცვალა და მას „ლიგამუსი" დაერქვა. ახალი სახელწოდება ილბლიანი ვერ გამოდგა, გუნდმა პირველი ფინალი სწორედ „ლიგამუსის" სახელწოდებით წააგო. რაც შეეხება „ყოჩებს", საქართველოს ორგზის ჩემპიონები თასს აქამდე არასდროს დაუფლებიან. 2004 წელს ფინალში ისინი სწორედ „ლოკომოტივთან" დამარცხდნენ და ახლა რევანშისთვის იყვნენ განწყობილი.

შემადგენლობის მხრივ, ორივე გუნდი საბრძოლო მზადყოფნაში იყო. ფინალისთვის „ლოკომოტივმა" მსოფლიო თასზე ნათამაშები **ზვიად** და **ილია მაისურაძეები** დაიმატა, "ყოჩებმა" კი ასევე ნაკრების წევრები **დავით** და **გიორგი კაჭარავები.**

გახსნის ცერემონიალის დასრულების შემდეგ მოედანზე გუნდებიც გამოჩნდნენ.

შეხვედრა თანაბარ ბრძოლაში დაიწყო. სანახაობრივი მხარე მოიკოჭლებდა, მრავლად იყო ხარვეზები, თუმცა მეტოქეებს ჟინი და მონდომება არ აკლდათ. მე-5 წუთზე ლოკომოტიველთა დამრტყმელმა **ბობა კვინიხიძემ** შორიდან ჯარიმა ააცილა. ცოტა ხანში **გიორგი კახიანი** ლელოდან ერთ ნაბიჯში აღმოჩნდა, მაგრამ მეტოქემ მისი შებოჭვა მოახერხა.

ამის შემდეგ უპირატესობა „ყოჩებმა" მოიპოვა. 13- წუთზე დავით კაჭარავამ გადაიკიდა ბურთი, შეჰყვა, დაჭერა ვერ მოახერხა, თუმცა **ბექა კუპრეიშვილმა** დაამიწა, მაგრამ იქამდე არბიტრმა წინ პასი დააფიქსირა. 15-წუთზე მოთამაშე-მწვრთნელის, **ნიკო ჭავჭავაძის** შეგირდებმა ხუთმეტრიანი დერეფნიდან მოლი ააგორეს, მიაწვნენ, მაგრამ ლოკომოტიველებმა თავი კარგად დაიცვეს. **დავით კიკნაძეს** ისღა დარჩენოდა, საპირისპირო ფრთაზე გადაეკიდა ბურთი, თუმცა ძლიერად მოუვიდა და კიდეზე გადააგდო. დერეფანი კვლავ „ყოჩებმა" მოიგო, შეუტია და **კიკნაძემ** არეკნით ანგარიში გახსნა - 3:0

26-ე წუთზე რკინიგზელთა შეცდომას ლელო მოჰყვა. **კვინიხიძეს** საკუთარ ოცდაორთან დაუვარდა ბურთი, რომელიც **ირაკლი გეგენავამ** ჩაიგდო ხელთ, ხაზი გაჭრა და ძელებს შორის დაამიწა. **კახა კობახიძემ** კარის წინიდან გარდასახა - 10:0.

ცოტა ხანში წვიმა წამოვიდა, ბურთი დასველდა და ხარვეზებმაც ერთი-ორად იმატა. ტაიმის ბოლოს კიკნაძემ თითქმის ცენტრიდან ჯარიმა ვერ გაიტანა და გუნდები შესვენებაზე გავიდნენ.

მეორე ნახევარში „ლოკომოტივი" საგრძნობლად გააქტიურდა. 47-ე წუთზე ყოჩები მოლის ჩაქცევისთვის დაჯარიმდნენ და ბობა კვინიხიძემ სხვაობა შეამცირა-10:3 მალე კიკნაძეს კვლავ შეეძლო სტატუს-ქვოს აღდგენა, მაგრამ მისმა საჯარიმომ კვლავ არ უწია მიზანს. **თემურ ბენდიაშვილის** შეგირდები ძირითადად შერკინებითა და ძალისმიერი თამაშით ცდილობდნენ ფონს გასვლას. 58-წუთზე რაკში დარღვევისთვის დანიშნული ჯარიმა კვინიხიძემ ზუსტად დაარტყა-10:6

თასის მფლობელებს თამაშის შემოტრიალების კარგი შანსი მიეცათ. სათამაშო უპირატესობას ისინი ფლობდნენ. ერთი აფეთქება იყო საჭირო, რომ „ყოჩები" გაეტეხათ. მაგრამ, ჭავჭავაძის შეგირდების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი მაგრად დაუდგნენ მეტოქეს და ლელოს გატანის შანსი არ მისცეს.

70-წუთზე რკინიგზელებს შეეძლოთ ჯარიმა დაერტყათ და ანგარიში ერთ ქულამდე შეემცირებინათ, მათ კი ბურთის კიდეზე გადაგდება და ლელოსთვის ბრძოლა ამჯობინეს, თუმცა აქედან არაფერი გამოუვიდათ. საპასუხოდ, 76 წუთზე კიკნაძემ საჯარიმო ზუსტად შეასრულა -13:6

"ლიგამუსმა" ბოლო წუთებზე მეტოქე ლელოსთან გამოამწყვდია, მაგრამ თამაშის გადარჩენა ველარ მოახერხა. არადა, ბოლოს მოლით მიწოლის ნაცვლად თამაში მარჯვენა ფრთაზე რომ გადაეტანათ, ხუთი მათგან, ორი "ყოჩის" წინააღმდეგ რჩებოდა....

გამარჯვებული გუნდი სანუკვარ ჯილდოს კარგა ხანი ზეიმობდა. იყო შეძახილები, მილოცვები, ხვევნა-კოცნა, დაჯილდოების ცერემონიალი, რის შემდეგაც მორაგბეებმა კომენტარებისთვისაც მოიცალეს.

**გიორგი გეგენავა**, "ყოჩების" პრეზიდენტი: *"დაძაბული თამაში იყო. ბიჭები შებოჭილები იყვნენ და სანახაობრივი მხარე მოიკოჭლებდა. „ლოკომოტივი" ძალზედ სერიოზული გუნდია, ძლიერი შემადგენლობით და ძალიან ჭკვიანი მწვრთნელით, მაგრამ დღეს „ყოჩებმა" იმის ხარჯზე მოიგო, რომ მეტოქეზე ნაკლები შეცდომა დაუშვა. მადლობა მინდა ვუთხრა ქუთაისის მერიასა და სპორტის სამსახურს მატჩის კარგი ორგანიზებისათვის. ასევე მაყურებლებს - თბილი დახვედრისათვის".*

**ნიკო ჭავჭავაძე,** მწვრთნელი: *"ძალიან ბედნიერები ვართ. ამ გამარჯვებისთვის დიდი ხანია ვემზადებოდით. ახალგაზრდული გუნდი ჩამოვაყალიბეთ და ორი წლის მუშაობამ შედეგი მოგვიტანა. ძალიან ძლიერი მეტოქე გვყავდა. მეორე ტაიმში დაცვაზე გადავერთეთ და გაგვიჭირდა, თუმცა საბოლოოდ დამსახურებულად გავიმარჯვეთ".*

**კახა კობახიძე,** კაპიტანი: *"კარგი თამაში გამოდგა. დაძაბული, როგორც მსოფლიო თასის ფინალი. თამაშში მრავლად იყო კარგი ეპიზოდები. ჩვენმა დაცვამ კარგად ითამაშა და „ლოკომოტივს" ლელოს გატანის საშუალება არ მივეცით. ხარვეზების გვქონდა, მაგრამ გამარჯვებულებს არ ასამართლებენ".*

**კოტე გაბაშვილი,** პარლამენტის წევრი: *„ლოკომოტივს" ვგულშემატკივრობდი... დაძაბული, მაგრამ საკმაოდ კორექტული თამაში იყო. ორივე გუნდმა თავისი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოიყენა. თამაში ერთი ლელოს ზღვარზე მიმდინარეობდა. „ყოჩებმა" პირველ ტაიმში მოპოვებული უპირატესობის წყალობით შეძლო გამარჯვება".*

დავით პოხრეიძე
ქუთაისიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩოგბურთი

## პარიზის მასტერსი როდიკის გარეშე

დღეს, პარიზში წლევანდელი სეზონის ბოლო მასტერსი იწყება. ტურნირი, რომელიც წინ უძღვის წლის შემაჯამებელ ჩემპიონატს, მსოფლიოს მეხუთე ჩოგანის, ამერიკელი **ენდი როდიკის** გარეშე ჩაივლის.

როდიკს უკვე გარანტირებული ჰქონდა შანხაიში, მასტერსის თასზე თამაში და ამიტომაც, მისი გადაწყვეტილება არავის გაკვირვებია, თანაც ლიონის ტურნირის პირველ წრეში წაგების შემდეგ, ენდი ევროპაში აღარ დარჩა და სამშობლოში დაბრუნდა.

ჰოკეი

## მფრინავების უხეშობა გრძელდება

გასულ უიქ ენდზე სერიოზული ტრავმა მიიღო "ბოსტონ ბრუინზის" ცენტრალურმა თავდამსხმელმა **პატრის ბერჟერონმა**. "ფილადელფიასთან" მატჩის დროს, ბერჟერონს უკნიდან ჩაარტყა ყვანჯი "მფრინავების" მცველმა **რედნი ჯონსმა**, რის გამოც ბოსტონელი ფორვარდი უგონო მდგომარეობაში საავადმყოფოში გადაიყვანეს.

სხვათა შორის, ეს არის ამ სეზონში "ფილადელფიის" ჰოკეისტთა უხეშობის მესამე შემთხვევა. **სტივ დაუნიმ** 20-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო იმის გამო, რომ იდაყვი ჩაარტყა "ოტავას" ფორვარდ **დინ მაკამონდს**, ხოლო **ჯესი ბულრაისი** 25-მატჩიან სასჯელს იხდის, **რაიან კესლერისთვის** ყვანჯის სახეში ჩარტყმის გამო.

## ბრუნეტის 500 ქულა

რეგულარული ჩემპიონატის ბოლო ორ ტურში, რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენა დაფიქსირდა, რომელთაგან ორი იყო განსაკუთრებით ღირსშესანიშნავი. "კოლორადომ" ოვერტაიმში 3:2 მოუგო "კალგარის". ეს გახლდათ "ეველანშის" მთავარი მწვრთნელის, **ჟოელ კენევილის** კარიერაში მე-400 გამარჯვება.

იმავე "კოლორადოს" ფორვარდმა **ენდრიუ ბრუნეტმა**, ასევე "კალგარისთან" მატჩში საგოლე პასი გააკეთა და კარიერაში 500 ქულა დაუგროვდა. ამ სეზონში, 34 წლის თავდამსხმელის ანგარიშზე 2 გოლი და 10 ქულაა, სულ კი, ბრუნეტმა NHL-ში 11 წლის განმავლობაში 5 გუნდში ითამაშა და 716 მატჩში 174 გოლი და 326 პასი მიითვალა.

## ფლორიდა მცველს იმატებს და ოლეშს კარგავს

"ფლორიდა პანტერზმა" დაცვის ხაზის გაძლიერებაზე იზრუნა და ამ მიზნით, "ჩიკაგოდან" სტენლის თასის 2004 წლის მფლობელი ("ტამპა ბეის" შემადგენლობაში) **ჯეისონ კალიმორი** გადაიბირა. კონტრაქტი ერთწლიანია, თუმცა მისი ფინანსური დეტალები ცნობილი არ არის.

34 წლის ჰოკეისტისთვის "ფლორიდა" მეხუთე კლუბია. კალიმორს კარიერის 643 მატჩში 80 ქულა (21+59) აქვს დაგროვებული.

კალიმორის შეძენის გარდა, "პანტერზმა" ერთ-ერთი წამყვანი ფორვარდი, **როსტისლავ ოლეში** დაკარგა. მარცხენა გარემარბმა "ტორონტოსთან" მატჩში მოიტეხა ხელი. 22 წლის ჰოკეისტმა უკვე გაიკეთა ოპერაცია და მინიმუმ ერთი თვე ვერ შეძლებს ყინულზე გასვლას.

## ოტავამ კარლსონი გაუშვა

შვედმა მცველმა **მატიას კარლსონმა** ვერ შეძლო "ოტავას" ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრება და სამშობლოში მოუწია დაბრუნება. ჰოკეისტი შვედეთის მთავარი ლიგის ბინადარ "ბოფორსში" გააგრძელებს კარიერას.

ალსანიშნავია, რომ "სენატორზმა" კარლსონი 2003 წლის დრაფტის მეოთხე რაუნდში აირჩია და წინა სამი სეზონი, შვედმა მცველმა ასევე სამშობლოში გაატარა.

კალათბურთი

## ბიბი მინიმუმ ორი თვე დაისვენებს

უსიამოვნო ინფორმაცია შეიტყვეს "საკრამენტო კინგზის" გულშემატკივრებმა. რეგულარული ჩემპიონატის სტარტზე, მინიმუმ რვა კვირას გამოტოვებს ძირითადი მცველი **მაიკ ბიბი**. კალათბურთელმა ბოლო ვარჯიშზე ხელზე ცერა თითის მყესები გაიწყვიტა. ჩატარებულმა სამედიცინო გამოკვლევამ აჩვენა, რომ ბიბის ოპერაცია სჭირდება, ხოლო სარეაბილიტაციო პერიოდი სულ მცირე, ექვსი კვირა გაგრძელდება. შესაძლოა, "საკრამენტოს" მცველმა 10 კვირაც ვერ ითამაშოს.

შარშან, ბიბიმ რეგულარულის ყველა მატჩში მიიღო მონაწილეობა და საშუალოდ შეხვედრაში 17.7 ქულა დააგროვა.

## პეტკოვიჩი უძვირფასესია

ევროლიგის პირველი ჯგუფური ტურნირის პირველი ტური ბელგრადის "პარტიზანის" ცენტრის, **ნიკოლა პეტკოვიჩის** ტრიუმფით დასრულდა. სწორედ ეს სერბი კალათბურთელი გახდა პირველი სათამაშო დღის ყველაზე ძვირფასი მოთამაშე.

"პარტიზანმა" "ბარსელონა" 81:78 დაამარცხა. 21 წლის პეტკოვიჩის ანგარიშზე 29 ქულა, 8 მოხსნა და 2 ჩაჭრა იყო. გარდა ამისა, კატალონური კლუბის კალათბურთელებმა, ჯამში შვიდი პერსონალური ჯარიმა მიიღეს სერბი ცენტრის წინააღმდეგ თამაშისას.

ველოსპორტი

## ტონინა პანტანი ახალ გამოძიებას ითხოვს

იტალიელი ველომრბოლის **მარკო პანტანის** დედა 2004 წელს დაღუპული შვილის სიკვდილის გარემოებათა ახალ გამოძიებას ითხოვს. 1998 წელს ტურ დე ფრანსისა და ჯირო დ'იტალიას მომგები პანტანი ნარკოტიკების ზედმეტი დოზისგან დაიღუპა. იტალიელი ველომრბოლი დოპინგის მიღებაში იყო დადანაშაულებული, ხოლო მისი სიკვდილი კოკაინის დიდმა დოზამ განაპირობა.

*"მარკოს სიკვდილის ზუსტი დრო დადგენილი არ არის. თანაც, იმ დღეს, ჩემს შვილთან უამრავ ადამიანს ჰქონდა ვიზიტი. საკუთარ ფულს დავხარჯავ იმისთვის, რომ სამართლიანობამ იზეიმოს და სიკვდილის ნამდვილი მიზეზი დადგინდეს"*, - განაცხადა "გაძეტა დელო სპორტისთვის" მიცემულ ინტერვიუში **ტონინა პანტანიმ**.

ფორმულა 1

## ინდოეთის გრანპრი 2010 წელს

ინდოეთის ისტორიაში პირველი გრან-პრი 2010 წელს გაიმართება. ასეთი განცხადება გააკეთა ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა **სურეშ კალმადიმ**.

*"ფორმულა 1-ის ექსპერტებმა დელიში რამდენიმე რაიონი მოინახულეს და საბოლოოდ, ტრასის ასაშენებლად ორი ადგილი შეარჩიეს. ეს არის რაიონები: გრეიტე ნოიდა და სოჰნა. საბოლოო გადაწყვეტილებას თავად ინდოეთის მხარე მიიღებს"*, - ამბობს კალმადი.

ამ უკანასკნელმა ისიც აღნიშნა, რომ ინდოეთში რბოლის გამართვა უკვე შეთანხმებულია ფორმულა 1-ის მთავარ პრომოუტერ **ბერნი ექლსტოუნთან**: *"რბოლის გამართვაზე საბოლოო კონტრაქტი მინიმუმ 10 წელიწადზე გაფორმდება, თუმცა შეიძლება ეს ვადა უფრო ხანგრძლივიც იყო"*.



ტურნირები

# ჰანტუხოვა მადრიდის საგზურს დაეუფლა

სლოვაკი **დანიელა ჰანტუხოვას** გამარჯვებით დასრულდა ავსტრიის ქალაქ ლინცის ღია პირველობა, რომლის ფინალშიც მან იოლად დაამარცხა შვეიცარიელი **პატი შნიდერი**. რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ამ მოგებით ჰანტუხოვამ სეზონის დამაბოლოვებელ ტურნირზე, WTA-ს ჩემპიონატზე გამოსვლის უფლება მოიპოვა. ამ ტურნირს მადრიდი უმასპინძლებს და მასზე ის რვა მეჩოგნე იასპარეზებს, რომლებსაც განვლილი სეზონის განმავლობაში საუკეთესო შედეგები ჰქონდათ.



დანიელა ჰანტუხოვა

ჰანტუხოვამ სეზონი იმდენივე ქულით დაასრულა, რამდენითაც რუსმა **მარია შარაპოვამ**. ამ ორმა ჩოგბურთელმა საბოლოო რეიტინგში მერვე-მეცხრე ადგილები გაიყო, მაგრამ ორივემ მადრიდის ტურნირის საგზური იმის გამო მიიღო, რომ ამ ტურნირზე გამოსვლას ვერ ახერხებს ტრავმირებული **ვენუს უილიამსი**. ვენუსმა ეს ტრავმა ჯერ კიდევ აშშ-ის ღია პირველობაზე მიიღო, მაგრამ აქამდე ამ ტრავმის მიზეზები ექიმებს ვერ დაუდგენიათ.

სლოვაკმა ჩოგბურთელმა ამ სეზონში მეოთხე ტურნირის ფინალში ითამაშა, მაგრამ მხოლოდ მეორედ მოიგო. პირველი გამარჯვება კი მან გაცილებით პრესტიჟულ ტურნირზე, ინდიან ველსზე მოიპოვა.

*"დღეს მე ოცნება ავისრულე. უკეთესს ვერც ვინატრებდი. რაც მთელი სეზონის განმავლობაში ვიშრომე, შედეგს ახლა მაძლევს. მადრიდში თამაში კი ჩემთვის ბონუსი იქნება. ფინალის წინა ღამეს თითქმის არ მიძინია. ძალიან ვინერვიულე, მაგრამ მიხარია, რომ ამ ნერვიულობას ჩემს თამაშზე დიდი გავლენა არ მოუხდენია"*, - განაცხადა ჰანტუხოვამ.

გამარჯვებით დაასრულა შინაური, ბაზელის ტურნირი და შარშან მოპოვებული ტიტული დაიცვა მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა, შვეიცარიელმა **როჯერ ფედერერმა**, ვინც ფინალში ფინელი **იარკო ნიემინენი** დაამარცხა. ამგვარად, მან სეზონის ბოლომდე პირველი ჩოგნის სტატუსი გაინაღდა. ცნობისთვის, შვეიცარიელი მაესტრო ზედიზედ მეოთხე სეზონს ამთავრებს პირველი ჩოგნის სტატუსით.

სხვათა შორის, გუშინდელ ფინალამდე, ფედერერს ნიემინენი შვიდჯერ ჰყავდა დამარცხებული და თანაც ისე, რომ ერთი სეტიც არ წაეგო. ეს ტრადიცია არც გუშინ დარღვეულა. მან ორივე სეტი თითო ბრეიკით მოიგო და კარიერაში 52-ე ტურნირის ჩემპიონი გახდა. ამ ტიტულებიდან კი სამი ბაზელში აქვს მოპოვებული.

პარალელურად, ბრიტანელმა **ენდრიუ მარეიმ** სანკტ პეტერბურგის ტურნირის ტიტული მოიპოვა. ფინალში მან ორ სეტში აჯობა ესპანელ **ფერნანდო ვერდასკოს**. ბრიტანელმა ორივე სეტში ორ-ორი ბრეიკი აიღო და მიმდინარე სეზონში მეორე კარიერაში კი მესამე ტიტულს დაეუფლა.

ლიონში კი, იქაური ტურნირი ფრანგმა **სებასტიან გროჟანმა** მოიგო, რომელმაც ფინალში თანამემამულე **მარკ გიშელი** დაამარცხა. გროსჟანისთვის ეს ბოლო ხუთ სეზონში მოგებული პირველი ტურნირია. ლიონამდე მას ბოლო გამარჯვება 2002 წელს სანკტ პეტერბურგში ჰქონდა მოპოვებული.

**ATP**

შვეიცარიის დავიდოფის ჭერქვეშა

ბაზელი (შვეიცარია). ხალიჩა

**საპრიზო ფონდი: 850 250 ევრო**

**1/4 ფინალი**

**ივო კარლოვიჩი (ხორვ)**-ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 5) 6:7(5), 7:6(2), 7:6(13)

**1/2 ფინალი**

**როჯერ ფედერერი (შვეი, 1)**-ივო კარლოვიჩი (ხორვ) 7:6(6), 7:6(5); **იარკო ნიემინენი (ფინ)**-მარკოს ბაღდატისი (კვიპ) 7:6(4), 6:2

**ფინალი**

**როჯერ ფედერერი (შვეი, 1)**-იარკო ნიემინენი (ფინ) 6:3, 6:4

ლიონის დიდი პრიზი

ლიონი (საფრანგეთი).

ჭერქვეშა ხალიჩა

**საპრიზო ფონდი: 680 250 ევრო**

**1/4 ფინალი**

**ალეხანდრო ფალა (კოლ)**-ივან ლიუბიჩიჩი (ხორვ, 5) 7:5, 6:7(3), 7:5; **სებასტიან გროსჟანი (საფ)**-ჟულიან ბენეტიუ (საფ) 6:7(6), 6:2, 7:6(4)

**1/2 ფინალი**

**სებასტიან გროსჟანი (საფ)**-ჟო-ვილფრედ ცონგა (საფ) 6:1, 6:2; **მარკ გიშელი (საფ)**-ალეხანდრო ფალა (კოლ) 4:6, 6:2, 7:6(7)

**ფინალი**

**სებასტიან გროსჟანი (საფ)**-მარკ გიშელი (საფ) 7:6(5), 6:4

სანკტ პეტერბურგის ღია

სანკტ პეტერბურგი (რუსეთი).

ჭერქვეშა ხალიჩა

**საპრიზო ფონდი: 1 000 000 დოლარი**

**1/4 ფინალი**

**მარინ ჩილიჩი (ხორვ)**-ერნესტ გულბისი (ლატვ) 6:4, 6:4

**1/2 ფინალი**

**ენდრიუ მარეი (ბრიტ, 2)**-მიხაილ იუჟნი (რუს, 3) 6:2, 5:7, 7:6(1); **ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 6)**- მარინ ჩილიჩი (ხორვ) 6:2, 6:3

**ფინალი**

**ენდრიუ მარეი (ბრიტ, 2)**-ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 6) 6:2, 6:3

**WTA**

**გენერალის ღია**

ლინცი (ავსტრია). მეორე კატეგორია.

ჭერქვეშა პარდი

**საპრიზო ფონდი: 600 000 დოლარი**

**1/4 ფინალი**

**ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ, 5)**-დინარა საფინა (რუს, 4) 6:3, 7:6(7)

**1/2 ფინალი**

**დანიელა ჰანტუხოვა (სლვკ, 2)**-ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ, 5) 2:6, 6:2, 7:6(3); **პატი შნიდერი (შვეი, 6)**-მარიონ ბარტოლი (საფ) 7:6(5), 6:3

**ფინალი**

**დანიელა ჰანტუხოვა (სლვკ, 2)**-პატი შნიდერი (შვეი, 6) 6:4, 6:2

სკანდალი გრძელდება

# დავიდენკო ისევ ეჭვმიტანილია



ნიკოლაი დავიდენკო

უცნაური გადაწყვეტილება მიიღო გასულ კვირას პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციამ. ATP-იმ რუსი **ნიკოლაი დავიდენკო** 2 ათასი დოლარით დააჯარიმა იმის გამო, რომ სანკტ პეტერბურგის ტურნირის მეორე წრეში, ხორვატი **მარიან ჩილიჩის** წინააღმდეგ მატჩი თითქმის უბრძოლველად დათმო. რუსმა პირველი სეტი 27 წუთში 6:1 მოიგო, მაგრამ შემდეგ, თამაშის სადავეებში მოწინააღმდეგეს გადაულოცა და ერთხელ, მატჩის მსვლელობისას, მსაჯ **ჟან-ფილიპ დერკისგან** გაფრთხილებაც კი მიიღო.

*"მსაჯმა მაშინ გამაფრთხილა, როცა ორმაგი შეცდომა დავუშვი. ძალიან გამიკვირდა. ადრე ასეთი რამ არასოდეს გამეგო"*, - განაცხადა დავიდენკომ.

როგორც სააგენტო "როიტერი" იტყობინება, მსაჯი რუსი ჩოგბურთელის ჯანმრთელობითაც დაინტერესდა. თავდაპირველად დავიდენკომ უპასუხა, რომ ყველაფერი წესრიგში იყო, მაგრამ შემდეგ მსოფლიოს მეოთხე ჩოგანმა სირბილის დროს შექმნილ პრობლემებზე დაიჩივლა. *"ის ვერანაირად ვერ დამეხმარებოდა და ამიტომაც, პირველად ვუპასუხე, რომ არაფერი მაწუხებდა. სინამდვილეში კი, ისე ველარ ვთამაშობდი, როგორც პირველ სეტში. საბოლოოდ, გაფრთხილება მომცეს. მოგვიანებით მსაჯს ვუთხარი, რომ ფეხის კუნთები დამეჭიმა და მოძრაობა არ შემეძლო"*, - აღნიშნა დავიდენკომ.

რუსმა ჩოგბურთელმა მეორე სეტში ოთხი ორმაგი შეცდომა დაუშვა, მესამეში - ექვსი. *"მოგება ძალიან მინდოდა, მაგრამ არ შემეძლო. ამან გამაცოფა და მონდომებაც დავკარგე. მეორე პარტიაში ფიქრებით კორტზე აღარ ვიყავი. უბრალოდ, გამოვეთიშე ყველაფერს. ასეთი რამ იშვიათად, მაგრამ მაინც ხდება ხოლმე"*, - ამბობს დავიდენკო.

ATP-ის ჯარიმა უცნაური კი არის, მაგრამ ამ ორგანიზაციის საქციელში მაინც არსებობს რაღაც ლოგიკა. შეგახსენებთ, რომ ასოციაცია გამოძიებას აწარმოებს აგვისტოში, სოპოტის ტურნირზე დავიდენკოსა და არგენტინელი **მარტინ ვასალო-არგელოს** მატჩის გამო. მაშინ, რუსის წაგებაზე ტოტალიზატორებში ძალიან დიდი თანხა შევიდა, რის გამოც, ერთ-ერთ საბუკმეიკერო კანტორას ლოგიკური ეჭვი გაუჩნდა და ATP-ში იჩივლა - აქაოდა, დავიდენკომ შეგნებულად დათმო მატჩიო. რანგით გაცილებით დაბალი კლასის მეტოქესთან პირველი სეტის მოგების (6:1) შემდეგ, რუსმა მეორე პარტია წააგო, ხოლო მესამეში ტრავმა მოიმიზეზა და თამაში შეწყვიტა.

მსოფლიო თასი

# კარბონმა სეზონი გამარჯვებით დაიწყო




დენიზე კარბონი ასპარეზობისას

ავსტრიის სამთო კურორტ ზოლდენში სტარტი აიღო სამთო მოთხილამურეთა მსოფლიო თასის ახილი სეზონი, რომელიც ქალთა გიგანტურმა სლალომმა გახსნა. ორი ცდის ჯამში, საუკეთესო შედეგი აჩვენა და გამარჯვება მოიპოვა იტალიელმა **დენიზე კარბონმა**.

კარბონმა, ვისაც პირველ ცდაზე მეორე შედეგი ჰქონდა, 0.33 წამით აჯობა მეორეზე გასულ ამერიკელ **ჯულია მანკუზოს**, ვინც, თავის მხრივ, სულ რაღაც 0.19 წამით მოიტოვა ავსტრიელი **კატრინ ცეტელი**.

*"ეს ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანი გამარჯვებაა, რადგან აქამდე მსოფლიო თასის ეტაპი მხოლოდ ერთხელ მქონდა მოგებული და მას შემდეგ ძალიან დიდი დრო გავიდა. შარშანდელი სეზონის შემდეგ, კვლავ დავიშავე ფეხი და მეგონა, რომ უიღბლობის ზოლს ვეღარასოდეს ავცდებოდი. ამიტომ, ეს გამარჯვება ჩემთვის დიდი მოულოდნელობა იყო. რა თქმა უნდა, ვიმედოვნებდი, რომ რბოლას კარგი შედეგით დავასრულებდი, მაგრამ ვერც წარმოვიდგენდი, თუ ასპარეზობის შემდეგ კვარცხლბეკზე ასვლას შევძლებდი"*, - წარბოლევს განაცხადა კარბონმა, ვისაც კარიერის განმავლობაში, ორივე მუხლის მყესები არაერთხელ დაწყვეტია. გარდა ამისა, მას მარცხენა ტერფის ტრავმაც არაერთხელ მიუღია.

მანკუზომ გასული სეზონის შემდეგ, მენჯის სახსრის ოპერაცია გაიკეთა და სეზონის პირველსავე რბოლაში მეორე ადგილის დაკავებას არც ის ელოდა. მით უმეტეს, რომ პირველი ცდის შემდეგ მე-12 შედეგი ჰქონდა.

*"პირველი დაშვება შეცდომებით მქონდა გაჯერებული. ამ შეცდომებმა გამომაფხიზლა. მეორეზე ჩემი მთავარი მიზანი დიდი სიჩქარის აკრეფა იყო. შეცდომები არც მეორეზე მაკლდა, მაგრამ მაინც კარგი დრო ვაჩვენე, რამაც ძალიან გამაკვირვა"*, - განაცხადა მანკუზომ, ვინც ტურინის ოლიმპიადაზე, გიგანტურ სლალომში ოქროს მედალს კი დაეუფლა, მაგრამ აქამდე, ტექნიკურ დისციპლინებში (სლალომი და გიგანტური სლალომი) მსოფლიო თასის ეტაპი არასოდეს მოეგო. ზოლდენამდე გიგანტურ სლალომში მანკუზოს საუკეთესო შედეგი გასულ სეზონში, კორტინა დ'ამპეცოში დაკავებული მეორე ადგილი იყო (ის რბოლა იტალიელმა **კარენ პუტცერმა** მოიგო).

რბოლის წინ, ბევრი თვლიდა, რომ შინაურ ტრასაზე გამარჯვებისთვის ავსტრიელი მოთხილამურეები იბრძოლებდნენ, მაგრამ კვარცხლბეკზე მათი გუნდის მხოლოდ ერთი წევრი - ცეტელი ავიდა. საინტერესოა, რომ ცეტელისთვისაც ეს სერიოზული ტრავმის შემდეგ პირველი რბოლა იყო - გასული სეზონის მიწურულს, კომბინაციის დაშვების ცდაზე ის დაეცა და ფეხი მოიტეხა.

ზოლდენის რბოლის პირველ ცდაზე მას 24-ე შედეგი ჰქონდა, მაგრამ მეორე ცდაზე უშეცდომოდ ისრიალა და საუკეთესო დრო დააფიქსირა, რამაც კვარცხლბეკზე ადგილის დაკავების საშუალება მისცა.

პირველ ცდაზე საუკეთესო დრო ფინელ **ტანია პოუტიაინენს** ჰქონდა, მაგრამ 2005 წლის მსოფლიო თასის გიგანტური სლალომის ჩემპიონს მეორე ცდა გაუცუდდა და საბოლოოდ, მეოთხე შედეგს დასჯერდა.

ფინელის გარდა, ხელი სხვა ფავორიტებსაც მოეცარათ. მაგალითად, მხოლოდ მე-12 ადგილს დასჯერდა ბროლის დიდი გლობუსის შარშანდელი მფლობელი, ავსტრიელი **ნიკოლ ჰოსპი**, მისმა თანამემამულე **მარლის შილდმა** კი მე-19 ადგილი დაიკავა. მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა, შვედმა **ანია პერსონმა** პირველ ცდაზევე დაკარგა რბოლის მოგების შანსი (მე-19 შედეგი ჰქონდა), საბოლოოდ კი მეშვიდე ადგილს დასჯერდა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

### გიგანტური სლალომი

ზოლდენი (ავსტრია). ქალები

1. დენიზე კარბონი (იტალია) 2:23.21 (1:09.97, 1:13.24); 2. ჯულია მანკუზო (აშშ) 2:23.54 (1:10.79, 1:12.75); 3. კატრინ ცეტელი (ავსტრია) 2:23.73 (1:11.54, 1:12.19); 4. ტანია პოუტიაინენი (ფინეთი) 2:23.78 (1:09.80, 1:13.98); 5. ტესა ვორლი (საფრანგეთი) 2:23.96 (1:11.44, 1:12.52); 6. ინგრიდ ჟაკემო (საფრანგეთი) 2:24.05 (1:10.79, 1:13.26); 7. ანია პერსონი (შვედეთი) 2:24.13 (1:11.17, 1:12.96); 8. კატრინ ჰიოლცლი (გერმანია) 2:24.26 (1:10.59, 1:13.67); 9. მანუელა მიოლგი (იტალია) 2:24.31 (1:11.00, 1:13.31); 9. ელიზაბეთ გიორგლი (ავსტრია) 2:24.31 (1:10.53, 1:13.78)...

## ჰოკეი

### NHL. რეგულარული ჩემპიონატი

#### 26 ოქტომბერი

**ვაშინგტონი-ვანკუვერი 2:3**

1:2, 0:0, 1:1

გოლები: 0:1 დ. სედინი-5, 1:1 ნიულანდერი-3 (კ. კლარკი-1, ოვეჩკინი-5), 1:2 პიატი-3 (კესლერი-5), 1:3 პიატი-4 (ბ. მორისონი-3, ნესლუნდი-5), 2:3 ოვეჩკინი-6 (კ. კლარკი-2, ვიქ. კოზლოვი-3).

**კაროლინა-მონრეალი 4:7**

1:5, 1:1, 2:1

გოლები: 0:1 ჩიპჩურა-2 (მარკოვი-4, კოსტოპულოსი-3), 0:2 პლეკანეცი-2 (ლატენდრესი-1, შტრაიტი-4), 1:2 ჯ. ჰემილტონი-4 (ე. სტაალი-6, სტილმანი-7), 1:3 კოვალიოვი-5 (მარკოვი-5, პლეკანეცი-6), 1:4 ს. კოივუ-3, 1:5 შტრაიტი-2 (ჰამრლიკი-5, პლეკანეცი-7), 2:5 ე. სტაალი-8 (ბულიტი), 2:6 პლეკანეცი-3 (ბრისბუა-3, ლატენდრესი-2), 3:6 რეი უიტნი-5 (კ. ოკუანი-2, კულენი-6), 4:6 ბრინდამორი-3 (ჯასტინ უილიამსი-11, ფ. კაბერლე-3), 4:7 დანდენო-2 (ს. კოივუ-7, კომისარეკი-2).

**ფლორიდა-ბაფალო 2:4**

2:1, 0:0, 0:3

გოლები: 1:0 შტუმპელი-2 (ბოუმისტერი-3), 1:1 კოტალიკი-2 (პომინვილი-3, ვანეკი-4), 2:1 პელტონენი-2 (უეისი-6, ჰორტონი-4), 2:2 ჰეხტი-3 (პომინვილი-4, ტალინდერი-2), 2:3 სტეფორდი-2 (სეკერა-1), 2:4 პეი-2.

**დეტროიტი-სან ხოსე 5:1**

2:0, 0:0, 3:1

გოლები: 1:0 ფილპულა-1 (სამუელსონი-5, ოსგუდი-1), 2:0 ლილია-1 (ფილპულა-1, კრონვალი-2), 3:0 ზეტერბერგი-8 (ჰოლმსტრიომი-5, ლიდსტრიომი-7), 4:0 ზეტერბერგი-9 (დაციუკი-10, ჰოლმსტრიომი-6), 5:0 მიოლერი-3 (დრეიპერი-1, კლირი-4), 5:1 სემიონოვი-1 (ვლასიჩი-3).

**კალგარი-კოლორადო 2:3 (ო)**

1:1, 1:0, 0:1, 0:1

გოლები: 0:1 საკიკი-5 (ვოლსკი-5, ბრუნეტი-8), 1:1 ტანგეი-3 (ლენგკოუ-7, ა. ოკუანი-6), 2:1 ლომბარდი-4 (მოსი-3, ჰეილი-1), 2:2 სვატოსი-4 (ბ. კლარკი-2, კუმისკეი-1), 2:3 რ. სმითი-4 (საკიკი-6, ბ. კლარკი-3).

#### 27 ოქტომბერი

**კოლამბუსი-სან ხოსე 2:1**

1:1, 1:0, 0:0

გოლები: 0:1 ჯ. ტორნტონი-4 (ქლოუ-3), 1:1 ფრიტშე-1 (მალორტა-2, ჩიმერა-4), 2:1 ფიოდოროვი-3 (ნოვოტნი-4, მალორტა-3).

**ბოსტონი-ფილადელფია 1:2**

0:0, 1:2, 0:0

გოლები: 1:0 შტურმი-4 (ხარა-5, სავარი-9), 1:1 მ. რიჩარდსი-6, 1:2 ლუპული-4 (ბრიერი-9, მ. რიჩარდსი-6).

**ნიუ ჯერსი-ოტავა 1:4**

0:0, 1:1, 0:3

გოლები: 0:1 მეზაროში-2 (სპეცა-12, ჰიტლი-5), 1:1 ჯონტა-3 (ელიაში-4, მარტინი-6), 1:2 დონოვანი-2 (კელი-2, ვერმეტი-4), 1:3 ფიშერი-3 (ალფრედსონი-2, ივსი-3)... 1:4 ალფრედსონი-7 (ფილიპსი-3).

**აილენდერსი-კაროლინა 3:8**

0:3, 2:3, 2:2

გოლები: 0:1 ბრინდამორი-4 (ჯ. ჰემილტონი-6, საიდენბერგი-3), 0:2 რეი უიტნი-6 (კულენი-7), 0:3 ბრინდამორი-5 (საიდენბერგი-4, რეი უიტნი-4), 0:4 რეი უიტნი-7 (ე. კოული-4, კულენი-8), 1:4 ფედოტენკო-3 (შატანი-5, ჭერვე-5), 1:5 ჯასტინ უილიამსი-4 (ბრინდამორი-12, კომოდორი-2), 1:6 ე. სტაალი-9 (ე. კოული-5, სტილმანი-8), 2:6 მ-ა. ბერჟერონი-2 (კომრი-6, კამპოლი-6), 2:7 ბრინდამორი-6 (ჯ. ჰემილტონი-7, რეი უიტნი-5), 2:8 ჯასტინ უილიამსი-5 (ე. კოული-6, კულენი-9), 3:8 სილინჯერი-1 (ჰანტერი-2, კამპოლი-7).

**რეინჯერსი-ტორონტო 1:4**

0:0, 1:3, 0:1

გოლები: 1:0 იაგრი-2 (როჟსივალი-3), 1:1 კუბინა-1 (ტ. კაბერლე-3, ჯ. ბლეიკი-10), 1:2 პოლი-1 (დევერო-1), 1:3 ანტროპოვი-8 (ტ. კაბერლე-4, კილგერი-2), 1:4 კილგერი-4 (კუბინა-8).

**პიტსბურგი-მონრეალი 3:4 (ბ)**

0:2, 2:1, 1:0, 0:0

გოლები: 0:1 დანდენო-3 (კოსტიცინი-1, კომისარეკი-3), 0:2 მარკოვი-4 (ჰიგინსი-5, ს. კოივუ-8), 0:3 რაიდერი-2 (გორჯესი-1, ჰამრლიკი-6), 1:3 სიკორა-5 (მალკინი-8, ჰოლი-3), 2:3 კროსბი-4 (მალკინი-9, რაიან უიტნი-3), 3:3 რაიან უიტნი-3 (მალკინი-10, სიკორა-4).
ბულიტები გაიტანეს: მარკოვი (მონრეალი).

**ტამპა ბეი-ბაფალო 3:4 (ო)**

0:0, 2:2, 1:1, 0:1

გოლები: 1:0 პროსპალი-9 (ლეკავალიე-6, სენტ ლუისი-8), 2:0 ულეტი-2 (გრეტონი-3, დერბი-3), 2:1 აფინოგენოვი-2 (ვანეკი-5, პაეტში-2), 2:2 გოსტადი-3 (კონოლი-10, ბ. კემპბელი-10), 3:2 ლეკავალიე-5 (სენტ ლუისი-9, ბ. რიჩარდსი-7), 3:3 პაეტში-1 (პომინვილი-5, ჰეხტი-4), 3:4 ვანეკი-3.

**ნეშვილი-ფლორიდა 4:3**

0:1, 2:1, 2:1

გოლები: 0:1 შტუმპელი-3 (ბულიტი), 1:1 ფიდლერი-2 (ლეგვანდი-5, ჰადლიცკი-4), 2:1 ბონკი-4 (რადულოვი-4, სატერი-2), 2:2 ო. იოკინენი-5 (კ. მერფი-7, ვოკოუნი-1), 3:2 ფიდლერი-3 (რადულოვი-5, არნოტი-5), 3:3 ო. იოკინენი-6 (უეისი-7, კ. მერფი-8), 4:3 სმიტსონი-2 (ბონკი-1, დიუპუისი-4).

**ჩიკაგო-ატლანტა 2:3**

0:1, 1:0, 1:2

გოლები: 0:1 ვიაჩ. კოზლოვი-3 (კოვალჩუკი-5, ენსტრიომი-3), 1:1 კეინი-4 (ჯეისონ უილიამსი-6, ტოევზი-5), 1:2 კოვალჩუკი-6 (ჰეიდარი-4), 1:3 ვიაჩ. კოზლოვი-4 (კოვალჩუკი-6), 2:3 ჯეისონ უილიამსი-4 (ლანგი-5, შარპი-4).

**სენტ ლუისი-ვაშინგტონი 4:3**

2:1, 1:1, 1:1

გოლები: 1:0 ბოიესი-7 (ტკაჩუკი-6), 2:0 ბრიუერი-1 (კარია-10, ჯეკმანი-1), 2:1 მ. გრინი-2 (ერსკინი-2, ოვეჩკინი-6), 2:2 მ. გრინი-3 (პოტიე-5, ფლეიშმანი-1), 3:2 ბოიესი-8 (რ. ჯონსონი-2, კარია-11), 4:2 ბექი-2 (ჯეკმანი-3, სტემპნიაკი-6), 4:3 ნიულანდერი-4 (ოვეჩკინი-7, თერჩინა-1).

**ფინიქსი-დალასი 3:5**

1:2, 1:2, 1:1

გოლები: 0:1 ზუბოვი-2 (რიბეირო-6), 1:1 დოუნი-1 (კოვანოვსკი-2, ჰანზალი-4), 1:2 ი. ლეჰტინენი-3 (მოროუ-4, რიბეირო-7), 1:3 მოდანო-2 (ი. ლეჰტინენი-5, მოროუ-5), 2:3 ურბატა-2 (დოუნი-5, კოვანოვსკი-3), 2:4 ჰაგმანი-6 (ბარნსი-4, დეილი-4), 2:5 რიბეირო-3 (მოროუ-6, მოდანო-2), 3:5 კარჩილო-3 (რაინჰარდტი-4, დოუნი-6).

**ლოს ანჯელესი-ედმონტონი 4:1**

1:1, 2:0, 1:1

გოლები: 0:1 სტოლი-1 (პემსკი-6), 1:1 ო'სალივანი-2, 2:1 ნაგი-2, 3:1 კოპიტარი-5 (ვიშნოვსკი-8), 4:1 ო'სალივანი-3 (კალდერი-3, უოლსი-2).

## TV სპორტი

### 29 ოქტომბერი. ორშაბათი

**I არხი**

22:45 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 საფრანგეთის ჩემპიონატი. პსჟ-ლიონი.
15:10 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-მიდლსბრო.
17:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:15 ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-არსენალი.
19:05 ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ვალენსია.
20:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:15 რუსეთის ჩემპიონატი.
22:00 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:00 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
00:00 გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ბაიერნი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

10:38 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-ლევერკუზენი.
08:00 სპორტდოსიე. კრიკეტი.
08:27 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. კალგარი-კოლორადო.
10:38 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-ლევერკუზენი.
12:23 ფეხბურთი. Barca TV.
12:31 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
13:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
13:30 ცურვა. მსოფლიო თასი. ფინალები. სინგაპური.
15:36 ფეხბურთი. ტოტალური კალჩო. სერია A-ს ჟურნალი.
16:10 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტორინო-კალიარი.
18:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-რომა.
20:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-არსენალი.
22:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ალმერია.
00:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ვალენსია.
02:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ჯენოა-ფიორენტინა.
03:49 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-ლევერკუზენი.
05:38 სპორტდოსიე. კრიკეტი.
06:05 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტორინო-კალიარი.

**EUROSPORT**

11:30 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
11:45 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. იაპონია.
12:15 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. ფინალი. ლინცი. ავსტრია.
13:30 ფეხბურთი. აფრიკის ჩემპიონთა ლიგა. ფინალი. პირველი მატჩი.
15:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. აშშ-ის გრან პრი.
16:00 სნუკერი. მასტერსი. ფინალი. შანხაი. ჩინეთი.
18:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ჩეხეთის გრან პრი.
19:00 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ფინალი. იტალია.
20:00 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ფინალი. პორტუგალია.
21:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
22:00 მულტისპორტი.
22:30 სნუკერი.
00:00 ბრძოლა წესების გარეშე.
03:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
04:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. იაპონია.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
13:00 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. კვალიფიკაცია. მექსიკა-აშშ.
14:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური.
15:00 ახალი ამბები.
17:00 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. სუპერფინალი. ფინალი. საფრანგეთი.
18:00 კალათბურთი.
19:00 ავტოსპორტი. ტურიზმის კლასი. ევროპის თასი. I რბოლა. იტალია.
19:30 ავტოსპორტი. ტურიზმის კლასი. ევროპის თასი. II რბოლა. იტალია.
20:00 ხელბურთი. ჩემპიონთა თასი. ჯგუფური ეტაპი. I ტური.
21:00 ახალი ამბები.
21:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. იაპონია.
22:00 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
22:15 ახალი ამბები.
23:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. აშშ-ის გრან პრი.
00:00 მულტისპორტი.
00:30 კალათბურთი.
02:00 ახალი ამბები.
02:15 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. სუპერფინალი. ფინალი. საფრანგეთი.
03:15 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

### კალათბურთი

| საბერძნეთი | |
|---|---|
| პანელინიოსი-ოლიმპია | 80:67 |
| პაოკ-პანათინაიკოსი | 68:74 |
| რეთიმნო-მარუსი | 71:60 |
| აელ-კოლოსოსი | 97:76 |
| არისი-ოლიმპიაკოსი | 75:82 |
| აეკ-აეპ | 83:59 |
| პანიონიოსი-ეგალეო | 71:75 |

| ესპანეთი | |
|---|---|
| ესტუდიანტესი-ვალენსია | 72:79 |
| ფუენლაბრადა-მანრესა | 75:87 |
| ხირონა-ბარსელონა | 85:89 (ო) |
| ვალიადოლიდი-რეალი | 68:79 |
| გრანადა-უნიკახა | 80:69 |
| მენორკა-ბაუგრესი | 62:76 |
| ხუვენტუდი-ბილბაო | 58:81 |
| გრან კანარია-მურსია | 82:66 |
| კახასოლი-ლეონი | 84:73 |

| იტალია | |
|---|---|
| კლიმამიო-აველინო | 70:91 |
| მილანი-ბენეტონი | 88:84 |
| ბიელა-ვარეზე | 81:65 |
| ლორლანდო-სნაიდერო | 100:72 |
| კანტუ-ტერამო | 87:88 (ო) |
| ნაპოლი-მონტეგრანარო | 95:101 (ო) |
| რომა-რიეტი | 76:86 |
| სკაფატი-მონტეპასკი | 78:97 |
| სკავოლინი-ვირტუსი | 102:82 |

| საფრანგეთი | |
|---|---|
| შალონი-პაუ | 60:59 |
| ლიონი-ნანსი | 59:90 |
| გრაველინი-რუანი | 69:88 |
| ბულონი-ვიში | 65:52 |
| ჰავრი-შოლე | 79:65 |
| სტრასბური-კლერმონი | 83:58 |
| ორლეანი-ლე მანი | 71:68 |

### ჰოკეი

| რუსეთი | |
|---|---|
| მეტალურგი (მ)-ლადა | 5:1 |
| ტრაქტორი-ს. იულაევი | 0:3 |
| ამური-სკა | 3:2 |
| დინამო-ცსკა | 1:2 |
| მეტალურგი (ნ)-ნეფტეხიმიკი | 4:1 |
| ავანგარდი-სევერსტალი | 4:2 |
| სიბირი-აკ ბარსი | 6:2 |
| ვიტიაზი-ხიმიკი | 2:7 |
| მვდ-ტორპედო | 2:1 |

| გერმანია | |
|---|---|
| ჰანოვერი-ინგოლშტადტი | 4:1 |
| დუისბურგი-მანჰაიმი | 2:3 |
| კიოლნი-დიუსელდორფი | 0:0 |
| ვოლფსბურგი-ნიურნბერგი | 3:1 |
| იზერლონი-ფრანკფურტი | 2:0 |
| კრეფელდი-ჰამბურგი | 2:4 |
| შტრაუბინგი-აისბარენი | 1:4 |

| სლოვაკეთი | |
|---|---|
| ნიტრა-სკალიცა | 4:2 |
| ჟილინა-ტრენჩინი | 0:1 |
| ზვოლენი-კოშიცე | 4:2 |
| მარტინი-სლოვაკეთი (ახ) | 10:1 |
| მიკულაში-სლოვანი | 2:6 |
| პოპრადი-კეჟმაროკი | 3:3 |

| ფინეთი | |
|---|---|
| ჰპკ-ჰიფკ | 0:0 |
| იოკერიტი-ლუკო | 5:3 |
| კაიპა-პელიკანსი | 1:5 |
| საიპა-კარპატი | 3:3 |
| ტაპარა-იუვესკიულა | 5:2 |
| ესეტი-ილვესი | 4:5 |

| ჩეხეთი | |
|---|---|
| ვიტკოვიცე-ზნოიმო | 3:2 |
| ზლინი-ბუდეიოვიცე | 2:1 |
| ლიბერეცი-კლადნო | 4:0 |
| პარდუბიცე-ტრშინეცი | 4:5 |
| ლიტვინოვი-კარლოვი ვარი | 6:2 |
| პლზენი-სლავია | 5:2 |

| შვეიცარია | |
|---|---|
| დავოსი-ფრიბურგი | 4:2 |
| კლოტენი-ლუგანო | 3:1 |
| ლანგნაუ-ცუგი | 4:4 |
| ამბრი-სერვეტი | 0:2 |
| ბერნი-რაპერსვილი | 4:1 |
| რაპერსვილი-ამბრი | 8:0 |
| ცუგი-დავოსი | 2:3 |
| ციურიხი-ბაზელი | 4:2 |

| შვედეთი | |
|---|---|
| სიოდერტელე-ჰვ 71 | 0:3 |
| მოდო-ფერიესტადი | 1:0 |
| ბრიუნესი-მორა | 4:3 |
| ლულეო-იურგორდენი | 2:3 |

### ჩოგბურთი

| ATP. ბაზელი | |
|---|---|
| ფედერერი-ნიემინენი | 6:3, 6:4 |

| ATP. ლიონი | |
|---|---|
| გროსჟანი-ჟიკელი | 7:6, 6:4 |

| ATP. სტ. პეტერბურგი | |
|---|---|
| მარეი-ვერდასკო | 6:2, 6:3 |

| WTA. ლინცი | |
|---|---|
| ჰანტუხოვა-შნიდერი | 6:4, 6:2 |



ეროვნული ბიბლიოთეკა

NBA. სეზონის წინ. დივიზიონების წარდგენა

# მგლურად ატლანტიკში



ზაკ რენდოლფი ნიუ იორკს არ ეყოფა

## ატლანტიკის დივიზიონი

### ბოსტონი

**შარშანდელი შედეგი:** 24 მოგება-58 წაგება.
**სასტარტო ხუთეული:** რაჯონ რონდო, რეი ალენი, პოლ პირსი, კევინ გარნეტი, კენდრიკ პერკინსი.

"სელტიქსის" დიდ სამეულზე (**კევინ გარნეტი-პოლ პირსი-რეი ალენი**) ბევრი ითქვა და დაიწერა, მაგრამ ამჯერადაც გვიწევს მათზე საუბარი. აბა, სხვაზე ვისზე უნდა ვისაუბროთ? **პოუსიზე**, რომელსაც შარშან, "მაიამიში" თამაშიდან ტყორცნების 40 პროცენტიც კი არ ჩაუგდია? თუ **პერკინსზე**, ვინც ძირითადი ცენტრია და თავის ამპლუაში კონფერენციაში ბარე ათიოდე კაცს ჩამოუვარდება? ზემოთ ნახსენები სამი ვარსკვლავი ჯანმრთელობას უნდა გაუფრთხილდეს, ხოლო გუნდის თავკაცმა, **დოკ რივერსმაც** მაქსიმალურად ფრთხილად უნდა გადაანაწილოს ლიდერთა სათამაშო დრო.

მიუხედავად იმისა, რომ გუნდის ფანები პირველივე სეზონში ჩემპიონობას ითხოვენ, ყველას მშვენივრად ესმის, რომ ეს არარეალურია. სუსტი რეზერვი და სხვების გამოუცდელობა, გუნდს დიდ პრობლემებს შეუქმნის.

**პროგნოზი:** პლეიოფში.

### ნიუ ჯერსი

**შარშანდელი შედეგი:** 41:41
**სასტარტო ხუთეული:** ჯეისონ კიდი, ვინს კარტერი, რიჩარდ ჯეფერსონი, ნენად კრსტიჩი, ჯეისონ კოლინზი.

**ვინს კარტერს** შარშან საკონტრაქტო სეზონი ჰქონდა და ისე ითამაშა, რომ ისტრუზერფორდელებს ძალიან ბევრი მილიონი დოლარი გადაახდევინა. ამიტომაც საინტერესოა, რამდენად მოტივირებული იქნება ეს კალათბურთელი მაშინ, როდესაც კონტრაქტი და უზრუნველი მომავალი გარანტირებული აქვს?

"ნეტსი" დივიზიონის მოგების რეალურ შანსებს ფლობს. **ჯეისონ კიდი** დღესაც უდიდეს გამთამაშებლად ითვლება, **რიჩარდ ჯეფერსონი** (იქამდე, სანამ რამეს არ მოიტეხავს) 16-17 ქულას უპრობლემოდ აილებს და ამას დაამატეთ ფეხზე დამდგარი და უწინდელზე მეტად დაკუნთული **ნენად კრსტიჩიც**. მოკლედ, "ნიუ ჯერსი" კარგი გუნდია ასპროცენტიანი საპლეიოფო პერსპექტივით.

**პროგნოზი:** პლეიოფში.

### ნიუ იორკი

**შარშანდელი შედეგი:** 33:49
**სასტარტო ხუთეული:** სტეფონ მარბერი, ჯამალ კროუფორდი, კვენტინ რიჩარდსონი, ზაკ რენდოლფი, ედი კარი.

შარშან, მთავარმა მწვრთნელმა **აიზია ტომასმა** გუნდის მფლობელისგან, **ჯეიმს დოლანისგან**, მოულოდნელად ახალი, მრავალწლიანი კონტრაქტი მიიღო და მას მერე, "ნიქსს" ზედიზედ ორი თამაშიც კი არ მოუგია. წლევანდელი გუნდი შარშანდელზე უკეთაა დაბალანსებული. მთავარი იმედი "პორტლენდის" ყოფილი ვარსკვლავი **ზაკ რენდოლფია**, რომელსაც შეტევაში დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია, მთავარია, როგორ შეეწყობა იგი "ნიქსის" პირველ მექულეს, ცენტრ **ედი კარის.**

**სტეფონ მარბერიმ** თქვა - მაგარი გუნდი გვყავს და ახლა ნახეთ, როგორ და რამდენ პასს ჩამოვარიგებო, მაგრამ ეს ეგოისტი პლეიმეიქერი მსგავს დაპირებებს ყოველი სეზონის წინ იძლევა და შედეგი კი იგივე, ანუ იმედგამაცრუებელია.

"ნიქსმა" იქნებ 40 მოგებითაც კი ჩაამთავროს სეზონი, მაგრამ პლეიოფში თამაშს ვერ ელირსება.

**პროგნოზი:** პლეიოფის მიღმა.

### ფილადელფია

**შარშანდელი შედეგი:** 35:47
**სასტარტო ხუთეული:** ანდრე მილერი, ანდრე იგუოდალა, როდნი კარნი, რეჯი ევანსი, სამუელ დალემბერი.

ორი **ანდრეს (მილერი და იგუოდალა)** გუნდი საპლეიოფო კანდიდატებში არც კი მოიაზრება. "ფილადელფია" კვლავაც "მომავლის" გუნდი იქნება და შარშანდელი შედეგის (35 მოგება) გამეორება ძალიან გაუჭირდება. თანაც, ძირითადი ცენტრი, **ენდი დალემბერი** ტრავმებსაა შეჩვეული და როდის დაალალატებს გუნდს, არავინ იცის. ურეზერვო, უამბიციო და უვარსკვლავო (იგუოდალასადმი დიდი პატივისცემის მიუხედავად) გუნდი აღმოსავლეთის აუტსაიდერი იქნება და შესაძლოა, მომდევნო დრაფტის პირველი ნომრის დათრევის, ანუ სულ მთლად ბოლო ადგილზე გასვლის რეალური "პერსპექტივაც" ჰქონდეს.

**პროგნოზი:** პლეიოფის მიღმა.

### ტორონტო

**შარშანდელი შედეგი:** 47:35
**სასტარტო ხუთეული:** ტი. ჯეი. ფორდი, ენტონი პარკერი, ჯეისონ კაპონო, კრის ბოში, ანდრეა ბარნიანი.

კანადელებმა საგრძნობლად გამოასწორეს თამაშის ხარისხი და ამის მთავარი შემოქმედი, რბილი და თავაზიანი მწვრთნელი **სემ მიტჩელია**. "რეპტორზს" შარშანდელის გამეორება გაუჭირდება, თუმცა ის, რომ **კრის ბოშის** გუნდი იოლად არაფერს დათმობს, ესეც ფაქტია.

გუნდში ბევრი კარგი ევროპელია, რომელთაგან **ხორხე გარბახოსა** "ტორონტოს" ლიდერად იქცა, **ხოსე კალდერონი** ბურთს სწრაფად და ტექნიკურად ათამაშებს, ხოლო **ანდრეა ბარნიანისგან** კი ყველა შარშანდელზე უკეთეს რეგულარულს ელის. მიტჩელი იტალიელ ფორვარდს საგამოფენო მატჩებში ცენტრად ათამაშებდა და სეზონის სტარტზეც ასე იქნება.

მთავარი მაინც ბოშია, რომელსაც ცენტრად თამაშიც ეხერხება და ოთხ ნომერზეც ხომ საერთოდ მაგრად დგას. ეს ახალგაზრდა ორმაგი დუბლების მანქანად იქცა და ცოტას დაცვაში თამაშსაც თუ გამოასწორებს, მისთვისაც აჯობებს და გუნდისთვისაც.

**პროგნოზი:** პლეიოფში.

# ლებრონი მარტო დარჩება

## ცენტრალური დივიზიონი

### ჩიკაგო

**შარშანდელი შედეგი:** 49:33
**სასტარტო ხუთეული:** კირკ ჰაინრიხი, ბენ გორდონი, ლუოლ დენგი, ჯო სმიტი, ბენ უოლასი.

კონფერენციის მთავარ ფავორიტსაც მივადექით. **სკოტ სქაილზის** გუნდის შეჩერება არამარტო აღმოსავლელებისთვის, არამედ ამპარტავანი დასავლელებისთვისაც რთული იქნება.

**ჰაინრიხის, დენგის, გორდონის, ჯო სმიტის,** ახალბედა **ნოასა** და რა თქმა უნდა, **ბენ უოლასის** გუნდს თითქმის არ აქვს სუსტი წერტილი, ხოლო გუნდური დაცვით კი, ალბათ, მხოლოდ "სან ანტონიოს" თუ ჩამოუვარდება. დიახ, თითქმის, რადგან "ბულზის" ქულების დიდი ნაწილი სამწამიანის გარედან გროვდება. "დიდი ბენი" სროლაზე დღესაც "აცრილია", მაგრამ სიბერეს არ იმჩნევს და კვლავ შეუდარებელია ფარქვეშეთში დაცვისას.



წლეულს ჩიკაგო ფავორიტია

"ჩიკაგოს" მინიმუმ, აღმოსავლეთის ფინალში ველით და მერე კი, ბევრად მეტიცაა შესაძლებელი.

**პროგნოზი:** პლეიოფში.

### კლივლენდი

**შარშანდელი შედეგი:** 50:32
**სასტარტო ხუთეული:** დანიელ გიბსონი, ლარი ჰიუზი, ლებრონ ჯეიმსი, დრიუ გუდენი, ჟიდრუნას ილგაუსკასი.

აღმოსავლეთის მოქმედი ჩემპიონი რეგულარულს დიდი საკადრო პრობლემებით ხვდება. "კავალიერსის" ბოსებს ჯერაც არ გაუფორმებიათ კონტრაქტები თავისუფალ აგენტებთან, **საშა პავლოვიჩთან** და **ანდერსონ ვარეჟაოსთან**, მათ გარეშე კი გუნდს ძალიან ძლიერი დამცველი (ვარეჟაო) და ნორმალური მექულე (პავლოვიჩი) დააკლდა. მთელი კლივლენდი წლეულსაც **ლებრონ ჯეიმსზე** ილოცებს და თუ ეს მოთამაშე ჯანმრთელი იქნება, მაშინ გუნდს პლეიოფის პირველ წრეში საკუთარი მოედნის უპირატესობის მოპოვება არ უნდა გაუჭირდეს. სუპერფინალში გასვლა კი მაგრად გაძნელდება. პროგრესირებად "ჩიკაგოსთან" და კიდევ 3-4 გუნდთან შედარებით, "კავალიერსს" არ ჰყავს რეზერვი.

**პროგნოზი:** პლეიოფში.

### დეტროიტი

**შარშანდელი შედეგი:** 53:29
**სასტარტო ხუთეული:** ჩონსი ბილაპსი, რიჩარდ ჰამილტონი, ტაიშონ პრინსი, ანტონიო მაკდაიესი, რაშიდ უოლასი.

გაამართლებს თუ არა **რაშიდ უოლასი** ცენტრად? არის თუ არა მზად **ანტონიო მაკდაიესი** ძირითადში დასაბრუნებლად? რამდენად დააკლდება გუნდს **კრის უებერი**? გაამართლებენ თუ არა ახალბედები, ვისზეც მთავარი მწვრთნელი **ფლიპ სონდერსი** დიდ იმედებს ამყარებს?

"დეტროიტის" გასწვრივ უამრავი კითხვის ნიშანია და თუ ზემოთ ნახსენები ნიუანსები გუნდს პრობლემად არ ექცევა, მაშინ მიჩიგანელებს კონფერენციის მოგებაც შეეძლებათ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, სუპერფინალში დაბრუნება პრობლემატური იქნება.

**პროგნოზი:** პლეიოფში.

### ინდიანა

**შარშანდელი შედეგი:** 35:47
**სასტარტო ხუთეული:** ჯამაალ ტინსლი, მაიკ დანლივი-უმცროსი, დენი გრეინჯერი, ჯერმეინ ონილი, ტროი მერფი.

"ინდიანაში" **ლარი ბერდმა** თავისი მეგობრის, **რიკ კარლაილის** უნაყოფო ერა დაასრულა, მის ნაცვლად კი გუნდს სათავეში **ჯიმ ობრაიენი** ჩაუდგა, რომელსაც საშუალო შემადგენლობა და **ჯერმეინ ონილი** შერჩა ხელთ. ონილმა მთელი ზაფხული სხვაგან გადასვლაზე ისაუბრა, მაგრამ საბოლოოდ, მისთვის წლიურად კუთვნილი 17 მილიონის გადახდა რომ არავინ მოისურვა, ეს უნიჭიერესი, მაგრამ ხშირად ტრავმირებული ახალგაზრდა "პეისერზში" დარჩა. სამ ნომრად გუნდს **დენი გრეიჯერი** ჰყავს, რომელიც ონილის მერე, "ინდიანას" საუკეთესო დამცველია და სამიანსაც ნორმალურად ასრულებს. სხვა მხრივ, **მაიკ დანლივი** ჭკვიანი, მაგრამ ზანტია, **ტროი მერფი** კი ელიტაში არასოდეს შედიოდა და წლეულსაც ვერ შევა. შენების პროცესი გაგრძელდება და გუნდი პლეიოფს მიღმა დარჩება.

**პროგნოზი:** პლეიოფის მიღმა.

### მილუოკი

**შარშანდელი შედეგი:** 49:33
**სასტარტო ხუთეული:** მო უილიამსი, მაიკლ რედი, დესმონდ მეისონი, ჩარლი ვილიანოვა, ენდრიუ ბოგუტი.

ხარირმების" შემადგენლობაში, თითქმის ყველას შეუძლია შორი დისტანციიდან ქულების მომკობა. გამონაკლისი არც გუნდის ცენტრები არიან - **ენდრიუ ბოგუტს** საკმაოდ კარგი მაჯა აქვს და იგივეს თქმა **ჯეიკ ვოსკულზეც** შეიძლება. გუნდს დაუბრუნდა **ბობი სიმონსი**, რომელიც თავის წილ 12-13 ქულასა და 6-7 მოხსნას გააკეთებს, მაგრამ ვინ ითამაშებს დაცვას? ამ მხრივ, "ბაქსში" დიდი პრობლემებია. არც **მო უილიამსი**, არც **ჩარლი ბელი** და მით უმეტეს, არც **მაიკლ რედი** ამითი თავს არ იწუხებენ. ამის გამო, გუნდს პლეიოფში გასვლა ძალიან გაუჭირდება.

**პროგნოზი:** პლეიოფის მიღმა.

**ზურაბ თალაკვაძე**

სპორტული გაზეთი
განახლებულია ბადრი პატარკაციშვილის ინიციატივითა და ხელშეწყობით

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიმჯარიანი (ტ.: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ.: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართი
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დილომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ტელეფონი: 46 30 98, 46 30 56, 46 32 62,
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
53-39-11
ფაქსი: +995 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა